# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 193 (5534)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## თბილისი-მოსკოვი: ნერვების ბრძოლა

10

რუსი ოფიცრების ბედი შეერთებული შტატების ხელშია




15

# უცხოელი ინვესტორის, ჰუსეინ ალის ღია წერილი მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს!

თქვენო აღმატებულებავ,

2006 წლის 23 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ მიიღო დადგენილება ჩემი საწარმოს „საქართველოს თამბაქოს წარმოების" თაღლითური გზით მისაკუთრების გამოძიების განახლების შესახებ. მე არაერთგზის განმიცხადებია და საერთაშორისო ექსპერტიზაც მოწმობს იმას, რომ ეს ყველაფერი მოხდა ჩემი ხელმოწერის გაყალბების შედეგად. ხსენებული სასამართლო დადგენილების შემდეგ არაფერი მომხდარა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო დონეზე ძებნილი კრიმინალი მთავრობამ „მესაკუთრედ" აღიარა. ბატონო პრეზიდენტო, სად არის თქვენი დაპირება საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართველი ხალხის მიმართ, რომ ქვეყანას კანონის უზენაესობის დაცვით მართავდით? ჩვენ ეს-ესაა შევიტყვეთ, რომ ორ „მეისრეს" მართლმსაჯულების წინაშე პასუხი აგებინეს. 2006 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ჩვენს საქმესთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარა და გაოცება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ:

„საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ არ იქნა დადგენილი, თუ ვისთან ერთად და ვისი შეკვეთით მოქმედებდა თამაზ მელქაძე. უცნაურია, თუ რატომ არ დაინტერესდნენ თ. მელქაძის დამატებითი დაკითხვისას გაკეთებული განცხადებით, რომ **„მას არ სურს დაასახელოს ის პირები, რომლებთან ერთადაც ჩადიოდა დანაშაულს"**. საგულისხმოა, თუ რატომ არ დაინტერესდა გამოძიება, თუ რომელ პიროვნებებთან ერთად ჩადიოდა აღნიშნულ დანაშაულს თ. მელქაძე."

საქართველოს სახალხო დამცველს მხედველობიდან არც ის ფაქტი გამორჩენია, რომ გამოძიებამ ყურადღება არ მიაქცია თ. მელქაძის აღიარებას სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. კერძოდ:

„საპროცესო შეთანხმება ბრალდებულებთან დადეს ისე, რომ არავითარი ყურადღება არ მიექცა თამაზ მელქაძის აღიარებას, რომ იგი წლების განმავლობაში იყენებდა ყალბ მინდობილობას სხვადასხვა სასამართლო ორგანოებში. ყალბი დოკუმენტის გამოყენების ყოველი ცალკეული შემთხვევა ცალკე დანაშაულს წარმოადგენს. თუმცა, არც ამით დაინტერესებულან საგამოძიებო ორგანოები."

საქართველოს სახალხო დამცველი არარეალურად მიიჩნევს საპროცესო შეთანხმების 4 საათზე ნაკლებ დროში დასრულებას. იგი გაოცებას ვერ მალავს იმ ფაქტით, რომ ასეთ მცირე დროში პროკურორმა და მოსამართლემ შემდეგი 17 მოქმედების განხორციელება მოასწრეს:

1. დაკითხვის ოქმების გამომძიებლისათვის გამორთმევა;
2. დაკითხვის ოქმების გაცნობა;
3. საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4. ზემდგომ პროკურორთან შეთანხმება;
5. საპროცესო შეთანხმებების ოქმების შედგენა;
6. ოქმების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
7. შემდეგ ზემდგომი პროკურორისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
8. სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ დადგენილების მიღება;
9. სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე 2 შუამდგომლობის შედგენა;
10. სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის წარდგენა და ხელის მოწერა;
11. შუამდგომლობების სასამართლოში მიტანა და ჩაბარება;
12. პროკურორის შუამდგომლობებისა და საქმის სხვა მასალების გაცნობა;
13. თანაშემწისათვის დავალების მიცემა, მათ შორის განსასჯელების სასამართლოში წარმოსადგენად შეტყობინებების გაგზავნასთან დაკავშირებით; ბრალდებულების, მათი ადვოკატებისა და პროკურორის მოყვანა სასამართლოში; სასამართლო სხდომის გახსნა და ჩატარება;
14. ბრალდებულების ვინაობის დადგენა;
15. პროკურორის შუამდგომლობებისა და ბრალდებულების განმარტებების მოსმენა; საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან დაკავშირებით სხვა საპროცესო გარემოებების გამოკვლევა;
16. სათათბირო ოთახში გასვლა და გადაწყვეტილების მიღება;
17. განაჩენის გამოქვეყნება.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომა, რომელზედაც დამტკიცდა თ. მელქაძესა და ქ. ჩხიკვაძესთან დადებული საპროცესო შეთანხმებები და, რომელიც განაჩენისა და საოქმო ჩანაწერების თანახმად 2006 წლის 13 აპრილს გაიმართა, აღნიშნულ დღეს ვერ გაიმართებოდა იმ მიზეზის გამო, რომ პროკურორის შუამდგომლობას სასამართლოს თავმჯდომარემ რეზოლუცია ერთი დღის შემდეგ, 2006 წლის 14 აპრილს დაადო:

„ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის მ. ჩიკვაიძის მიმართვაზე, რომელიც შუამდგომლობებთან ერთად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შეიტანა, მარცხენა კუთხეში ხელით არის მიწერილი: „ბ-ნ ლ. მურუსიძეს, გთხოვთ განიხილოთ," ხელმოწერა და თარიღი: „14.04.06." რეზოლუცია იმდენად გაკრული ხელით არის შევსებული, რომ შეუძლებელია მისი ავტორის ვინაობის დადგენა. მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ხელმოწერა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გიორგი შავლიაშვილს ეკუთვნის, რადგან პროკურატურის მიმართვა მისი მისამართით იყო გაგზავნილი. თუკი რეზოლუცია 2006 წლის 14 აპრილითაა დათარიღებული, მაშინ ბუნებრივია სასამართლო სხდომა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო და არა 2006 წლის 13 აპრილს."

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა:

„საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხსენებული ფაქტით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ურთიერთობას, ვინაიდან უცხოელ ინვესტორებთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. სამართალდამცავ ორგანოთა მიერ განხორციელებული უკანონობის, მართლმსაჯულების არამართებულად განხორციელებისა და გამოძიების გაჭიანურების შედეგად, არსებითად შეილახა კანადის მოქალაქის ჰუსეინ ალის, როგორც მესაკუთრის უფლება."

**მე ვეთანხმები სახალხო დამცველის განცხადებებს**, და ვფიქრობ, რომ უცხოელმა ბიზნესმენებმა, პოლიტიკოსებმა და ფართო საზოგადოებამ მეტი უნდა შეიტყოს ჩემი ფაბრიკის მიტაცებისა და საქართველოში „კანონის უზენაესობის" შესახებ. ჩემთვის უთქვამთ, რომ ზოგიერთი „მსხვილი ფიგურა", შეიძლება, ქალაქის მმართველობასა და მთავრობის მაღალ ეშელონებში იყოს მოკალათებული. მე მივესალმები თქვენს საჯარო თუ კერძო კომენტარს. **შესაძლოა, ინტენსიური დიალოგიც გახდეს საჭირო.**

**პატივისცემით,**

**ჰუსეინ ალი** R

◉ იმპერია და ჩვენ

## პრეზიდენტს მუქარისა არ სჯერა

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არ სჯერა, რომ რუსეთს შეუძლია საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენოს.**

ამის თაობაზე სააკაშვილმა ბათუმში დასავლური მედიის წარმომადგენლებს განუცხადა.

საქართველოს პრეზიდენტი თავისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი რუსი სამხედროების დაკავებასთან რომელიმე უცხო სახელმწიფოს, მათ შორის აშშ-ს, არანაირი კავშირი არ აქვს.

სააკაშვილმა ასევე ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესაძლებლობა.

— არ მგონია, ამდენად უჭკუოები იყვნენ, რომ სამხედრო ძალა გამოიყენონ, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ქართველი ხალხი უკვე შეეჩვია ეკონომიკურ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს სწავლობს, აქედან გამომდინარე, სააკაშვილის განცხადებით, მას არც რუსეთის ეკონომიკური სანქციების ეშინია.

ვლადიმერ პუტინმა რუსი სამხედროების დაკავებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარში, თბილისის ქმედებები ლავრენტი ბერიას პოლიტიკის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა.

— ამ ხალხს ჰგონია, რომ თავისი უცხოელი სპონსორების საფარქვეშ შეუძლიათ თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

## ბორის გრიზლოვიც გაღიზიანდა

**საქართველოს მხრიდან უკანასკნელ დროს განხორციელებული არამეგობრული აქტები სააკაშვილის რეჟიმის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკაზე გადასვლას ნიშნავს.**

ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა განუცხადა.

მისივე აღიარებით, გასულ კვირას აშშ-ის სენატის მიერ საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის დაჩქარების ინიციატივის მხარდაჭერა არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ ფინანსურ ხასიათსაც ატარებს — ამ მიზნისთვის საქართველოს 10 მილიონი დოლარი გამოეყო.

ახლა საქართველო აშშ-ის სენატის ამ გადაწყვეტილებაზე მუშაობს. სააკაშვილის რეჟიმი ყველაფერს აკეთებს ნატოში შესვლის დასაჩქარებლად, — განაცხადა რუსეთის დუმის სპიკერმა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ კეთილი საქმე

## პატრიარქის მეცენატობით დეკორატიული გამწვანების ცენტრი გაიხსნა



**სამების საკათედრო ტაძართან პატრიარქის მეცენატობით დეკორატიული გამწვანების ცენტრი გაიხსნა.**

ცენტრის გახსნის პრეზენტაციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, გერმანელი პროფესორები და თავად პატრიარქი ესწრებოდნენ.

ნინო ბურჯანაძე ცენტრის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ დეკორატიული გამწვანების ცენტრის არსებობა საქართველოში არის ძალიან მნიშვნელოვანი და კეთილი საქმე, რადგანაც დედაქალაქის გალამაზება უკვე პროფესიონალების ხელში იქნება.

პატრიარქმა ცენტრი დალოცა და აღნიშნა, რომ ეს არის საქმე, რომელსაც შრომა შეალიეს და დღეიდან საქართველოს მაშტაბით ყველას ეცოდინება, რომ არსებობს ადგილი, რომელიც იზრუნებს არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ საქართველოს ყველა ქალაქის პროფესიულ დონეზე გამწვანებისათვის.

**ინტერპრესნიუსი**

◉ არჩევნები

# წინ ორი დღეღაა...

**5 ოქტომბრის არჩევნებამდე ორიოდ დღეღა დარჩა. დიდი სამზადისი და მოუსვენრობა იგრძნობა როგორც პარტიათა ოფისებში, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც.**

დღესდღეობით ყველაფერი უკვე გარკვეულია. ჩვენ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ არჩევნებისათვის ცესკოში რეგისტრირებული პარტიებისა და ბლოკების სახელწოდებებს:

**1. „თოფაძე, მრეწველები“ („მგს“ძ.**

**2. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია.**

**3. „სალომე ზურაბიშვილი — „საქართველოს გზა“.**

**4. „ნაციონალური მოძრაობა — საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“.**

**5. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია — შალვა ნათელაშვილი“.**

**6. „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ (საქართველოს რესპუბლიკური პარტია — საქართველოს კონსერვატიული პარტიაძ.**

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ მერაბ კოსტავას საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტია „დედა სამშობლოს“ — მათ დადგენილ ვადაში ვერ მოახერხეს 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვება. რაც შეეხება „ახალ მემარჯვენეებსა“ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, მათ თვითონ განაცხადეს უარი საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობაზე.

ყველა პარტიასა და ბლოკს ჰყავს თავისი ამომრჩეველი და თითოეული მათგანი ინტერესით ელოდება 5 ოქტომბერს.

ყველაზე გამორჩეული და ორიგინალური ამ არჩევნებში მაინც მმართველი პარტიის პოზიციაა. „საქართველოს რესპუბლიკა“ რამდენჯერმე ამაოდ ეცადა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან დაკავშირებას და მათი პროგრამის გაცნობას. მათი პასუხი ყოველთვის უცვლელი იყო: „პარტია გააგრძელებს აღმშენებლობით საქმიანობას, ჩვენი კურსი იგივე დარჩება, ლაპარაკზე დროის ხარჯვას გვირჩევნია საქმე ვაკეთოთ.“

2 ოქტომბერს, როდესაც მათ ცენტრალურ ოფისს ვეწვიეთ, შესასვლელში შემდეგი შინაარსის აზრა „შემოგვეგება“: ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებამდე დარჩა 3 დღე...

გამარჯვების რწმენა არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა ბლოკსა და პარტიას აქვს. უბრალო მოქალაქეებს კი ისღა დარჩენიათ, მოთმინებით დაელოდონ 5 ოქტომბერს და ხმა მისცენ სწორედ იმ ძალას, ვინც ქვეყნის გადამრჩენად მიაჩნიათ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არჩევანი სწორი იქნება...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ SIC!

## რუსეთმა საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლა შეწყვიტა

**რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება, რომ რუსეთის ფედერაციამ საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლა შეწყვიტა.**

ჩვენ შევაჩერეთ საავიაციო, სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო მიმოსვლა საქართველოსთან, —აცხადებს სააგენტო, რუსეთის ფედერაციის სატრანსპორტო სამინისტროზე დაყრდნობით. რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამინისტროში კი განაცხადეს, რომ საქართველოსთან საფოსტო კავშირიც შეწყდება.

როგორც საქაერონავიგაციაში „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადეს, უწყებაში ოფიციალური შეტყობინება, საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ, ჯერ არ მისულა.

## „იტერა“ საფასურს არ ზრდის

**საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამწვავების მიუხედავად, რუსული გაზის გიგანტი „იტერა“ საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების საფასურის გაზრდას, ჯერჯერობით, არ აპირებს.**

კომპანია „იტერა-საქართველოს“ წარმომადგენლის, თემურ გაჯიევის განცხადებით, ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვა არანაირად არ აისახება საქართველოსთვის ბუნებრივი აირის საფასურსა და მოწოდებაზე.

მისივე ინფორმაციით, ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდა „იტერას“ არანაირად ხელს არ აძლევს რადგან, მოსახლეობისაგან მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ამოღება ტარიფის გაზრდის შემთხვევაში კიდევ უფრო გაძნელდება. მისივე თქმით, ბუნებრივი აირის საფასური საქართველოს იმ შემთხვევაში გაეზრდება, თუკი „იტერას“ გაუზრდიან ტრანზიტის საფასურს, ან ბუნებრივი აირის მომპოვებელი თავად გაზრდის საფასურს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი დღეს თელავში ტურისტულ ცენტრს გახსნის

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს კახეთის ესტუმრება.**

**როგორც ინტერპრესნიუსს ტურიზმის დეპარტამენტში აცნობეს, პრეზიდენტი ქალაქ თელავში პირველ საინფორმაციო ტურისტულ ცენტრს საზეიმოდ გახსნის.**

**ცერემონიას საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე, კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრებიან.**

**„ცენტრის გახსნის მიზანია, კახეთში ჩასულ ვიზიტორებს უფასო ინფორმაცია მიაწოდოს რეგიონში არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ და დაეხმაროს მათ რეგიონის ტერიტორიაზე გზის გაკვლევაში“, — განაცხადეს დეპარტამენტში.**

**აღსანიშნავია, რომ აქამდე ტურისტული საინფორმაციო ცენტრები მხოლოდ აჭარაში მოქმედებდა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი პირველი ცენტრი მცხეთაშიც გამოჩნდება.**

## ძველი სახლები კრამიტით გადაიხურება

**საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში კიდევ ერთი პროექტი წარადგინა. წლის ბოლომდე ყველა სახლი ბათუმში კრამიტით გადაიხურება.**



**გუშინ პირველი სახლის გადახურვაში პრეზიდენტმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ლევან ვარშალომიძესთან და მერობის კანდიდატთან ირაკლი თავართქილაძესთან ერთად მიიღო მონაწილეობა.**

**პირველი კრამიტი პრეზიდენტს ბავშვებმა მიაწოდეს. მან კი ლევან ვარშალომიძეს გადააწოდა, რომელმაც კრამიტი ცოცხალ ჯაჭვში მდგომ მაჟორიტარებს გადასცა. სამსართულიანი სახლის სახურავზე პირველი კრამიტის დადება „ნაციონალების გუნდის“ მერობის კანდიდატს ირაკლი თავართქილაძეს მოუწია.**

**პრეზიდენტის განცხადებით ეს არის ჯაჭვი, რომელსაც ერთი რგოლიც რომ გამოაკლდეს, შენება, რომელიც ბათუმში დაიწყო, შეჩერდება და ეს ბათუმელებმა კარგად უნდა გაითავისონ.**

## აჭარიდან მიულოცა

**ახალი სასწავლო წლის პირველი დღე პრეზიდენტმა სტუდენტებს აჭარიდან მიულოცა.**

**მიხეილ სააკაშვილი განათლების მინისტრთან და აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია.**

**ბათუმელ სტუდენტებს პრეზიდენტი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე ესაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება აფხაზეთში და კოდორში შექმნილ სიტუაციაზე გამახვილდა. კოდორში აღმშენებლობის საქმიანობისთვის აჭარის 13 სამშენებლო ფირმის წარმომადგენლებს მიხეილ სააკაშვილმა დღესვე ღირსების ორდენები გადასცა. საუბარი მოახლოებულ არჩევნებსაც შეეხო. პრეზიდენტმა მას განსაკუთრებული არჩევნები უწოდა და დამსწრეებს მასში მონაწილეობისკენ მოუწოდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# ნათელაშვილს ოცი დიპლომატის ნაცვლად ორი ესტუმრა

**გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ოფისში დიპლომატიური კორპუსის ოცამდე წარმომადგენელს ელოდნენ. შრომის პარტიის ლიდერმა პრესკონფერენცია 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო, თუმცა, ნათელაშვილის მოლოდინი მაინც ამაო აღმოჩნდა, შეხვედრას ოცის ნაცვლად, ორი უცხოელი დაესწრო. ცარიელი სკამები კი იმედგაცრუებულმა შრომისპარტიელებმა შეავსეს.**

შალვა ნათელაშვილმა იწინასწარმეტყველა, რომ 5 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში ლეიბორისტები გაიმარჯვებენ, ისიც იცის, რომ გამარჯვებაში ხელს მიხეილ სააკაშვილი და ვაშინგტონი შეუშლიან, თანაც იმასაც ამბობს, გაყალბების რა მექანიზმს აირჩევენ:

— მზადდება ყალბი ეგზიტპოლები, შემოსულია 15 მილიონი ამერიკული დოლარი სხვადასხვა ინსტიტუტის დასაფინანსებლად და არჩევნების გასაყალბებლად. სამწუხაროა, რომ ჯერ ვერ მოვასწარით რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა და უკვე ამერიკული საარჩევნო კოლონიალიზმის კლანჭებქვეშ მოვექეცით. ბოლო 10 წლის მანძილზე ყველა არჩევნებს აყალბებს არა მარტო შევარდნაძე და სააკაშვილი, არამედ — ამერიკის მთავრობა.

ლეიბორისტები საარჩევნო საქმიანობაში ჩაურევლობას მოითხოვენ. შრომისპარტიელთა საყვედური მესამე სექტორმაც დაიმსახურა, რომლებსაც ეგზიტპოლები, თურმე, წინასწარვე მოუმზადებიათ. ნათელაშვილმა არასამთავრობოთა საკმაოდ ვრცელი სია ჩამოთვალა: ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“, „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“, „სამართლიანი არჩევნები“, ბრიტანეთის საბჭო, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, კავკასიური კვლევების ინსტიტუტი, გელაპი, გორბი, ბისიჯი, „თავისუფლების ინსტიტუტი“. მისივე თქმით, ამ ორგანიზაციების შენახვასა და გაწვრთნაზე 10 წლის განმავლობაში ამერიკელებმა ასეულობით მილიონი დოლარი დახარჯეს.

შალვა ნათელაშვილს მოახლოებული წარმატებისა და გამარჯვების საფუძველს, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი გარემოება აძლევს. როგორც თავად ამბობს, ქუჩაში ათი გამოკითხულიდან 7 ხმას ლეიბორისტებს აძლევს.

— ეს არის რეალობა, რომლის წინააღმდეგ დოლარებით ბრძოლა უაზრობაა. ამერიკას არ უნდა სჭირდებოდეს ხელისუფლების მოსყიდვა, ანტიამერიკული განწყობით არავინ არ ვართ, ჩვენ გვინდა თანამშრომლობა სამყაროს ყველა მხარესთან, მაგრამ მოსყიდული მთავრობით ჩვენი ვაშინგტონელი მეგობრები შორს ვერ წავლენ. ნუ გვაიძულებს ვაშინგტონი, რომ ჩვენ მათთან ურთიერთობა გავწყვიტოთ, — აცხადებს ნათელაშვილი.

შრომისპარტიელთა აზრით, საარჩევნო კანონი არადემოკრატიულია, მერის პირდაპირი წესით არჩევნებზე მასში არაფერია ნათქვამი, საარჩევნო კომისიები კი მთლიანად ხელისუფლების უმრავლესობითაა გაძეძგილი. უკმაყოფილებას ნაციონალური მოძრაობის სიებზეც გამოთქვამენ:

— თბილისის მასშტაბით სიებში თავი მოიყარა ყველა ბანდიტმა, მკვლელმა, თაღლითმა, სახელმწიფოს და ხალხის ქონების მიმტაცებლებმა. ერთ-ერთი ასეთი ნაციონალების სიაში არის ვინმე გველებიანი, რომელიც ორი წლის წინათ მე ტერაქტს მიწყობდა, შემდგომ ის პიროვნება კოორდინაციას უწევდა საკრებულოში ოპოზიციაზე თავდასხმას, — ამბობს ლეიბორისტთა ლიდერი.

მართალია, ენას ძვალი არა აქვს, მაგრამ ნაციონალების სიებში მყოფი ადამიანებიდან ასე ყველას შეურაცხყოფა, თავად ნათელაშვილს და მისი პარტიის იმიჯს არ ამაღლებს, მით უფრო, რომ არჩევნებამდე სულ რაღაც ორი დღეა დარჩენილი.

არჩევნების შემდეგ ლეიბორისტები ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის, ამერიკის კონგრესის წევრებთან შეხვედრას მოითხოვენ, რათა მათ საქართველოში შექმნილი ვითარება გააცნონ.

დასასრულს, ხანგრძლივი დიალოგის შემდეგ, შალვა ნათელაშვილს მოწვეული ორი სტუმარი გაახსენდა და აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე ობიექტური საფრანგეთის საელჩოა, ეს ფრაზა საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლის მისამართით იყო მიმართული. ლეიბორისტების ლიდერისგან მადლობა ეუთოს წარმომადგენელმაც დაიმსახურა.

ნათელაშვილის გამოსვლაზე და არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებებზე კომენტარი უცხოელ სტუმრებს არ გაუკეთებიათ. რისთვის იყვნენ ამ შეხვედრაზე უცხოელები მოწვეული, ვერც თავად მათ გაიგეს და ვერც ჟურნალისტებმა.

**ლელა ხვადაგიანი**

ზურაბ წერეთელი აღშფოთებულია

# ნათელაშვილისნაირი ცილისმწამებელი მერი თბილისს არ ეკადრება!

**გასულ კვირას მთავარმა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა პრესკონფერენციაზე წაიკითხა სია იმ ცნობილი ქართველი ბიზნესმენებისა, რომლებიც თურმე დღევანდელი ხელისუფლების „შავ საქმეებს“ აფინანსებენ და, საერთოდ, მათი მიტაცებულიაო საქართველოს მთელი ავლა-დიდება.**

შალვა ნათელაშვილის სიაში „საპატიო“ ადგილზეა სახელგანთქმული ქართველი მოქანდაკე, მხატვარ-მონუმენტალისტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, მსოფლიოს კეთილი ნების ელჩი **ზურაბ წერეთელი.**





გუშინ ჩვენს რედაქციას ტელეფონით დაუკავშირდა ბატონი ზურაბი, აღშფოთება გამოთქვა შალვა ნათელაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სიაში მისი მოხსენიების გამო და დაბეჯითებით გვთხოვა, დაგვებეჭდა ეს განცხადება:

**— სასაცილოა, პირდაპირ,** — გვითხრა ბატონმა ზურაბმა, **— ვის ვაფინანსებ, რას ვაფინანსებ!.. მთელი ცხოვრება, ჩემი შრომით მოპოვებული შემოსავლით ვინმეს თუ ვეხმარები, გაჭირვებულ თანამოძმეებს ხელს ვუმართავ, ეროვნულ საქმეებს ვაფინანსებ (ამას ბევრი დამიდასტურებს!), ამით ბედნიერი ვარ და მგონია, რომ ყველა ქველმოქმედი ასეა.**

**ბატონმა შალვამ, რომელსაც არ ვიცნობ, კეთილი ინებოს და დამიმტკიცოს, რომელი ხელისუფალი დავაფინანსე ან როგორ მივითვისე ქართველი ხალხის ქონება... წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ევროპის სასამართლოში ვაგებინო პასუხი. როგორც გავიგე, ნათელაშვილი თურმე თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობს. პირდაპირ ვიტყვი: ასეთი ცილისმწამებელი მერი თბილისს არ ეკადრება!**

მარტონი როდი ვართ!

# ჩვენ დაგეხმარებით — ძმებო, ქართველებო!

**ჩვენ დაგეხმარებით — ძმებო, ქართველებო! ასეთი სათაურით აქვეყნებს, სტატიას უკრაინული გამოცემა „ფორუმი“.**

რუსულ-ქართულმა კონფლიქტმა ბოლოსდაბოლოს აალელვა უკრაინის პრეზიდენტი.

ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინა მზადაა მონაწილეობა მიიღოს ქართულ-რუსული კონფლიქტის დიპლომატიური მეთოდებით გადაწყვეტაში. ამის თაობაზე იუშჩენკომ ლვოვში ლიტვის პრეზიდენტ ვლადას ადამკუსოსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, — წერს გამოცემა.

ჩვენ დღეს განვიხილეთ სიტუაცია, რომელიც რუსულ-ქართულ ურთიერთობებში შეიქმნა, ჩვენ ლიტვასთან და პოლონეთთან ერთად გამოვთქვამთ შეშფოთებას ამ სიტუაციის გამო, — აღნიშნა იუშჩენკომ. სამი ქვეყნის პრეზიდენტმა კონფლიქტურ მხარეებს მოუწოდა „არ ააგონ ურთიერთობის სისტემა ზეწოლასა და კონფრონტაციაზე“. უკრაინის პრეზიდენტის აზრით, აუცილებელია რუსულ-ქართული კონფლიქტის დიპლომატიური და მოლაპარაკებების გზებით გადაწყვეტა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუკი იქნება კეთილი ნება, ჩვენ მზად ვართ ვიყოთ კონსტრუქციულები ამ კონფლიქტის გადაწყვეტაში, — აღნიშნა იუშჩენკომ და დასძინა, რომ უკრაინას არ სურს აღნიშნული კონფლიქტი გამოვიდეს კონტროლის საზღვრებიდან.

თავის მხრივ ადამკუსმა განაცხადა, რომ ისურვებდა ამ პრობლემაზე მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების გამახვილებას, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა „საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ ამ საკითხის მოგვარების შესაძლებლობები“, ადამკუსმა დასძინა, რომ იგი ისურვებდა, საქართველოს მიეცეს სრული უფლება, დაიცვას თავისი ნაციონალური ინტერესები და მიმართოს მსოფლიო საზოგადოებას.

ინფორმაცია

## დიპლომატიური გზები არ ამოწურულა

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ განცხადებები, თითქოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ჩიხში შევიდა და დიპლომატიური გზები ამოწურულია, სიმართლეს არ შეესაბამება.**



**მისი აზრით, დიპლომატიური კავშირი რუსეთთან არ გაწყვეტილა და სწორედ ახლა უნდა გააქტიურდეს დიპლომატიური მოლაპარაკებები.**

**განცხადებები რუსულ მედიაში, თითქოს კონფლიქტის დიპლომატიური გზები ამოწურულია, თავად რუსეთის „გრუს“ გავრცელებული ინფორმაციაა, — განაცხადა გაბაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

კომპეტენტური აზრი

# არ შეიძლება ქვეყანამ უცხო მტრული ძალის თავის ტერიტორიაზე ბოგინი აიტანოს



***იმ ისტერიულ ხმაურთან, ყოვლად წრეგადასული გრუზინოფობიის აფეთქებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩრდილოეთში მოჰყვა ქართველი კონტრმზვერავების მიერ რუსეთის ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავებასა და დაკავებას, აზრის გამოთქმა ვთხოვეთ კომპეტენტურ ექსპერტს, თადარიგის პოლკოვნიკს, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების საპატიო თანამშრომელს ტარიელ ვარდანაშვილს, რომლის მაღალპროფესიული კომენტარები მრავალგზის წაგიკითხავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.***

**— ბატონო ტარიელ, რას წარმოადგენს ეს „გრუ“? დღეს მისი სახელი ყველას პირზე აკერია, დანამდვილებით კი არაფერი ვიცით...**

— გრუ საბჭოთა პერიოდშიც საკმაოდ დიდი ფორმატით იყო განთავსებული თბილისში ოფიციალურად. მაშინ მისი ამოცანა ძირითადად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამხედრო-სადაზვერვო საქმიანობა იყო. თუმცა, როგორც შემდგომში გამოიკვეთა, ის ქვეყნის შიგნითაც საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა, ქმნიდა აგენტურულ ქსელს, სწავლობდა რეგიონს სამხედრო-პოლიტიკური, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სოციალურ ვითარებას და ა. შ.

გრუ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბთან არსებული მთავარი სადაზვერვო სამმართველოა. იგი ყოველთვის განსხვავდებოდა და ახლაც განსხვავდება სხვა სპეცსამსახურებისგან. არადა, ასეთი სადაზვერვო სამსახურები მრავლად ჰყავდა სსრ კავშირს და მრავლად ჰყავს მის სამართალმემკვიდრეს — რუსეთის ფედერაციას: იგივე **გრუ, კგბ** (ახლანდელი უშიშროების ფედერალური სამსახური), **სვრ** (საგარეო დაზვერვის სამსახური) და ა. შ. ყველას თავისი ფუნქცია აქვს, მაგალითად, პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვებას საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს და ა. შ.

გრუ საბჭოთა პერიოდიდანვე თავისი სკოლით, თავისი მეთოდებით გამოირჩეოდა და სხვა სამსახურებისგან, როგორც „ნაჯახით მომუშავე“, ანუ ყველაზე დაბალინტელექტუალური. მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს, ომამდეც გრუმ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ შემდეგ მან თავისი სახე მნიშვნელოვნად დაკარგა.

საქართველო უცხოეთის ქვეყნების დაინტერესების ობიექტს რომ წარმოადგენდა, ეს არავისთვის საიდუმლო არ იყო. 1991 წელს, სსრ კავშირი რომ დაიშალა, საქართველოს უშიშროების მუშაკებმა მთლიანად შევაქციეთ ზურგი ყოფილ ცენტრს. რა თქმა უნდა, მათ კავშირზე დაიტოვეს ისეთი სულგაყიდულნი, როგორიც იგორ გიორგაძე და სხვები არიან, მაგრამ ძირითადმა მასამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მაშინ რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ, საქართველოს კუთვნილი სახელფასო ფონდი თუ სხვა რამ, მთლიანად გრუს გადასცა და სპეცსამსახურების მას საქართველოში მუშაობის გაძლიერება დაავალა. როგორც იკვეთება, გრუ აგენტურის გადაბირებას აწარმოებდა. მაგალითად, რუსეთის ციხეში მოხვდებოდა თუ არა ვინმე გავლენიანი კაცი, გავლენიანი ოჯახის შვილი საქართველოდან, აუცილებლად ცდილობდა მის გადაბირებას.

**— რატომ გრუ და რატომ ფსბ — სუკის სამართალმემკვიდრე — არ აკეთებდა ამას?**

— ფსბ ცოტა სხვაგვარად, უფრო სკრუპულოზურად, ფრთხილად უყურებს აგენტურის შერჩევის საქმეს. კაცი აბსოლუტურად დადებითად (მათი თვალსაზრისით, მათი ნორმებით) უნდა ხასიათდებოდეს, ფსიქიკურად საფუძლიანად შემოწმებული უნდა იყოს, ერთი სიტყვით, ძალიან დიდი ფილტრი უნდა გაიაროს. გრუ კი არ უყურებს აგენტის მორალურ და სულიერ მხარეებს, ნებისმიერი პიროვნება შეიძლება გადაიბიროს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოვლენები ისე განვითარდა, გრუს თავისი ასეთი უხეში მეთოდებით გადაბირებული აგენტები მაინც გამოადგა.

— ამ დღეს, როცა გრუს ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავება გავიგე, დიდი ხანია ველოდი. საყოველთაოდ ცნობილია, არ არსებობს სახელმწიფო, სადაზვერვო სამსახური არ გააჩნდეს, რა ფორმითა და ფორმატით, რა მეთოდითა და შინაარსით მომუშავე, ეს სხვა საქმეა. რუსეთი თავისი სპეცსამსახურებით საქართველოს წინააღმდეგ რომ მუშაობდა, ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია. და აი, გრუს ფარდა აეხადა. რაც შეეხება სვრ-ს (საგარეო დაზვერვას), — არსებობს ხელშეკრულება რუსეთის სვრ-სა და საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტს შორის, ერთმანეთის წინააღმდეგ არ ვიმუშაოთო.

**— მერე სრულდება ეს ხელშეკრულება?**

— ჩვენი მხრიდან ნამდვილად სრულდება, რაც შეეხება რუსეთის მხარეს, პი-




რადად მე საფუძველი არა მაქვს, მასზე ეჭვი მივიტანო. ასევე — ფსბ-ს ხაზით. ამრიგად, ვვარაუდობ, რომ საქართველოში ჩვენ წინააღმდეგ ძირითადად გრუ მუშაობს. ეს გასაგებიც არის — აქ რუსული სამხედრო ნაწილები დგას და ამდენად, გრუს ინტერესთა სფერო და ასპარეზი უფრო გამოკვეთილია.

ყოველთვის მაწუხებდა, რომ უცხოეთის აგენტურული ქსელის მასშტაბური გამოვლენა ჩვენს სპეცსამსახურებს აქამდე არ ჰქონდათ. და ძალიან გამიხარდა, როცა დავინახე, რომ მათ მიაღწიეს ასეთ შედეგებს, როგორსაც საქართველოს უმაღლესი ინტერესები მოითხოვს. არ შეიძლება ქვეყანამ თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მტრული ძალის განუკითხავად ბოგინი მოითმინოს და აიტანოს.

**— თქვენი აზრით, რატომ ატეხა ასეთი ხმაური რუსეთმა?**

— გამაოცა რუსეთის ისტერიამ! მისთვის რა, პირველი შემთხვევაა, როცა აგენტურას უაშკარავებენ უცხოეთის ქვეყნებში? ან ის დემარში რას ჰგავს — საელჩოს თანამშრომლებისა და მათი ოჯახების სასწრაფოდ გაყვანა. ვითომ, მსოფლიოს დაანახვეს, საქართველოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ დიპლომატებსა და მათ ცოლებს ქუჩაში ხიფათი ელით, ბავშვებს შიშით სკოლაში ვერ უშვებენ და ამიტომ მათი ევაკუაცია იმიტომ მოვახდინეთო! ამას ამბობენ საქართველოზე, სადაც არასოდეს, მთელი ისტორიის მანძილზე ეთნიკური ნიშნით არც ერთი ერის მიმართ ბოროტი ქმედება კი არა, განზრახვაც არ ყოფილა. უნიკალური ტოლერანტები ვართ, იმდენად, რომ იქნებ ვაჭარბებთ კიდეც, იქნებ ამდენი საჭირო არც იყოს.

**— ყველაფრის თავი და თავი სერგეი ივანოვის განცხადება იყო, იქიდან დაიწყო ყველაფერი.**

— ივანოვი ძალიან გამწარდა. და აი, რატომ: გრუ მისი უწყების სტრუქტურაა; გრუს თავისი მუშაობა რომ ეჩვენებინა (თბილისში მომუშავე ქვედანაყოფი მაქვს მხედველობაში), იგი რაღაც ინფორმაციებს აგზავნიდა მოსკოვში, გრუს უფროსი ივანოვს მოახსენებდა, ეს და ეს გავაკეთეთო, ივანოვი კი, თავის მხრივ, პრეზიდენტს უპატაკებდა. და თურმე ყველაფერი ბლეფია. ერთი გადახედეთ დაკავებული ოფიცრების აგენტურას. რა ინფორმაცია უნდა მოეპოვებინათ ამ მათხოვრებს! ლაპარაკი არც შეიძლებოდა პირველი კატეგორიის ინფორმაციაზე: განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოებებზე. ისინი აწვდიდნენ ცნობებს, რომლებიც ხელისგულზე იდო, საიდუმლოების საფარველში ახვევდნენ და ისე აგზავნიდნენ, რათა გაემართლებინათ იმ ფულის ხარჯვა, რასაც მათ აძლევდნენ. სადღაც შვიდი „ბოჩკა“ (ტანკი) დევსო. ტანკებს კი არა, კოსმოსური დაზვერვა, რომელიც საკმაოდ კარგად აქვთ რუსებს აწყობილი, დედამიწაზე ასანთის კოლოფს აფიქსირებს. სადღაც თამარისში შვიდი „ბოჭკა“ რა მოსატანია. აი, სიბრიყვე!

**— რუსეთი ლამის ბიბლიაზე იფიცებს, პროვოკაცია მოგვიწყვეს, დაკავებულები აბსოლუტურად მართლები არიანო. ის კადრები, რომლებიც „ნივთმტკიცებად“ ვნახეთ, ნაღდია?**

— ათასპროცენტიანია! ოღონდ აშკარაა, რომ თვითონ გრუელები ამას სერიოზულ მუშაობად აჩეჩებდნენ ცენტრს, როგორც გითხარით, ამ აგენტურით რაიმე ღირებულის მოპოვება ყოვლად წარმოუდგენელია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჯაშუშთა მიერ დაქირავებულნი სამშობლოს არ ღალატობდნენ.

**— ჰოდა, რაკი თვით რუსეთის სამხედრო თუ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მშვენივრად იცის, რომ გრუს ჯაშუშური ქსელი მართლაც მუშაობდა აქ, რატომ გაიგიჟეს თავი და ასეთ გამწვავებაზე წავიდნენ?**

— არც ერთი ქვეყანა პირველ ეტაპზე არ აღიარებს, რომ მხილებული მზვერავები მას ეკუთვნის. საბჭოთა კავშირმა თავის დროზე აბელზე თქვა უარი, არ ვიცით, ვინ არისო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი „მეორე ეტაპზე“ კი აღიარებს?**

— იცით რაშია საქმე? ჯაშუშთა ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოვლენა, სპეცსამსახურების საქმეა, ხოლო მათი შემდგომი ბედი — პოლიტიკისა. ვნახოთ, როგორ წარიმართება პოლიტიკური ვითარება.

**— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ამ ისედაც გამწვავებულ ვითარებაში ჯაშუშთა დაკავება ასეთი ხმაურით კი არა, უხმაუროდ მომხდარიყო, მხარეები შეთანხმებულიყვნენ, მათს, ასე ვთქვათ, ჩუმად გაყვანაზე ქვეყნიდან, ან გაძევებაზე, ან პერსონა ნონ გრატად გამოცხადებაზე და ა. შ.?**

— არა და აი, რატომ. ფაქტებზე დაიჭირეს, დამამტკიცებელი მასალები წარუდგინეს და უარს ამბობენ და მაშინ უარესს არ იზამდნენ? ჩვენ რა ხმაური ავტეხეთ, დავიჭირეთ, გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი და გამოაცხადა, ასე და ასეო. სრულიად ბუნებრივი ქმედება იყო. ხოლო თუ რუსეთის მხარემ ატეხა ვაი-უშველებელი, ეს მისი პრობლემაა.

**— ხომ არ შეიძლება დავუკავშიროთ ამ ქსელის ჩავარდნა გიორგაძის პარტიის ჩავარდნას? შეიძლებოდა მათ შორის რაიმე კავშირი ყოფილიყო? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ აქა-იქ ასეთი ხმა გაისმა.**

— შეიძლება მათ ერთი საბოლოო მიზანი კი ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის რაიმე კავშირის შესახებ რაიმეს თქმა არ შემიძლია, საფუძველი არ მაქვს. გიორგაძე უფრო სვრ-ის საფარქვეშ საქმიანობს. ისე კი შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ძალიან გააღიზიანა იმან, რომ ჯერ გიორგაძის პარტია ჩავარდა, ახლა კი ეს.

**— ბატონო ტარიელ, თქვენი აზრით, რატომ სდუმდა აქამდე პრეზიდენტი პუტინი, ამ სკანდალთან დაკავშირებით, სანამ ისიც მხარს აუბამდა თავდაცვის მინისტრსა და გენერალიტეტს?**

— ამ ფაქტის შესახებ თავდაცვის სამინისტრომ ალბათ უმალ მოახსენა პრეზიდენტ პუტინს. პრეზიდენტმა, რომელიც თავის მხრივ, ძველი ჩეკისტია და თავის დროზე გერმანიაში სწორედ დაზვერვის ხაზით მუშაობდა, რა თქმა უნდა იცოდა, რომ საქართველოში რაღაც სადაზვერვო სტრუქტურა არსებობდა. როცა ასეთი რამ ხდება, საქმე ასე წარიმართება: სვრ-ის რეზიდენტურას დაავალეს, დაგვიდგინეთ, რა მოხდაო. სანამ პრეზიდენტს სვრ-ის რეზიდენტურა ზუსტ ინფორმაციას დაუდებდა მაგიდაზე, პუტინს ხმა არ ამოუღია. პუტინის განცხადების მიხედვით, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა ხასიათის, რა განწყობის მონაკვლევი მასალაც დაუდეს მას. ეს მოსალოდნელიც იყო.

იხ. 4 გვ.

განსჯა

# მასტერკლასი ქართველი

## 10. სასამართლო ხელისუფლება – გაჭიანურებული რეფორმებით მიუღწეველი მიზანი

**საქართველოში მიმდინარე დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის მიზნით ათიოდე წლის წინათ დაწყებული და მიმდინარე რეფორმა, იმის კიდევ ერთი ნიმუშია, რომ ქართველი კანონმდებლების საქმიანობაში მყარ ჩვეულებად ჩამოყალიბდა პრაქტიკა, როცა სახელმწიფო მოწყობის პრინციპული საკითხების კონცეპტუალური გაუაზრებლობის გარეშე, ზედაპირულად, ხშირად სპონტანური კერძო მოსაზრებებიდან გამომდინარე ხორციელდება სახელისუფლებო სისტემის შტოების ფუძემდებლური პრინციპების და მისი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების იურიდიული საფუძვლების საკანონმდებლო გაფორმება. მთელი ამ კურსის ერთგვაროვნება იმაშია გამოხატული, რომ ხელისუფლების შტოების დამოუკიდებლობა, ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის სისტემაზე, მმართველი პარტიის ინტერესებზე ხდება დამოკიდებული. და მაშინ როდესაც კონსტიტუციონალიზმში, ხელისუფლების დანაწილების სისტემის მრავალმხრივი ანალიზით, ხელისუფლების შტოთა შორის ყველაზე დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოების სისტემაა, საქართველოს სინამდვილეში სასამართლოც კი, მმართველი პოლიტიკური პარტიის დაშინების ზეობის იდეოლოგიიდან გამომდინარე, ერთპარტიული მართლწესრიგის რეალიზაციის პროცესში აღმოჩნდა ჩათრეული. ამაზე მეტყველებს უკანასკნელ ხანებში გახმაურებული, „სამართალდამცავი“ ორგანოების მიერ ჩატარებული ახალგაზრდების უმიზეზო ხოცვა-ჟლეტის აქციებზე (გირგვლიანი, რობაქიძე და სხვ.) განხორციელებული ე.წ. მართლმსაჯულება.**

მიზეზთა-მიზეზი მიმდინარე სასამართლო რეფორმაში უნდა ვეძიოთ. ამაზე, პირველ რიგში, მიღებული საკანონმდებლო აქტების ქრონოლოგიური ექსკურსიც ნათლად მეტყველებს. სწორედ იგი იძლევა წარმოდგენას რეფორმატორთა კვალიფიკაციაზე, მათ მიერ დასახული რეფორმის მიზანმიმართულებასა და კურსის არათანმიმდევრულობაზე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მოქმედ კონსტიტუციაში განსაზღვრული ძირითადი პრინციპების საფუძველზე იქნა მიღებული ორგანული კანონები: 1997 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“, ხოლო 1999 წელს „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“. მთელი შემდგომი პერიოდის, განსაკუთრებით კი 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ, ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ფართო პროპაგანდა იყო გაშლილი წარმატებული სასამართლო რეფორმის თაობაზე. თუმცა, რეფორმატორთა მიერ 2004 წლის პირველი ნაბიჯები მხოლოდ საპირისპიროს ადასტურებენ. საგანგაშო კი ის არის, რომ არც ახალი ცვლილება-დამატებებია მოწოდებული სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

უნდა ვაღიაროთ, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა, მისი სრულყოფის პროცესი, რთული და ხანგრძლივი საქმეა. მთელ რიგ ქვეყნებში იგი ეტაპობრივად ხორციელდება. საქართველოში მიმდინარე სასამართლო ორგანოების რეფორმაზე ამას ვერ იტყვი. 2004 წელს კონსტიტუციაში და აღნიშნულ ორგანულ კანონებში შეტანილი ცვლილება-დამატებები იმის მაჩვენებელი ნამდვილად არ არის, რომ ახლა რაღაც ერთიანი პროცესის გაგრძელების სახით მეორე ეტაპი მიმდინარეობს. 1997 წელს ხმაურით დაწყებული და მიმდინარე, ზარზეიმით შეფასებული სასამართლო რეფორმა, ამ განწყობილებების ადეკვატური ნამდვილად არ აღმოჩნდა. თუ ვინმე მაინც თვლის, რომ ცვლილებების ახალი ნაკადი რეფორმის მეორე ეტაპია, მაშინ ეს იმის ცალსახა აღიარებაა, რომ რეფორმის პირველი ეტაპის ათეულმა წელმა სასურველი განვითარება ვერ მიიღო.

2004 წელს კონსტიტუციაში და მას შემდეგ აღნიშნულ კანონებში შეტანილი ცვლილება-დამატებები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დაწყებული რეფორმის დინამიურ სრულყოფაზე მიმართული ღონისძიებების კომპლექსი. ამჯერად, რეფორმატორებმა პირველადი კურსის მიმართ არსებითი, სერიოზული ცვლილებები გაითვალისწინეს. 2004 წლიდან, ფაქტობრივად, სხვა პრინციპულ ორიენტირებზე მიმართული სასამართლო რეფორმა დაიწყო. ასე რომ, თავად რეფორმატორებმა, მათივე ახალი ნაბიჯებით, აღიარეს, რომ 1997 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმა არ იყო სრულად და სრულფასოვნად გააზრებული, რის გამოც შვიდწლიანი შრომა წარუმატებელი აღმოჩნდა. 2004 წლის შემდგომ, სასამართლო ორგანოების სრულყოფისა და აღჭურვის თვალსაზრისით გადადგმულ ნაბიჯებს თუ შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოთა რეფორმირების ახალი მცდელობა მეტი აქტიურობით გამოირჩევა, უფრო ძლიერია კანონმდებელთაგან წამოსული ცვლილება-დამატებების ნაკადი, ბევრი რამ კეთდება სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოების შენობების რემონტისა და ფასადების მოწესრიგების მიზნით. მაგრამ, როდესაც კანონმდებლობის ცვლილება-დამატებების ახალი ნაკადის რეალურ შეფასებას ვახდენთ, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე რეფორმა თავად სასამართლოთა დამოუკიდებლობის ნაწილში, ფასადის მიღმა ბევრი არაფრის შეცვლაზეა მიმართული.

ასეთი შეფასების საფუძველს 2004 წლის დასაწყისიდან განხორციელებული ცვლილება-დამატებების კასკადი და მათი მეშვეობით სასამართლო რეფორმის პროცესში შემოტანილი მნიშვნელოვანი სიახლეები იძლევა. 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავში „სასამართლო ხელისუფლება“, ორი ცვლილება იქნა შეტანილი. კონსტიტუციაში გაჩნდა დამატება იმის თაობაზე, რომ „საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება“ (მუხლი 82 პუნქტი 5¹, რაც მთლიანობაში ცვლის საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების წესს.

ამას გარდა, კონსტიტუციიდან ამოღებული იქნა 91-ე მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს პროკურატურა გამოცხადებული იყო სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად. ერთი შეხედვით, ამ მარტივი ცვლილების მიზანი იყო პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობის სტატუსის დაფიქსირება. გამოვიდა ის, რომ ამ ცვლილებამ 7 წლის მანძილზე მშენებარე სასამართლო ორგანოების სისტემასთან მიმართებაში არსებითი მნიშვნელობა შეიძინა. შედეგად, საქართველოს პროკურატურამ სასამართლო ხელისუფლების იერარქიაში ადგილმდებარეობა შეიცვალა. იგი აღარ არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, ფაქტობრივად კი ამაღლდა სასამართლოებზე, რაც იმითაც იქნა განმტკიცებული, რომ გენერალური პროკურორი თანამდებობრივად იქნა შეყვანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიზანი კი სასამართლო რეფორმების გასატარებლად წინადადებების შემუშავება, მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევა და წარდგენა, მათი თანამდებობიდან განთავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულებაა. ასე რომ, საქართველოს პროკურატურამ, საბჭოური პროკურატურის პრაქტიკაში მოქმედი საერთო ზედამხედველობის ფუნქციაც შეიძინა, აქტიურად იყენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს და სასამართლოები იმდენად დაიქვემდებარა, როგორც ამბობენ, პროკურატურის ყველა, მათ შორის მტკიცებულებათა გარეშე შეთხზულ ბრალდებებსაც სრული გაგებით ეკიდებიან.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, სასამართლო სისტემის საქმიანობის მარეგულირებელ ორ უმთავრეს კანონში შეუცვლელი დარჩა მათი დასახელება და ექსპრეზიდენტის ხელმოწერა. კერძოდ, კანონში „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ 2004 წლის 30 ივნისიდან შვიდჯერ იქნა შეტანილი შესწორებები. მთლიანობაში კანონში ორმოცზე მეტი ცვლილება-დამატება განხორციელდა: მუხლი და პუნქტი შევიდა ახალი 6, შეიცვალა – 22, ხოლო ამოღებული იყო 44. ამასთან, გაფორმდა ცვლილებები უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაში, შეიქმნა სადისციპლინო პალატა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იცვალა სახე კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელმაც იმავე პერიოდში ცხრაჯერ განიცადა ცვლილება-დამატებები. კანონს დაემატა ახალი 2 თავი და 12 მუხლი, რედაქციული და სხვა ცვლილებები განიცადა 22 მუხლმა და 55 პუნქტმა, ამოღებული იქნა 1 თავი, 8 მუხლი და 15 პუნქტი. ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია მსჯელობა 1997 წელს მიღებული კანონით დაწყებული სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაზე. ამის საფუძველი არა მხოლოდ ცვლილებების მოცემული სტატისტიკაა. კანონში შევიდა მრავალი არსებითი სიახლე, რომელზეც იმ დროს არც არავის უფიქრია. აღნიშნული ცვლილებების ძალით შეიქმნა სააპელაციო სასამართლო, სასამართლოს მანდატურის ინსტიტუტი. სასამართლო რეფორმისადმი არასერიოზული მიდგომის მაჩვენებელია ის, რომ შესწორებების გარკვეული ნაწილი ხელმეორე შესწორებას საჭიროებს. ერთი ასეთი ნიმუშია კანონმდებელთა დამოკიდებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რაოდენობრივი და თვისებრივი ფორმირების საკითხებისადმი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 1997 წლის კანონის ძალით 12 წევრისაგან შედგებოდა, მაგრამ 2004 წლის ცვლილებებით მათი რაოდენობა ცხრამდე შემცირდა, ხოლო 2005 წლის ბოლოს მიღებული ცვლილებებით იუსტიციის საბჭოს წევრთა რაოდენობა თვრამეტამდე გაიზარდა.



სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არსებით დატვირთვას იძენს სასამართლო ორგანოების სისტემაში მოქმედი მართვის და თვითმმართველობის სტრუქტურების არსებობა და მათი კომპეტენციური აღჭურვილობა. სწორედ ასეთ ერთობლიობაშია მოაზრებული ჩვენთან იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც მართვის ორგანო და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, როგორც თვითმმართველობის ორგანო. საფიქრებელია, რომ ევროპული ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, ასეთი ინსტიტუტების კომპეტენციური ფარგლები კონსტიტუციით იყოს რეგლამენტირებული.

ქვეყნების დიდ ნაწილში, ფუნქციურად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იდენტურ ორგანოებში, მოსამართლეებს ეკუთვნით ხმების გარანტირებული უმრავლესობა (ესპანეთი, რუმინეთი ძ. მაგალითად, უკრაინაში, საბჭოს შემადგენლობაში 20 წევრიდან 11-ს მოსამართლეთა და ადვოკატთა ყრილობა ნიშნავს, ხოლო სლოვენიაში – 11-წევრიან საბჭოში 5 წევრს უნივერსიტეტების სამართლის პროფესურისა და ადვოკატებისაგან – პრეზიდენტის წინადადებით აირჩევს პარლამენტი, ხოლო 6 წევრს თავისი რიგებიდან – უვადოდ მოქმედი მოსამართლეები ირჩევენ. ჩვენ კი უკვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მესამე ვარიანტს ვქმნით და ყოველ ჯერზე ფორმირების შერეული წესით.

მახსენდება, 1997 წელს, პარლამენტის წევრები როგორ აქტიურობდნენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვის დროს, რათა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტისათვის გამოყოფილი 4 წევრის კვოტა მთლიანად პარლამენტის წევრებით დაკომპლექტებულიყო. გარკვეული კამათის შემდეგ გაჩნდა ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ პარლამენტი ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 წევრს, რომელთაგან 3 არის პარლამენტის წევრი. სხვათა შორის, ეს იყო ქართულ კანონმდებლობაში რეგლამენტური ნორმის პერსონიფიცირების პირველი მცდელობა. მას შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხან ერთი და ახლა მეორე მმართველი პარტიის საპარლამენტო ლიდერთა სავანე გახდა.

ახლად შექმნილი იუსტიციის უმაღლესი საბჭო 18 წევრიდან ოთხი წევრი მმართველი პოლიტელიტის თანამდებობრივი ნომენკლატურაა: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. ასე რომ, პარლამენტის ასარჩევი ოთხეული კიდევ ერთი ხმით გაიზარდა. ამას ემატება პრეზიდენტის მიერ დასანიშნი 2 წევრი, რომელთაგან ერთი ხდება საბჭოს მდივანი. გამოდის, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა იუსტიციის საბჭოში, რომელიც ისედაც პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, მართვის სადავეებთან ერთად, ხმების აბსოლუტურ უმრავლესობასაც ფლობს. გარდა იმისა, რომ საბჭოს ფორმირების მოცემული წესი არ არის დაცული სხვა ხელისუფლების შტოთა შეჭრისაგან, მთლიანობაში, სწორედ იგი ის ერთი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-192.

ინფორმაცია

## ფეხბურთის მოედანი უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გუშინ დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი გახსნა.**

**როგორც გიგი უგულავამ აღნიშნა, იგი იმედოვნებს, რომ სტუდენტები „ჯოკერის“ თამაშის პრაქტიკას ფეხბურთის თამაშით შეცვლიან.**

**თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტ გიორგი ავალიანის თქმით, დღემდე უნივერსიტეტს არანაირი სპორტული კომპლექსი არ ჰქონდა. ამიტომ, მათ სტადიონის მოწყობის თხოვნით მერიას მიმართეს.**

**სტადიონის გახსნის შემდეგ უგულავა I კორპუსის სხდომათა დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა.**

**ინტერპრესნიუსი**

კომპეტენტური აზრი

# არ შეიძლება ქვეყანამ უცხო მტრული ძალის თავის ტერიტორიაზე ბოგინი აიტანოს

(მესამე გვერდიდან)

**– და მაინც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავისი ანტიქართული განწყობა რუსეთმა მსოფლიოს ვერ მოახვია.**

– ნახეთ, როგორ დააბუქსავეს რუსეთი უშიშროების საბჭოში, ნატოს თავდაცვის მინისტრების სამიტზე? ნატომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის საქართველოს დაჩქარებული წესით ნატოში გაწევრიანების შესახებ. ამ საქმისთვის 20 მილიონი დოლარი გამოიყო, აქედან 10 მილიონი – საქართველოსთვის.

რუსეთმა საერთაშორისო მასშტაბით წააგო. იმიტომ, რომ მართლები ვართ. ამ ამბის გამო ჩვენი პრეზიდენტის ნათქვამ ვერც ერთ სიტყვაში ეჭვს ვერ შეიტან.



**– ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ვითარება, ფაქტობრივად, ომის ზღვრამდეა მისული.**

– არა, არა, ომი არავითარ შემთხვევაში არ იქნება, გამორიცხულია. ოღონდ ეს კია, აფხაზეთში და ცხინვალში შემოყრიან განუსაზღვრელი რაოდენობის უახლეს იარაღს, ცოცხალ ძალას.

**– პუტინი აფხაზეთში რეფერენდუმითაც იმუქრება.**

– ეგ რეფერენდუმი დაღუპავს თვით რუსეთს. არ ითვალისწინებს, რომ იქიდან 300 ათასი კაცი გამოყრილია. ამბობენ, რომ დღეს აღმოსავლეთ ციმბირში 20-30 მილიონამდე ჩინელია შემოსული და დასახლებული. 5-10 წელიწადში შეიძლება 100 მილიონამდეც ავიდეს. მოვა დრო, ის 100 მილიონი ჩინელი რუსეთს გაახსენებს აფხაზეთს, ჩაატარებს რეფერენდუმს და მთელ ციმბირს წაიღებს. ეს არის რუსული პოლიტიკის მოკლე ჭკუა. უპრეცედენტო ამბავი ავიღოთ მსოფლიო ისტორიაში – რუსებმა ავტომატურად დაურიგეს აფხაზებსა და ოსებს რუსეთის მოქალაქეობა. ამ დროს ყირგიზეთში დისლოცირებულ რუსეთის ჯარში მომსახურე ყირგიზ ოფიცერს, რომელმაც რუსეთის გმირობა მიიღო, რუსეთში რამდენიმე თვის მანძილზე მოქალაქეობა არ აღირსეს, სანამ როგორღაც პრეზიდენტს არ მიაწვდინა წერილი. ამ დროს კი აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, ხატოვნად რომ ვთქვათ, პირდაპირ თვითმფრინავიდან გადმოყარეს პასპორტები. აი, რუსული ორმაგი სტანდარტი.

**– დაბოლოს, საბოლოოდ როგორ შეიძლება დამთავრდეს ჯაშუშთა საქმე?**

– ყველა ვარიანტში გამოძიება უნდა დასრულდეს, საბრალდებო დასკვნა უნდა დაიწეროს, სასამართლო განხილვა უნდა შედგეს. სასჯელებს რომ გამოიტანენ, მერე უკვე პრეზიდენტს კონსტიტუციით უფლება აქვს შეიწყალოს ისინი და რუსულ მხარეს გადასცეს. ალბათ ასეც მოხდება.

**ესაუბრა ალეკო ასლანიშვილი**

განსჯა

# კანონმდებლებისთვის

მნიშვნელოვან ფაქტორთაგანია, რომლის გამოც სასამართლო ორგანოების სისტემა არ არის და ვერც იქნება დამოუკიდებელი.

როდესაც სახელმწიფოში, ხელისუფლების ყველა ორგანოზე ასეთი მრავალფეროვნებით მოქმედებს ერთპარტიული გავლენა, ხოლო მოსამართლეებს, ფაქტობრივად, ხმების უმრავლესობა არა აქვთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, მით უფრო რომ 8 წევრი-მოსამართლეც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით აირჩევა. ცხადია, საბჭოც პოლიტიკური გავლენის ობიექტად რჩება.

რაც შეეხება მოსამართლეთა კონფერენციას, როგორც სასამართლოთა თვითმმართველობით ორგანოს, თავისი უფლებამოსილებებით იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე იმდენად მიბმული საზოგადოებრივი თავყრილობაა, რომ საკუთარ რეგლამენტსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო უმტკიცებს. 2006 წლის აგვისტოში, უკანასკნელ შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ კონფერენციის ერთი მიზანი რეფორმირების ნაბიჯების გაანალიზება-შეფასებაა. როგორ მინდა დავიჯერო, მაგრამ ძალზე რთულია. ის ფაქტი, რომ შვიდწლიანი რეფორმის განმავლობაში, მოსამართლეთა კონფერენცია სამი წელია აღარ შეკრებილა, იქნებ სულაც იმის აღიარებას ნიშნავს, რომ რეფორმას არ ჰქონია ისეთი ნაბიჯები, რომელთა გაანალიზება-შეფასებისათვის ღირდა მოსამართლეთა კორპუსის „საქმიდან მოწყვეტა“. თუ არადა, შეიძლება რეფორმატორთა შტაბისთვის სულ ერთია მოსამართლეთა კორპუსის პოზიცია და დამოკიდებულება სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებთან, რომელიც ისევე როგორც რეფორმების მიმდინარეობა „ორგანიზებული“ ქაოსით გამოირჩევა.

სასამართლო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ განვლილი ნაბიჯების შეფასება იმას ადასტურებს, რომ იგი არ იყო ფუნდამენტურ ცვლილებებზე გააზრებული და ამიტომ გახდა საჭირო ამდენი პრინციპული ცვლილება-დამატებების განხორციელება. თუ ჩავთვლით, რომ ამჯერად მაინც რეფორმა სწორ ჩარჩოებშია მოქცეული, სასამართლოთა დამოუკიდებლობის ჭრილში, თვითმმართველობის ორგანოების რეფორმირებისა და კომპეტენციის საკითხების დაზუსტებასთან ერთად, უთუოდ გასათვალისწინებელია კადრების შერჩევის პრინციპებისა და მათი მომზადების სისტემის სრულყოფა.

ცხადია, სასამართლო ორგანოები ახალ სისხლს საჭიროებდა, ბევრი საკადრო ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ჯანსაღი სისხლის დეფიციტი კვლავაც სახეზეა. ისიც გასაგებია, რომ მოსამართლეთა კორპუსის გაახალგაზრდავების ინიციატივა სასამართლოთა განწმენდის მიზანს ემსახურება. მაგრამ კეთილი მიზნების რეალიზაციის გზის ძებნას სერიოზული დაფიქრება სჭირდება. ჩვენ კი ამ უსერიოზულესი საკითხის მარტივი გზით გადაწყვეტა განვიზრახეთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს ფუძე-საყრდენი დამოუკიდებელი მოსამართლეა. მოსამართლის დამოუკიდებლობას კი კონსტიტუციურ გარანტიებთან ერთად, მისი ისეთი პიროვნული თვისებები უნდა განამტკიცებდნენ, როგორებიცაა მაღალი კვალიფიკაცია, პატიოსნება და სამართლიანობის დამცავი პრინციპულობა. სხვათა შორის, როცა წესიერი, პრინციპული კადრების ასეთი დეფიციტია, მათ შორის სასამართლოებში, მათზე ზრუნვაა საჭირო. მიმდინარე ცვლილებების დროს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ნაუცბათევად დანიშნული, მორალური რეპუტაციის შეულახავი ახალგაზრდა მოსამართლე, რომელიც ასეთი იმიტომაც არის, რომ ცხოვრებისეული გამოცდის ჟამი არ დადგომია, სწორედ საქმიანი და პროფესიული გამოუცდელობის გამო, გახდა არა მხოლოდ საკუთარი რეპუტაციის, არამედ მთლიანად ამ იდეის შელახვის საფუძველი.

სასამართლო ხელისუფლებაში, სადღეისოდ შექმნილი რეალური მდგომარეობა, სხვა მიზეზების ჩამოთვლას რომ არ მოვყვეთ, მოსამართლეთა დიდი ნაწილის კვალიფიკაციის დაბალ დონეზე მიგვანიშნებს. ჩვენ კი, ამ სფეროში მთელ საკადრო პოლიტიკას კრიტერიუმების გამარტივების გზით წარვმართავთ. რამდენადაც ამოსავალ კრიტერიუმად დაბალი ასაკი მივიჩნიეთ, ამდენადვე შემცირდა კვალიფიკაციისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელობა. ამას გარდა, ზოგჯერ ასაკი ხისტადაა განსაზღვრული და ამიტომ, ერთ შემთხვევაში, არათანაზომადია ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მეორე შემთხვევაში არათანაზომადია შესაბამისი თანამდებობის პასუხისმგებლობისა.

მთელი სასამართლო ხელისუფლების ქვედა ასაკობრივი ზღვარი 25 და 28 წელს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში — 30 წელს შეადგენს. კრიტერიუმები ყველაზე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ: მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, უმაღლესი იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5-წლიანი გამოცდილებით. იმის გათვალისწინებით, რომ „უმაღლესი იურიდიული განათლება“ ორსაფეხურიანი გახდა (ბაკალავრიატი — 4 წელი (მაგისტრატურა — 2 წელი) და საშუალო განათლება 12-წლიანი ხდება, ყველა აღნიშნული მოთხოვნის შესრულება 28 წლამდე სათუოა, თუ მოსამართლეობის მსურველმა დროში არ შეათავსა არა მხოლოდ სწავლა და მუშაობა, არამედ მოსამართლის გამოცდების ჩაბარებაცა და სპეციალური სასამართლო სასწავლო კურსის გავლაც. გამოდის, რომ კონსტიტუციურ ცვლილებას მოსამართლის ასაკის 30-დან 28 წლამდე ჩამოწევას არანაირი გათვლები არ ედო საფუძვლად და ვერც იმას დავეთანხმებით, რომ ე.წ. დაუსწრებელი სწავლა-მუშაობის შეთავსების დაჩქარებული მეთოდით მოსამართლეთა „სერიულმა“ გამოშვებამ რაიმე სასიკეთო ცვლილება გამოიღოს სასამართლო სისტემის სერიოზულად შელახული ავტორიტეტის აღსადგენად.

საერთოდ, გაუგებრობის მთელი კომპლექსი უკავშირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესებს, მათ შორის ასაკობრივი ცენზისა და შერჩევის კრიტერიუმების თვალსაზრისითაც. ის ფაქტი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ არის მოაზრებული, იმ დროის გადმონაშთია, საპრეზიდენტო მართვის მოდელის პირობებში ხელისუფლების ყველა შტოს მართვის ბერკეტები ერთმმართველის ხელში რომ იყო თავმოყრილი. პრეზიდენტს არც მაშინ ეცალა იუსტიციის საბჭოსთვის და არც ახლა სცალია. მაგრამ ის, რომ საბჭოს საქმიანობას წარმართავს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორიდან, მის მიერვე საბჭოს მდივნის რანგში აყვანილი ერთ-ერთი წევრი, ესეც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტისადმი პირდაპირ ქვემდებარებაზე მიანიშნებს. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რომ ასეთი პასუხისმგებლობის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საბჭოს წევრმა — 25 წლის საქართველოს მოქალაქემ უმაღლესი იურიდიული განათლებით, მეტი რომ არაფერი მოეთხოვება. გამოდის, რომ საბჭოს მდივანი შეიძლება იყოს ახალი კურსდამთავრებული, რომელიც მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს და წარმოდგენაც არა აქვს სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე.

ამ დროს, საზღვარგარეთის სხვადასხვა დასახელების, ფუნქციურად იდენტური ორგანოების ხელმძღვანელობა სახელმწიფოს პირველ მოსამართლეს — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეკისრება (ესპანეთი, საბერძნეთი და სხვ.ქ. განსხვავებულია შერჩევის კრიტერიუმებიც. ასეთი საბჭოების წევრებად აირჩევიან მოსამართლეები და სხვა იურისტები, რომელთაც სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 15 წლის გამოცდილება აქვთ (ბულგარეთი, ესპანეთი და სხვ.ქ. ცხადია, ასეთი მოთხოვნების პირობებში, ასეთი დონის ორგანოებში, ასეთ ჟაბუკებს ადგილი არა აქვთ, თუნდაც რომელიმე პარტიის სიით პარლამენტში მოხვედრილებს, რომელთა მიერ ძირითადი საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებაც ნამდვილად უკეთესს ისურვებდა.

სასამართლოებისათვის სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადება ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება ქართული მართლმსაჯულებისათვის. ამ მხრივ, უთუოდ გასათვალისწინებელია ცნობილი იურისტის რენე დავიდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „სასამართლო ხელისუფლების ავტონომია იურისტების სწავლებისა და შერჩევაშიც მჟღავნდება, რაც მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ორგანოების მიერ ხორციელდება და მინდობილი არა აქვს უნივერსიტეტებს ან სასამართლოებისაგან დამოუკიდებელ სხვა დაწესებულებებს“.

ჩვენ კი ნახევარღონისძიებებით ვწყვეტთ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს და მიგვაჩნია, რომ მოსამართლე სრულფასოვნად შეუდგება თავისი მოვალეობების შესრულებას სამოსამართლეო გამოცდების ჩაბარებისა და ორ-სამთვიანი სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ. არადა, დავიდისეული მოსაზრების საფუძველზეა შექმნილი მრავალი ევროპული სახელმწიფოს მოსამართლეთა მომზადების სისტემა, რომელთაგან უთუოდ იმსახურებს ყურადღებას გერმანული და ფრანგული გამოცდილება.

სხვათა შორის, რიგითი მოსამართლის მიმართ განსაზღვრული კრიტერიუმების სრულ ჩამონათვალს არც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისადმი წაყენებული მოთხოვნები ითვალისწინებს, თითქოს ამ საქმის წარმართვას განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება არ ესაჭიროებოდეს. მაგალითად, ავსტრიაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები აირჩევა მოსამართლეებისა და უნივერსიტეტების სამართლის პროფესურისაგან; გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელიც საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების მიღების შემდეგ გაივლის მოსამზადებელ სამსახურებრივ სტაჟირებას და სახელმწიფო გამოცდასაც ჩააბარებს. რიგ ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, იგივე ავსტრიაში და უკრაინაში 10 წელი, ესპანეთში — 15, იტალიაში კი კანდიდატ ადვოკატს 20-წლიანი პროფესიული სტაჟი. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილია საკმაოდ მაღალი ასაკობრივი ცენზის ქვედა ზღვარი: იგივე უკრაინაში 40, ხოლო უნგრეთში 45 წელი.

ჩვენთან კი აქაც საკითხი მარტივად, სამგანზომილებიანი კრიტერიუმებით წყდება: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. ეს უკვე კონსტიტუციური ცვლილებებით კორექტირებული ნორმაა, მოსამართლეების ასაკთან ერთად რომ შემცირდა ქვედა ასაკობრივი ცენზი 35-დან 30 წლამდე. როგორც ჩანს, არც ეს ცვლილება არ იყო გამოწვეული განსაკუთრებული საჭიროებით. ამიტომ, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის განახლებასთან იყო დაკავშირებული. ახლა უკვე ცხადია, რომ კანონმდებლობაში გამოცდილი რეგლამენტური ნორმის პერსონალური საკითხის გადაწყვეტის მიზნით შეცვლის პრაქტიკა, საკონსტიტუციო ნორმასაც შეეხო და ეჭვიც დადასტურდა. საქართველოს პრეზიდენტმა ამ მონაცემებით ორი კანდიდატი სოროსის საგანძურიდან შეარჩია. არა მგონია საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტს გასოროსებული კადრებით გაახალგაზრდავებამ რაიმე განსაკუთრებული შესძინოს. უბრალოდ, ესეც ერთპარტიული საკადრო პოლიტიკის ერთი ახალი ღონისძიებაა.

საკონსტიტუციო სასამართლოში ერთგული გუნდის საჭიროება წლების მანძილზე „მომწიფდა“, ვინაიდან წინა შემადგენლობამ არაერთხელ შეუქმნა უხერხული მდგომარეობა დღევანდელ პოლიტიკას. ჯერ მოსამართლეთა თანამდებობებზე მათი ათწლიანი ვადით შენარჩუნების თაობაზე კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციას, დღევანდელ ხელისუფალთა გამოსვლები მოჰყვა, იმხანად, ჯერ კიდევ არარსებული „კმარას“ ფორმატით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ფიტულების დაწვით დამთავრდა.

მეორე ფაქტი ბევრი იმათგანის პოზიციას უკავშირდება, ვინც დღესაც ხელისუფლების სათავეშია და „იბრძვის“ სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად. ცნობილია, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოში 60 დეპუტატის ხელმოწერილ სარჩელზე ხუთ საარჩევნო ოლქში (აბაშა, გლდანი, ფოთი, ხონი, წალენჯიხა) დარღვევებით ჩატარებულ არჩევნებზე საქმე აღიძრა და არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი. საპარლამენტო უმრავლესობამ, ყველა კანონიერი თუ უკანონო ქმედებით, უფლებამოსილების ბოლომდე შეინარჩუნა ხუთივე მანდატი. ერთ შემთხვევაში, ეს მოხდა კანონმდებლების მიერ კანონის უზენაესობის იგნორირებით, როდესაც პარლამენტმა არ შეასრულა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კონსტიტუციის თანახმად საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად. ესეც კიდევ ერთი გამოვლინება იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საიმპიჩმენტო სფერო არსებობს, მაგრამ პასუხი არავის უგია. მეორე შემთხვევაში, მოსარჩელეთა ხელმოწერების გატანით, მათი რიცხვი კანონით დადგენილ მეხუთედზე ნაკლები „აღმოჩნდა“ და სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვას არ დაექვემდებარა. მიგვაჩნია, რომ ესეც კანონმდებლობის ხარვეზია, როდესაც ფაქტის უტყუარობისას, საკანონმდებლო ნორმის ფორმალურმა მხარემ სამართლიანობის საწინააღმდეგოდ იმუშავა.

ის, რაც საქართველოს სასამართლო სისტემაში ხდება, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სასამართლო ორგანოებში გაბატონებული თვითნებობისა თუ პროკურატურის ორგანოების მიერ მართვადი სასამართლო პროცესების შემთხვევაში, ყველაზე დიდ უხერხულობას იწვევს კონსტიტუციური დანაწესი იმის თაობაზე, რომ თურმე „სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით“. იქნებ გავფრთხილდებოდით საქართველოს სახელს და სასამართლო სისტემის რეფორმირება,



სასამართლოთა და მოსამართლეთა სრული დამოუკიდებლობის გარანტირების განსამტკიცებლად წაგვემართა.

**ოთარ მელქაძე**

ხედვა

# რა ქმნის სტერეოტიპს ჩვენს ვინაობაზე

**ერი (ეთნოსი) თვითშემეცნებას ძირითადად და მთლიანად თავისი კულტურით ახორციელებს. სწორედ კულტურის მეშვეობით სხვებთან ურთიერთობისათვის იგი იმ მზაობაში მყოფ კომუნიკანტად იქცევა, რომლისადმი ის „სხვებიც“ თავიანთ ქცევის წესებს ამყარებენ. ამდენად ერი (ეთნოსი) ისეთი პოლიტიკურად კონსტრუირებული რეალობაა, რომელსაც არა ვიღაც პოლიტიკოსები, არამედ თავად ეთნოკულტურული კონსტრუქტები ქმნიან. ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ერის (ქვეყნის) „ეთნოკულტურული მოედანი“ ისტორიულად მუდმივ ასპარეზად რჩება პოლიტიკური თამაშებისათვის, და იქ მხოლოდ მოთამაშეები იცვლებიან.**

## იმიჯი და პოლიტიკური ინტერესები

### წერილი პირველი

ამ თამაშების მიზნებით ხშირად არის ხოლმე განპირობებული ერზე და, საერთოდ, ქვეყანაზე გამოთქმული შეხედულებები, დახასიათებები, ინტერპრეტაციების შინაარსები და, საბოლოო ჯამში, შექმნილი სტერეოტიპები. სწორედ ეს სტერეოტიპები იქცევიან ხოლმე პოლიტიკის (თუ იდეოლოგიის) მომგებიან რესურსად და მის ეფექტიანობას მხოლოდ ტექნოლოგიური განაფულობა განაპირობებს.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენივე ისტორიულ გამოცდილებას გადავხედოთ: რუსეთის მუდამ სურდა საქართველო ისეთ ქვეყნად (ერად) წარმოედგინა, რომელსაც სჭირდებოდა „უკულტურობის პრიმიტიულობიდან“ გამოყვანა (თუმცა მშვენივრად იცოდა საკუთარი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ამ კლასიკური ქრისტიანული ცივილიზაციიდან რას იღებდა). ერთი ტიპური მაგალითი: „განათლებული“ და „პროგრესული“ დეკაბრისტები (ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა რომ დიდად აფასებდა) მაშინ შეეცადნენ „კულტურული არგუმენტით“ შეექმნათ ის სტერეოტიპი, რაც რუსეთის პოლიტიკურ მიზანს კავკასიის ანექსიისათვის სჭირდებოდა. დეკაბრისტ პესტელის მიერ შედგენილ „რუსული სამართლის“ დეკაბრისტთა კონსტიტუციის პარაგრაფი მეტყველებდა: „ეს ყოვლად მშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხებს აქვთ დასაკუთრებული... კავკასიის მდებარეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარფიანი სავაჭრო ურთიერთობისათვის და, მაშასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი სავსებით იკარგება იმის გამო, რომ



კავკასიის ხალხები არა მარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ გაუტანელი და უვარგისი მოკავშირეებიც... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა ...დაყოს კავკასიის ყველა ხალხი ორ ჯგუფად — მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველნი დატოვოს თავისსავე საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში და იქ დაფანტოს... შემოიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს აქედან გასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით კავკასიაში წაშალოს ყოველნაირი ნიშანწყალი ახლანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე... რუსულ ოლქად.“.

„ველურ აბორიგენთა“ „გაკულტურების“ მძიმე ტვირთი, რომელიც რუსეთმა „იდო თავს“, საუკუნეები გაგრძელდა და ამ სტერეოტიპსაც დასასრული არ ჰქონდა. მისი აღწერა შეუძლებელია ისევე, როგორც ეროვნულ-კულტურული გადაგვარებისა თუ დეგრადაციისთვის გათვლილი მეთოდების აღნუსხვა. ეს გრძელი გზა „ჰომო სოვეტიკუსის“ საბოლოო ჩამოყალიბების მერჩს შერჩა.

იხ. 7 გვ.

ინფორმაცია

## რუსები დაზვერვას განაგრძობენ

**ოჩამჩირის და გალის რაიონების ზღვისპირა ზოლში რუსეთის სამხედრო დაზვერვა დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებს.**

**ამის შესახებ აფხაზეთის მედიაცენტრი ოჩამჩირეში მცხოვრებ პიროვნებაზე დაყრდნობით იუწყება.**

**ამავე წყაროს ცნობით, გასულ შაბათ-კვირას რუსეთის სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსნები ოჩამჩირე-გალის წყაროს ზღვისპირა ზოლში იმყოფებოდნენ და ოჩამჩირე-გალის საზღვაო მონაკვეთზე სადაზვერვო საქმიანობა მათი უშუალო ხელმძღვანელობით ნაპირიდან განხორციელდა.**

**ადგილობრივთა ინფორმაციით, რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ქალაქ ოჩამჩირეში შავი ჯიპის ტიპის სატელიტური კავშირის მქონე რამდენიმე ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. მათ შორის ერთი ქალბატონი იყო.**

**ამასთან, რუსი სამხედროების ფორმაში გამოწყობილი ოფიცრები გალისა და ოჩამჩირის მოსახლეობასთან საუბარში იმის გაცხადებასაც არ ერიდებოდნენ, რომ ისინი რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები არიან და ოჩამჩირისა და გალის რაიონების შავი ზღვის სანაპიროს ჰორიზონტზე რუსეთის გემების გამოჩენას და ნაპირზე რუსული დესანტის გადმოსხმას არ გამორიცხავენ.**

ჯი-ეიჩ-ენი.

◎ ექსკლუზივი

*ჩვენი გაზეთის 27 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან სათაურით „აშშ გვთავაზობს, აფხაზეთის საკითხი რუსეთთან ერთად გადავწყვიტოთ“. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ინტერვიუ მიმდინარეობდა გერმანიის მოქალაქის მონაწილეობით, ამიტომ საუბარი შეეხო ბერლინის კედლის დანგრევის წინ განვითარებულ მოვლენებს. დღეს, 3 ოქტომბერს, სწორედ წლისთავია დიდი ისტორიული მოვლენისა, რასაც აღმოსავლეთ ევროპისა და შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გათავისუფლება მოჰყვა. გთავაზობთ ინტერვიუს მეორე ნაწილს.*



# ედუარდ შევარდნაძე: გერმანიის გაერთიანება კინაღამ გერმანიის კანცლერმა ჩაშალა

**— 3 ოქტომბერს ბერლინის კედლის მოშლის მორიგი წლისთავია...**

— ეს ჩემი მინისტრობის დროს მოხდა. მე დიდი წვლილი მიმიძღვის გერმანიის გაერთიანებაში.

**— როდის დაიწყო ეს ყველაფერი, პირველად რომელმა მხარემ დააყენა აღმოსავლეთ გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხი, რაც ამ ქვეყნის გაერთიანების წინაპირობა გახდა?**

— ყველაფერი დაიწყო კანადაში, კონფერენციაზე „მშვიდობიანი ცა“. კონფერენცია მთავრდებოდა, როცა ჩემთან გადმოჯდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და მითხრა, ხომ არ დადგა გერმანიის გაერთიანების დრო. ჩემი პასუხი ასეთი იყო: მე მზად ვიყავი, მაგრამ ამაზე მსჯელობა არ მქონია არც გორბაჩოვთან, არც სხვასთან, თუმცა ვიცოდი, რომ ეს საკითხი ადრე თუ გვიან დაისმებოდა. სახელმწიფო მდივანს შევეკითხე, როგორ შეხვდებოდნენ კოლეგები ამ ამბავს. გენშერი, რა თქმა უნდა, თანახმა იქნება (უეჭველია, მას წინასწარ ექნებოდა მოლაპარაკება გენშერთანძ, მაგრამ ზოგი წინააღმდეგი იქნებაო. ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ბეიკერი გერმანიის უახლოეს დიდ მეზობლებს – საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გულისხმობდა.



მე დავურეკე გორბაჩოვს და იგი დათანხმდა. შემდეგ იქვე, კანადაში გადავწყვიტეთ შეგვექმნა მექანიზმი პრინციპით 4+2. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, ავსტრია და ორიც – აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია. ამ მექანიზმის მიხედვით შემუშავდა მთელი რიგი სტრუქტურები. კანადაში ბეიკერსა და ჩემს გარდა იყვნენ დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი და სხვა ქვეყნების მინისტრები. შემდეგ იყო შეხვედრები ბონში, ბერლინში, რუსეთში, პარიზში, სულ 7-8 შეხვედრა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვამუშავებდით საკითხებს. ზოგჯერ ვიწვევდით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრსაც. ამ ქვეყანას სადავო საკითხები ჰქონდა გერმანიასთან მიწების თაობაზე და ესეც გადასაწყვეტი იყო.

**— თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესი წყნარად და მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მაგრამ ხომ იყო დიდი წინააღმდეგობა პოლიტბიუროში, მთლიანად ცენტრალურ კომიტეტში? საბჭოთა გენერალიტეტი კი პირდაპირ ყალყზე შედგა...**

— ამ წინადადებას მართლაც ძალიან მტკივნეულად შეხვდნენ. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირიდან 20 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მაგრამ თანდათან ხალხი შეეგუა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეს შეხვედრები კარგად შუქდებოდა საბჭოთა პრესაში და ტელევიზიაში.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: კანცლერი ჰელმუტ კოლი გამოვიდა, თუ არ ვცდები ბუნდესტაგში და გორბაჩოვი გებელსს შეადარა. მერე კოლი თავს იმართლებდა, მე გებელსის შრომისმოყვარეობა და ენერგიულობა მქონდა მხედველობაში და არა იდეოლოგიაო, მაგრამ გორბაჩოვი ძალიან გაბრაზდა. მე და გენშერს დიდი მუშაობა დაგვჭირდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლიც დაგვეხმარა, ისევ ბუნდესტაგში ოფიციალურად მოიხადა ბოდიში და გორბაჩოვიც მოლბა.

**— ამ პროცესში თქვენ განსაკუთრებით გამოჰყოფდით თქვენსა და გენშერის ურთიერთობას.**

— მართლაც განსაკუთრებული იყო ჩემი და გენშერის ურთიერთობა. ჩვენ ცალკეც, 4+2 ფორმატის გარეშეც გვქონდა შეხვედრა. მოვინახულეთ ბრესტი, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა ჩემი უფროსი ძმა. იქ მისი ბარელიეფია, პატივი ვეცით, ყვავილები მივიტანეთ და დავიჩოქეთ კიდეც. ეს ყველაფერი ფართოდ გააშუქა საბჭოთა ტელევიზიამ. შემდეგ ვიყავით ქალაქ ჰალეში, იმ სკოლაში, სადაც გენშერი სწავლობდა. მოსწავლეებმა ჩვენ ხუთი კითხვა დაგვისვეს, ჩვენ მხოლოდ სამზე გავეცით პასუხი და ბავშვებმა გულიანად იცინეს.



**— ისევ მინდა დავუბრუნდე საბჭოთა გენერალიტეტის თემას. როგორც მახსოვს, გერმანიიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ბევრი გენერალი გადაგემტერათ. ეს მტრობა აისახა საქართველოს შემდგომ ცხოვრებაში, სამოქალაქო თუ სხვა ომებში. ავიღოთ თუნდაც რუსეთის სახმელეთო ჯარების მაშინდელი სარდალი სემიონოვი. ამ გენერალს ექვემდებარებოდა რუსეთის სამხედრო ბაზა ბათუმში. მან მკვეთრად ნეგატიური როლი შეასრულა 1992-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომში.**

— ცალკეულ პერსონებზე არ მინდა ლაპარაკი, მაგრამ გენერლები ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ გადამემტერნენ. ჯარების გამოყვანაზე გაცილებით ადრე გვქონდა საუბარი, მაგრამ გორბაჩოვმა ეს პროცესი ოთხი წლით გააჭიანურა. შემდეგ იყო პარტიის ყრილობა; მე გორბაჩოვს შევთავაზე, ყრილობაზე გამოსვლის დროს ეთქვა, რომ ჩვენ გამოვიყვანდით ჯარებს ავღანეთიდან. მისი გამოსვლის ტექსტის პირველ ვარიანტში იყო ეს განცხადება, მაგრამ მეორე ვარიანტში, რომელიც პოლიტბიუროს წევრებს დაურიგდათ, აღარ აღმოჩნდა. მაშინ გორბაჩოვს ვუთხარი, იძულებული ვარ ყრილობაზე განვაცხადო, რომ ჭიანურდება ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა და ხალხი იღუპება. გორბაჩოვი მაშინ საბოლოოდ დამთანხმდა. სამხედროებთან შეხვედრაზე, როცა მათ ჩვენი განზრახვის შესახებ ვაცნობეთ, მეგონა აპლოდისმენტებს დავიმსახურებდით, მაგრამ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ავღანეთში ბევრმა გენერალმა დიდი ფული იშოვა და არ უნდოდათ იქიდან გამოსვლა. მაგრამ 1989 წელს ჩვენ 80 ათასი კაცი ისე გამოვიყვანეთ, ერთიც არ დაჭრილა გზაში.

**— დიდი ვაჭრობა გქონდათ, ვიდრე დასავლეთ გერმანიას აღმოსავლეთიდან ჯარების გამოყვანის სანაცვლო კომპენსაციაზე შეუთანხმდებოდით?**

— საბოლოო შეთანხმება მოხდა სტავროპოლის მხარეში. შეკრებაზე ვიყავით კოლი, გენშერი, გორბაჩოვი, გენშტაბის უფროსი, მარშალი ახრომეევი და მე. ჩვენ გერმანიიდან გამოსაყვანი ოფიცრებისთვის სახლების ასაშენებლად 20 მილიარდი დოლარი მოვითხოვეთ, მაგრამ საბოლოოდ 15 მილიარდზე შევთანხმდით.

**— გერმანიიდან ჯარების გამოყვანის გარდა ამ ქვეყნის გაერთიანება ცალკე დოკუმენტით მოხდა?**

— ასეთი დოკუმენტი მოსკოვში მივიღეთ. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი. სხვათა შორის, მიღებულია აზრი, რომ გერმანიის გაყოფა სტალინთან არის დაკავშირებული, მაგრამ თეირანისა და იალტის კონფერენციებზე სტალინს გერმანიის გაყოფა არ სურდა. ამით მოკავშირეები იყვნენ დაინტერესებული და სტალინსაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**— დრო გადის, ისტორია მეხსიერებიდან თაროებზე იდება. მახსოვს, როგორ შეგხვდათ გენშერის მემკვიდრე კლაუს კინკელი ბრიუსელში. ასე მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანს ხვდებიან. ახლა გული ხომ არ გწყდებათ, რომ აღარ არის ასეთი ყურადღება თქვენს მიმართ?**

— არა. ვიცი, რომ გერმანიაში ჩემს მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა. მე ხშირად ვყოფილვარ ამ ქვეყანაში. ახლა იქ აპირებენ ჩემი წიგნის გამოცემას (მემუარების წიგნი „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“. – **გ.ჩ.**ძ. პრეზენტაცია შედგება წიგნების დიდ გამოფენაზე. მომიწევს გერმანიაში ჩასვლა და რამდენიმე ქალაქსაც მოვივლი, მათ შორის ბერლინს. მეუბნებიან, რომ ჩემი წიგნი კარგად გაიყიდება.

ესაუბრა
**გიორგი ჩოჩიშვილი**

◎ ინფორმაცია

## ურთიერთობის დაძაბვა ნამდვილად არ გვსურს

„საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძოდ ეუთოს მიმართ გამოხატა კეთილი ნება და რუსეთთან ყოველგვარი გარიგების გარეშე ეუთოს მისიას ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ ოფიცრებს გადასცემს“, – ამის შესახებ განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ რურუამ.

მისივე თქმით, საქართველოს ამ ჟესტით სურდა დაანახოს მსოფლიოს, რომ მას სულაც არ სურს მეზობლებთან ურთიერთობების დაძაბვა, მით უფრო, რომ საფრთხე ამ ოფიცრების მხრიდან უკვე აღარ არის და ის ქსელი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა, დარღვეულია.

„ქართული მხარე არ არის დაინტერესებული მეზობლებთან ურთიერთობის დაძაბვით და რუსი ოფიცრების გადაცემა საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ კეთილ განწყობაზე მიუთითებს. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთთან არანაირი გარიგება არ ყოფილა“, – აცხადებს რურუა.

## საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს წინააღმდეგ

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი აცხადებს, რომ მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევს ექსტრემალურ ვითარებაში აკრძალოს საბანკო გადარიცხვები, საბანკო ოპერაციები და საფოსტო შეტყობინებები სხვადასხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან.

რუსეთის დუმის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ კანონპროექტი სრულყოფილი სახით მზად იქნება ოთხშაბათისთვის, 4 ოქტომბრისთვის და პლენარულ სხდომაზე მოხდება მისი განხილვა.

გრიზლოვი ადასტურებს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება გართულებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს.

## მოლაპარაკების პროცესი შეჩერდა!

თვითაღიარებულმა რესპუბლიკებმა საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესი დროებით შეაჩერეს.

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებით, აფხაზეთი მოლაპარაკებების განახლებაზე უარს კოდორის ხეობის ზედა ზონიდან ქართველი სამხედროების სრულად გაყვანამდე აცხადებს.

აფხაზეთის კვალდაკვალ განცხადება სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმაც გააკეთა.

„თუ აფხაზეთმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესის დროებით შეჩერების შესახებ, ჩემი რესპუბლიკაც წყვეტს თბილისთან დიალოგს“, – განუცხადა კოკოითმა სააგენტო „ინტერფაქსს“.

ჯი-ეიჩ-ენი.

ხედვა

# რა ქმნის სტერეოტიპს ჩვენს ვინაობაზე

(მეხუთე გვერდიდან)

მოკლედ, „კავკასიური გაკულტურების" სტერეოტიპი იმ პერიოდიდან მოედინება, როცა საქართველოს (და კავკასიის) გარე სამკუთხედის (ირანი, თურქეთი, რუსეთი) გეოპოლიტიკური ამბიციების ერთადერთი და განუყოფელი მფლობელი რუსეთი გახდა. იმ ამბიციებისა, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს.

რუსული იმპერიის ჩამოქვეითებით ახლა მსოფლიო ბალანსის ბიპოლარულობის მოშლამ, ეს ტრადიციული გეოპოლიტიკური აქტივობის სამკუთხედი კვლავ გააცოცხლა და ძირითად მოქმედ პირებად, ტრადიციული ძლიერი ინტერესებით, კვლავ თურქეთი, რუსეთი და ირანი გამოვიდნენ.

მაგრამ დღეს გარე კონფიგურაციის სათავეში სრულიად ახალი მოთამაშე ექცევა აშშ-ის სახით და მის გამოჩენას რეგიონალური სისტემების გადააზრებაც რომ თან მოჰყვება, ამას 11 სექტემბრის შემდგომი პერიოდი წარმოაჩენს. როგორც ანალიტიკაში აღინიშნება, ეს გადააზრება იმ უსაფრთხოების სისტემის ახალი კონფიგურაციის ელემენტებში ვლინდება, რომელიც აშშ-თვის მნიშვნელოვანია: ამერიკული ჯარების თანამიმდევრულ დისლოკაციაში მისთვის მანამდე შეუღწევად სამხრეთ, ცენტრა-



ლურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში. აშშ-ის ფორმულირებებში იკვეთება ახალი მიდგომები და ახალი ინტეგრალური სტრატეგია აზიის კონტინენტზე — ცენტრალურ ევრაზიაში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ახალი ცნების — „უახლესი აზიის" პოლიტიკური შინაარსიც. ამ ინტეგრალური სტრატეგიის ამსახველი უნდა იყოს აგრეთვე შემოტანილი ცნება — „უსაფრთხოების კომპლექსები", რომელიც განიმარტება როგორც „სახელმწიფოთა ჯგუფები, რომელთა უსაფრთხოების ძირითადი ინტერესები იმდენად მჭიდროა, რომ ცალკეული მათგანის ნაციონალური უსაფრთხოება ურთიერთისაგან მოუწყვეტელია", ანუ ესაა ფორმა ურთიერთზედამოკიდებულებისა.

შემთხვევით არ შევჩერდით ამ საკითხზე, რადგან იგი ჩვენთვის ბევრი რამის ამხსნელი შეიძლება გახდეს. სახელდობრ: აშშ-ის სტრატეგიულ გადააზრებაში ევრაზიული კომუნიკაციები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაშიც წინა პლანზეა ენერგორესურსების გადაზიდვის ტრანსკასპიური სისტემა, სისტემა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება რუსეთისა და ირანისაგან. აშშ-ის რეგიონალური სტრატეგიის მიხედვით, ეს სისტემა იმუშავებს ორ, ე. წ. „უსაფრთხოების კომპლექსზე" — ცენტრალურ (შუა) აზიისა და სამხრეთ კავკასიაზე. მაშასადამე, უნდა შეიქმნას ცენტრალური აზია-სამხრეთ კავკასიის ბინარული რეგიონალური გაერთიანება. მიეთითება კიდეც, რომ ამ ორ „უსაფრთხოების კომპლექსზე", ამ ორ რეგიონზე გადის აშშ-თვის მნიშვნელოვანი საკვანძო ვექტორი და ამ რეგიონთა ინტეგრირება მიზანშეწონილია.

გამოდის, რომ ამ ახალ, გლობალურ გადააზრებაში საქართველოს „მიეჩინება ადგილი" ცენტრალური აზიის არეალში, რომელიც თავისთავად იგულისხმებს, ამავე დროს, კულტურულ არეალსაც. საით წაგვიყვანს ეს პროცესი? ცხადია, რომ იგი მძიმე კულტუროლოგიური დილემის წინაშე დაგვაყენებს და ქართული კულტურის (და, საერთოდ, აზროვნების) ათასწლოვანი მისწრაფება — „სახით დასავლეთისაკენ დგომა", საბოლოოდ განადგურდება. ესე იგი, ილუზიად დარჩება ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური მიზანიც — ევროპასთან ინტეგრირება.

ამდენად, როგორც ჩანს, რუსეთის გავლენის სხვა ძალის ცენტრით შეცვლა, შეცვლის საერთოდ „გავლენის კოეფიციენტს" არსებული ყველა თვალსაზრისით. უდავოა, რომ ამგვარ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრება კულტუროლოგიურ პარამეტრებსაც, კერძოდ კი, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს „ეთნოკულტურულ მოედანზე" წარმოებულ თამაშებს ცხადია, ახალი მოთამაშეების ინტერესთა თვალსაზრისით.

როგორი, რა ფორმისა იქნება ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის დახასიათების, ანუ სტერეოტიპის აგების ტენდენცია — ეს იქნება ძალზე მნიშვნელოვანი სიმპტომი ჩვენი ქვეყნის ხვალინდელის განსაზღვრისათვის. დაემატება „კულტურული მეურვეობის" ძველრუსულ გამოცდილებას რაიმე ახალი, გაცილებით უფრო ეფექტიანი საშუალებები? ესაა ჩასაფიქრებელი! თუმცა არც იგია ჩინური რებუსი, თუ გავიაზრებთ იმას, რა სტერეოტიპი „მიეკერება" ქვეყანას, როგორც ეკონომიკურად მუდმივ „ხელოვნურ სუნთქვაზე" მყოფს, როგორც არამწარმოებელს და კრედიტებზე ჩამოკიდებულს, მიგრაციებისათვის განწირულს და გარდუვალად კრიმინალურს, ანუ ისეთს, რომელიც ხასიათდება ერთი მოკლე და გასაგები ტერმინით — კოლუმბიზირებულს.

პირველის, ასე ვუწოდოთ, კულტუროლოგიურის სიმპტომები აქა-იქ უკვე გამოსჭვივის და უსიამოვნო ძველს ასოციაციებს ბადებს. შეუძლებელია, მაგალითად, ყურადღების მიღმა დატოვო და არ ჩაგაფიქროს ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების არქივის ფონდის მიერ დაფინანსებულმა და ამავე არქივის დირექტორის თომას ბლენდონის იდეითვე გამოცემულმა წიგნმა „სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში". თითქოს არაფერია უჩვეულო სტალინის თემით დაინტერესებაში და იმაშიც, რომ წიგნი ქართულად დაისტამბა ქართველივე რედაქტორების ჩარევით, მაგრამ რა ვთქვათ ამ სტატიების კრებულის გეზზე, რაც ესოდენ იკვეთება, ანდა იქ მოთავსებულ, მაგალითად, რონალდ გრეგორ სიუნის ნაშრომზე პრეტენზიული სათაურით „ქართველი ერის ჩამოყალიბება"? აი, თუნდაც, ამაზე:

„სტალინის მმართველობის პერიოდში, **როდესაც საქართველო კულტურულად ქართველდებოდა** (ხაზგასმა ჩემია — ი. ბ.), ხსენებული პროცესი **ეროვნულ უმცირესობათა ხარჯზე მიმდინარეობდა.** სომხები, კერძოდ, მათი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც თბილისს სომხური კულტურის ცენტრად აღიქვამდნენ, იძულებული ხდებოდნენ ერევანში გადასახლებულიყვნენ. სომხური კულტურის ძეგლები, მათ შორის სომეხ მწერალთა პანთეონი ხოჯევანში იხურებოდა. შეზღუდვები შეეხო სხვა ეროვნულ უმცირესობებსაც, როდესაც საბჭოთა მუსლიმანთა არაბული დამწერლობა ჯერ ლათინური ანბანით, შემდეგ კი კირილიცით შეცვალეს, აფხაზთათვის შემოღებულ იქნა ქართული დამწერლობა, რომელშიც 33 ასო პირდაპირ იქნა ნასესხები ქართული ანბანიდან, ხოლო ექვსი ახალი ასო აფხაზური ფონემების გამოსახატავად დაემატა.

***კორენიზაციის დაფუძნება საქართველოში ქართულ შოვინიზმში „გადაიზარდა"*** (ხაზგასმა ჩემია, — **ი. ბ.**), რაც საკავშირო დონეზე რუსული ნაციონალიზმის ზრდას შეესაბამებოდა, რომელიც საბჭოური პატრიოტიზმის სახით ინილბებოდა".

კომენტარი, ალბათ, ის იქნება, რომ სომხური წარმოშობის ამ ავტორის „ნაშრომი" სერიოზულად არ უნდა მიიღო, რომ ქართველმა რედაქტორებმა კარგად „გაითავისეს" სიტყვის თავისუფლების იდეა და ამიტომ „ჩაუშვეს" წიგნში ამგვარი კომპეტენტურობანი. მაგრამ როგორ შევხედოთ წიგნის სათაურშივე ფორმულირებული გამოცემის გეზს, ანუ, როგორც იქ წერია, „ისტორიკოსთა შეფასებებს"? გვესმის, სტალინის შეფასებებში პოზიტიური ბევრი რამ შეიძლება არ იყოს, მაგრამ მისი მოტივით ერის კულტურულ შეფასებას, ანუ ღია კულტურულ დისკრედიტაციას რა ვუყოთ? ძველ და კარგად ცნობილ პოლიტიკას შევეგებოთ? დროულად არ გავიხსენოთ რა ძალა და სიცოცხლე შეალია მე-19 საუკუნის დიდმა ქართველობამ ამის დაძლევას და იმასაც, რომ წვეთ-წვეთ ზღვაც დაილევა.

ახლა კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ ჩვენს „ეთნოკულტურულ მოედანზე" დაცვის ფუნქციას მუდმივი და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ეს, როგორც ჩანს, ისტორიული კანონზომიერებაა, განსაკუთრებით ძველი კულტურის მცირერიცხოვანი ერებისათვის და მოდუნება ამ საქმეში დაუშვებელია. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენივე კულტურული რეპროდუცირებით გარედან შექმნილი სტერეოტიპების დაძლევა და



საკუთარი იმიჯის საკუთარივე კულტურული რესურსებით შექმნა. დღეს ეს განსაკუთრებით აუცილებელია ევროპული ვექტორის გასაძლიერებლად.

თითქოსდა მიზანში მოარტყაო, როცა ერთხელ ქართულ კულტურაში ჩახედულმა ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ჩვენს დიალოგში, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, თქვა, თქვენ ქართველებს დასავლეთისთვის საექსპორტოდ ერთი და მთავარი ძვირადღირებული რესურსი გაგაჩნიათ — თქვენი კულტურაო.

ეს საქმეში ჩახედული ევროპელის ნათქვამი იყო. ისე კი, რომ გვგონია ევროპაში ასე გვიცნობენო, სრული გულუბრყვილობაა. ევროპას კრიმინალურ საქართველოზე უფრო მეტი ეუწყება, ვიდრე მის უძველეს კულტურულობაზე. სწორედ ამან უნდა აგვაფორიაქოს, რადგან სრულიად მარტივად შეიძლება ჩვენზე სტერეოტიპის, როგორც კოლუმბიზირებული ქვეყნის, შექმნა. ჩვენც ხომ საამისო საკმაო საფუძველს ვაძლევთ დაუსრულებელი სოციალურ-პოლიტიკური რღვევებითა და ყველა მისი თანმდევი შედეგებით. ამიტომ არაა გასაკვირი, როცა საქართველო ევროპაში სავალალო თალხ ფერებში იხატება ანგარიშგასაწევ გამოცემებში, რომელიც ჩვენთვის არაერთ კითხვას ბადებს და სულს გვიფორიაქებს.

**ინგა ბახტაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტუროლოგი.**

მწერლის პოზიცია

# გავერთიანდეთ!..

***ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გამოჩენილ ქართველ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა:***

**— ბატონო რევაზ, როგორ უცქერით რუსეთსა და საქართველოს შორის ამ ბოლო დროს გამწვავებულ ურთიერთობას?**

— გულისტკივილით... დამნაშავე კი ცალსახად რუსეთია. მითხარით, რა მოგვიტანა ლოიალურმა, დამთმობმა პოლიტიკამ, გაუთავებულმა ოთხმხრივმა და სამმხრივმა შეხვედრებმა? ბოლო 15 წლის მანძილზე რუსეთში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ „თეთრი დათვის" იმპერიული, მეკობრული პოლიტიკა არ შეცვლილა. გაიხსენეთ, რამდენჯერ შეხვდა სააკაშვილი პუტინს, რამდენჯერ გაუწოდა სამეგობრო ხელი, მაგრამ ყოველთვის გაწბილებული დაბრუნდა მოსკოვიდან. პუტინი ცოცხალი თავით არ თმობს აფხაზეთს და სამაჩაბლოს. როგორც ჩანს, ოკუპანტზე ზემოქმედების სხვა ბერკეტებია საჭირო და მე პირადად ჩვენი პრეზიდენტის მიერ ამოქმედებული „სხვა ბერკეტები" (გაეროში ვაჟკაცური გამოსვლა, ზემო აფხაზეთში ლეგიტიმური ხელისუფლების დამკვიდრება) მომწონს. ისიც მიხარია, რომ ამ საკითხში მაინც აღმოჩნდა პოზიცია და ოპოზიცია ერთსულოვანი.

**— თუ რუსეთმა საქართველოს მოხრჩობის მის ხელთ არსებული საშუალებები აამოქმედა?**

— პარლამენტში ყოფნის დროს შევარდნაძის მთავრობას ლამის ყოველდღე ჩავძახოდი, ნუ მივცემთ რუსეთს ენერგომატარებლებს. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნიშანწყალი სხვათა შორის გაზი და დენია-მეთქი, მაგრამ ვინ მისმინა. დღეს საქართველო მარტო არ არის. უფრო მყარად ვდგავართ ფეხზე. მსოფლიო არ მისცემს რუსეთს ჩვენი დასჯის საშუალებას. აღარც საქართველო დაიჩოქებს, სანამ პირში სული უდგას.

**— რას ფიქრობთ მოახლოებულ არჩევნებზე.**

— მე ყოველთვის გაწონასწორებული, დინჯი, მიმტევებული დამოკიდებულების მომხრე ვიყავი და ვარ. ბოლოს და ბოლოს ორივე მხარეს ქართველები ვდგავართ და ავიტანოთ ერთმანეთი. ჩვენი გათითოკაცება და ერთმანეთზე მიქსიანება ხომ მტრის გეგმაში შედის. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, პოლიტიკოსებმა ერთმანეთს „ნაძირალა", „გარეწარი", „მოღალატე" და „ქაჯები" უძახონ. რატომ ვერ ვისწავლეთ დასავლეთიდან ის, რომ შეხედულებათა სხვადასხვაობის გამო ერთმანეთს დაუძინებელ მტრად არ გავუხდეთ? იყოს შეჯიბრი, თავისუფალი პოლიტიკური კონკურენცია. ხელისუფლებას ვურჩევ დემოკრატიულად ჩაატაროს არჩევნები. თუ რომელიმე ქალაქსა თუ რაიონში ოპოზიცია გაიმარჯვებს, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. პირიქით ურთიერთშეჯიბრით (და არა შუღლით) საქვეყნო საქმე მოიგებს. ოპოზიციას კი ვურჩევ, ნერვები დაიოკოს და ყურადღება გააფხაჟოს არჩევნების დროს უმთავრესზე — ხმების სწორად, ობიექტურად დათვლაზე.

**— რას იტყვით განათლების რეფორმაზე?**

— მტკივნეულად მიმდინარეობს და ეს ბუნებრივიცაა. მოძველებული სისტემის, სტერეოტიპების მსხვრევა არა მარტო საქართველოში იღებს დრამატულ ელფერს. უსამართლობა იქნება კახა ლომაიას დავუკარგო, რაც კარგი გააკეთა. თავის დროზე მივესალმე და ახლაც მიმაჩნია, რომ მისაღები გამოცდების გატანა უმაღლესი სასწავლებლებიდან გამართლებულია. ვერც მასობრივად გარემონტებულ სკოლებზე და სასწავლო დაწესებულებების კომპიუტერებით აღჭურვაზე დავხუჭავ თვალს. განა ასეთი რამ ყოველთვის ხდებოდა? მახსოვს, 2001 წელს მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულის სკოლას ასი წელი შეუსრულდა. დირექტორმა მომწერა, ბატონო რევაზ, ფანჯრები ჩამსხვრეულია და, იუბილეს ვინ ჩივის, ბავშვები სიცივით დაგვეხოცებიანო. მივმართე მინისტრის მოადგილეს, მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო კანცელარიას იუბილარ სკოლას დავეხმაროთ-მეთქი. ყველგან მტკიცე უარი მივიღე. ბოლოს ჩემი ერთი თვის ხელფასი



მთლიანად გავუგზავნე სკოლას, რათა მინები ეყიდათ და თვითონვე ჩაესვათ.

**— უნივერსიტეტში რა ხდება?**

— მე პირადად, რეფორმის საჭიროება არასოდეს საკამათოდ არ გამიხდია. ბევრი რამ მოძველდა და უნდა განახლებულიყო. მაგალითად, მომწონს შეფასების ასბალიანი სისტემა, რაც სტუდენტის ცოდნის შემოწმების მუდმივობას გულისხმობს. დღეს აღარ არის ერთ მხარეს მედავითნე ლექტორი და მეორე მხარეს პასიური, მთვლემარე სტუდენტი, რომელიც მხოლოდ გამოცდების წინა დღეებში გამოცოცხლდება. არც გამოცდის მკაცრად განსაზღვრული დღე მომწონდა. რეფორმამ ამასაც დაადგა თავი. როცა მოამზადებს, მაშინ ჩააბაროს, არ მოეწონება ერთი უმაღლესი სასწავლებელი, თავისუფლად შეუძლია სხვაგან გადავიდეს. ეს და სხვა ცვლილებები სასიკეთოდ წაადგება სწავლების სისტემას. ვიღას დავუმალოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ იმ დროს მსოფლიოს უნივერსიტეტის დონეზე გამართული უნივერსიტეტი ათეული წლების მანძილზე რუტინულ, შეუვალ ციხე-სიმაგრეებად ვაქციეთ. შეიძლება ერთი და იგივე დეკანი 30 წლის განმავლობაში მჯდარიყო ფაკულტეტის ხელმძღვანელის სკამზე?

სადაც საქმე კეთდება, ბუნებრივია, შეცდომებიც არის, მაგრამ ამის გამო, განა გვეკადრება ჩვენ ცხოვრებანანახ, ასაკოვან ადამიანებს, ახალგაზრდებს ყელში ვწვდეთ, ან მათს უნებლიე წაფორხილებაზე ყიჟინა დავცეთ? ხომ არ სჯობია, წყნარად, დინჯად ვურჩიოთ, ასე კი არა, ასე აჯობებსო?

თუ გახსოვთ, როცა საჭიროდ ვცანი, პრეზიდენტს „ოცი რჩევა" შევთავაზე, ასევე ღია წერილით მივმართე ამას წინათ გია ხუხუას. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს რჩევებს გულგრილობის კედელი ააფარეს. ზოგი რამ აშკარად გათვალისწინებულია. ვფიქრობ, რექტორების წამდაუწუმ ცვლაზე, მათთვის კრიჭაში ჩადგომაზე ან კინწისკვრით გაგდების მცდელობაზე უკეთესია მხარში ამოდგომა და მოსაწონის დანახვა-დაფასება. როცა გამოცდილება და ახალგაზრდული გაბედულება შეერთდება, იქ საერთო საქმე არ დაიგვალვება.

საერთოდ კი, მე მგონი, დადგა დრო ქართველებმა ჩვენი ხასიათის თუ ცხოვრების წესის ზოგიერთ ნიუანსს კრიტიკულად შევხედოთ. სულსწრაფობამ, „უჩვენოთ ვინ იმღერეთას" პოლიტიკამ, ყოყლოჩინობამ, სიკეთის ვერდანახვამ, ზოგიერთ ჩვენგანს ასე გამორჩეულად რომ ახასიათებს, კარგი არაფერი მოგვიტანა.

დადგა დრო გავერთიანდეთ. ოღონდ დიდმა მიზანმა, სიკეთემ და სიყვარულმა უნდა გაგვაერთიანოს და არა სიძულვილმა.

საქართველოს ურთიერთშუღლი ღუპავდა ყოველთვის. აკი გაგვაფრთხილა სულმნათმა აკაკიმ: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო".

მხოლოდ შეხმატკბილებით, თანხმობით მოვერევით მტერს.

მაშ, გავერთიანდეთ, ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს, ავიტანოთ ერთმანეთი.

**ესაუბრა**
**გურამ წიკლაური.**

◎ გამოძახილი

# აქ ერთი წამითაც არ მიგრძნია უცხოდ თავი

**წერილს „ანა კარენინას“ განთქმული დასაწყისის გარდათქმით (ერთგვარი პერიფრაზით) დავიწყებ: ყველა დიდი სახელმწიფო პატარა ქვეყნებთან ქედმაღლური დამოკიდებულებით ერთმანეთს ჰგავს. ყოველი ძლიერი სახელმწიფოს მთავრობა თავისებურად აფრენს ამ დამოკიდებულებაში.**

რასაკვირველია, კადნიერებაა ჩემგან, რომ „აფრენა“ ვკადრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, სხვანაირად როგორ უნდა შეფასდეს რუსეთის საელჩოს ასე ნაუცბათევი ევაკუაცია? ეს ხომ მართლაც მსოფლიოს დასანახად გათამაშებული სპექტაკლი გამოვიდა — შეხედეთ, თბილისში როგორი საფრთხე ექმნებათ უცხოელებსო. ეგეთი ფაციფუცით ალმოდებული გროზნოდან არ გაუყვანიათ თავიანთი მოქალაქენი, როგორც უკვამლო თბილისიდან. კარგი და, როგორც რუსეთის ხელისუფალნი ამტკიცებენ, საქართველო სამხედრო თავდასხმით ემუქრება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს, იქაც და იქაც რომ ათასობითა და ათიათასობით გადასწერეს რუსეთის მოქალაქეებად ადგილობრივი მცხოვრებნი — იმათ არ დასჭირდებათ გაყვანა-ევაკუაცია? რამდენ МЧС-ის თვითმფრინავს ჩააფრენენ?..

არადა, თბილისი ნურც მოსკოვში შეეშლებათ, ნურც პეტერბურგსა და სხვა დიდ რუსეთულ ქალაქში. ეგ იქაა, რომ ფაშისტი თუ მოფაშისტო თავგადახოტრილი ახალგაზრდები გამეტებით ხოცავენ არარუსებს — ჩვენთან წარმოუდგენელია საომარი ყიჟინა „ჰკა, რუსებსო...“

სულ ახლახან „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე წაიკითხა მკითხველმა, თუ რა თბილად მოიგონა ალმზრდელი რუსი ძიძა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ და როგორ ოჯახის წევრივით დაკრძალა... მე კი ძველ ნაცნობს, რუს მეცნიერ ქალბატონს ვთხოვ გვითხრას, თუ როგორია მომენტის შესაფერისი სურათი თბილისში...

**თამაზ ეზანოიძე**

ნელი ალექსანდრეს ასული საპოჟნიკოვა 1957 წელს დაიბადა. დაამთავრა რუსთავის მე-19 რუსული საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის (აწ ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტად „რეფორმირებულისა“ და ევროპულ ყაიდაზე მონათლულისძ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ბიოფიზიკის დარგში შესრულებული აქვს ათეულობით შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულია რუსეთისა და უფრო შორეული საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში. ჰყავს 15 წლის გოგონა ნათელა ჭურღულია — ფიზიკის ინსტიტუტთან არსებული ქართული საბუნებისმეტყველო ლიცეუმის მე-10 კლასის მოსწავლე...



— თბილისში დავიბადე და მთელი ჩემი სიცოცხლე აქ ვცხოვრობ. საქართველოსთან ერთად გადავიტანე მძიმე წლები სანთლების შუქსა და ნავთქურების სითბოზე და ახლა მიხარია, რომ მდგომარეობა ნელნელა უმჯობესდება.

მეცნიერი გახლავართ და ჩემთვის ძნელია რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილი პოლიტიკური ვითარების განხილვა — ეს პოლიტიკოსთა საქმეა. ერთის თქმა კი შემიძლია: მე, როგორც აქ მრავალ წელს ნაცხოვრებ რუსს, არასოდეს, ერთი წამითაც კი არ მიგრძნია უცხოდ თავი. ჩემი ცოდნა, საქმიანობა თუ პროფესიონალიზმი ყოველთვის ღირსეულად ფასდებოდა მასწავლებლებისა და კოლეგების მხრივ. მე, რომელიც კარგად ვიცნობ გარშემო მყოფთ, იმათ ბუნებრივ გულითადობასა და საუკუნებრივ ტოლერანტობას ყველა სხვა ეროვნების მიმართ, მიჭირს წარმოდგენა, თითქოს აქ, საქართველოში მცხოვრებ რუსებს, კერძოდ დიპლომატებისა და სამხედროების ოჯახებს, რამე საფრთხე ემუქრებოდეს. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ მართლაც შეუძლებელია — ასეთია ჩემი ღრმა რწმენა.

რუსეთელ სწავლულებთან ჩვენი „საყოველთაო არათავისუფლების“ ხანებში ჩამოყალიბებული მჭიდრო კავშირები მუდამ იყო და დარჩება. ამჟამინდელი თავისუფლების წყალობით ინგლისისა და აშშ-ის მეცნიერებთანაც შემვიძლია კოლაბორაციონირება. ეს შესანიშნავია, ვინაიდან დახურულ საზოგადოებაში მეცნიერი ვერ იქნება მეცნიერი, მან შედეგები კოლეგებს უნდა გაუზიაროს, თავისუფლად უნდა შესძლოს წასვლა-წამოსვლა და უცხოელ „თანამკვლევართა“ მოწვევა. სათანადო პირობების, საჭირო სიტუაციის შექმნა კი მხოლოდ პოლიტიკოსებს ძალუძთ. ისინი ბრძენი ხალხია და უთუოდ გადაწყვეტენ წამოჭრილ პრობლემებს, თუნდაც რთულს — მე მჯერა ეს.

**ნელი საპოჟნიკოვა**

◎ არჩევნების წინ

# ქალაქის მერს აქტიურობას ვერ აუკრძალავ!

***როდესაც ერთი წლის წინათ პრეზიდენტმა მერის პოსტზე გიგი უგულავა წარადგინა, მაშინვე ითქვა, რომ მომავალ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში ის იქნებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი. მმართველი პარტიისთვის, რომელიც გახურებულ საარჩევნო კამპანიას აწარმოებს, ძნელია საკუთარი პარტიული საქმიანობა ხელისუფლების მოქმედებისაგან გამიჯნოს. გიგი უგულავას სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რაღაცის გახსნას ვერ აუკრძალავ. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნო ეფექტს ქმნის, მაგრამ რთულია იურიდიულად დაამტკიცო, რომ მის ქმედებებში რაღაც არასწორია და კანონის კონკრეტულ დარღვევებზე მიუთითო. ასეთი დარღვევების დასაბუთებისას ოპოზიციის არგუმენტები მეტად ბუნდოვანია. ცხადია, ხელისუფლებაში ყოფნა პარტიას ადმინისტრაციულ რესურსს აძლევს და ხელისუფლება ამას ყველა ქვეყანაში იყენებს.***

უნდა თუ არა, იძულებულია ოპოზიცია ამას შეეგუოს. დღეს ოპოზიციური პარტიები ერთმანეთის მიმართ არავითარ კრიტიკულ განცხადებას არ აკეთებენ, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის კონკურენტები არიან. არჩევნების შედეგებმა შეიძლება განსაზღვროს რომელი ოპოზიციური პოლიტიკური ძალაა წამყვანი. ყოველ შემთხვევაში, არჩევნები დაგვანახებს საზოგადოების მოთხოვნა უფრო რადიკალურ ოპოზიციაზეა, თუ კონსტრუქციულზე. არც ის არის გამორიცხული, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიცია საერთოდაც ვერ მოხვდეს. ეს ვერსია ალბათ, სათუოა, მაგრამ არსებობის უფლება აქვს.

მოგეხსენებათ, რუსულმა მხარემ თავიანთი ოფიცრების დაკავების დასაწყისად ალიქვა და საქართველოს მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე საუბრობს. ალბათ, ისევ ენერგეტიკულ ბლოკადაზეა აქცენტი. ეს თუ ასე მოხდა, ოპოზიცია ხელისუფლებას გაუხსენებს, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა ოპოზიცია ენერგეტიკაში რუსული კომპანიების შემოყვანას, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთვის ენერგობლოკადის გამოცხადება რუსეთისთვის მთლად ადვილი ვერ იქნება. სხვა თუ არაფერი, ისევ საკუთარ ავტორიტეტს მიაყენებს ზიანს — მისი, როგორც ენერგომატარებლების ექსპორტიორი სახელმწიფოს მიმართ, ნდობა დაიკარგება. დასავლეთისთვის კი ნდობის ფაქტორი ძალიან სერიოზული ფასეულობაა.



ბევრს ეჭვი ეპარება, ძალთა იმ თანაფარდობის პირობებში, რომელიც დღეს პარლამენტშია, რამდენად რეალურია ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნაზე საუბარი, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობაში თუ ოპოზიციურ ფრაქციებში არიან ისეთებიც, ვინც თვლის, რომ პარლამენტში ახალი ფრაქციის შესაქმნელად რეზერვი ნამდვილად არსებობს და ხელს ვანო ჩხარტიშვილის 20-კაციანი ფრაქციისკენ იშვერენ. ოპოზიციაში იმასაც ლაპარაკობენ, რომ ახალი ფრაქციის შექმნა შესაძლოა, ხელისუფლების მიერ იყოს შემოგდებულიო. ეს ვარაუდი, ცოტა არ იყოს, არალოგიკურად გამოიყურება. ასეა თუ ისე, აშკარად თვალშისაცემია, რომ ის მაჟორიტარები ფაციფუცობენ, რომლებსაც მომავალ პარლამენტში მოხვედრის შანსი თითქმის არა აქვთ.

**მზია გელენავა**

◎ კავშირგაბმულობა



*სატელეკომუნიკაციო სფეროში ევროპის ერთ-ერთმა მოწინავე და წარმატებულმა გლობალურმა ფირმამ „ალკატელმა“ (Alcatel) 2 ოქტომბერს საქართველოში თავისი წარმომადგენლობის გახსნის შესახებ განაცხადა. „ალკატელის“ ახალი წარმომადგენლობა თბილისში განთავსდება და, ფირმის ხელმძღვანელობის აზრით, ჩვენში საკუთარი პროდუქციის გაყიდვის, სამარკეტინგო და სხვა ოპერაციის ცენტრად უნდა იქცეს.*

*გადაწყვეტილება საკუთარი წარმომადგენლობის საქართველოში გახსნის თაობაზე „ალკატელმა“ ადგილობრივ ტელესაკომუნიკაციო ბაზარზე ინტენსიფიკაციის მიზნით მიიღო, რომელიც ბოლო წლებში ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევა.*

*— გულწრფელად მოგესალმებით და მინდა გაგიზიაროთ ჩემი ბედნიერება იმასთან დაკავშირებით, რომ „ალკატელი“ თბილისში საკუთარ ოფისს ხსნის, — განაცხადა გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მიმართულ ბრიფინგზე დსთ-ს ქვეყნებსა და მონღოლეთში „ალკატელის“ ვიცე-პრეზიდენტმა იოხან ვანდერპლაეტსმა.*

# „ალკატელის“ მთავარი ლაიტმოტივი

მან მოკლედ ილაპარაკა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს სადღეისოდ „ალკატელი“ და მისი განვითარების პერსპექტივებზე. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სფეროში წარმატების მისაღწევად ფირმა ძლიერი უნდა იყოს თავისი საქმიანობის ყველა სეგმენტში. ამ მხრივ „ალკატელი“ მუშაობს **ფიქსირებული სატელეფონო ხაზების; განვითარებული მობილური კავშირისა და ამ ორის გაერთიანების ინფრასტრუქტურის შექმნის მიმართულებებით.**

ბატონმა ვიცე-პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინვესტირებათა ძირითადი ნაკადი ახალ ტექნოლოგიუმში, კერძოდ, სხვადასხვა სახეობის ტელესაკომუნიკაციო სფეროში ციფრულ დაყოფაში უნდა მიიმართებოდეს, რაც ამ დარგის განვითარების ხვალინდელი დღეა.

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „ალკატელისთვის“ შედარებით მცირე ბაზარია, ჩვენ განვახორციელეთ უკვე მთელი რიგი პროექტებისა, — აღნიშნა საქართველოში „ალკატელის“ წარმომადგენლობის თავკაცმა ედგარ გრიგორიანმა, რომელიც ამჟამად ფირმის სომხეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია. — თბილისში ოფისის გახსნა „ალკატელის“ რეგიონში მოღვაწეობის გაფართოების მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მომავალშიც ვაპირებთ ფიქსირებული და მობილური კავშირის ადგილობრივ ბაზარზე კომერციულ მოღვაწეობას, — თქვა ბატონმა გრიგორიანმა.

ბრიფინგზე, აგრეთვე, აღინიშნა, რომ საქართველოში „ალკატელის“ მოღვაწეობის არეალის გაფართოება საუკეთესო საინვესტიციო კლიმატისა და განვითარებული სატელეკომუნიკაციო სისტემის არსებობის წყალობით გახდა შესაძლებელი.

დამსწრე სტუმრებსა და მასმედიის წარმომადგენლებს აჩვენეს მოკლე ვიდეოფილმი „ალკატელის“ მოღვაწეობის შესახებ, ხოლო ოფისის გახსნის ერთგვარ საზეიმო სიმბოლოდ იქცა ფირმის პოსტერის გადაცემა, რომელიც მის ფასადს დაამშვენებს.

ბოლოს ფირმის წარმომადგენლებმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს, რომელთაგან ერთ-ერთი საგულისხმო იყო „ალკატელის“ ურთიერთობა ახალგაზრდა ჩინურ კომპანიებთან, რომლებიც ბოლო დროს საკმაოდ წარმატებით მოქმედებენ საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. პასუხად მოვისმინეთ, რომ კონკურენტებთან ურთიერთობას „ალკატელი“ აპირებს მომხმარებელთათვის მრავალფეროვანი, მაღალხარისხიანი მომსახურების შეთავაზებით მაქსიმალურად დაბალ ფასებში.

— კარგ ფორმაში ვართ, ამიტომ საკუთარი თავის იმედი გვაქვს, — ასეთი იყო ამ შეხვედრის ლაიტმოტივი.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია თემაში

**კომპანია „ალკატელი“ კლიენტებს აწვდის საკომუნიკაციო გადაწყვეტილებებს, რომლებიც კავშირგაბმულობის ოპერატორებს, სერვის-პროვაიდერებსა და კორპორატიულ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ხმის, მონაცემებისა და ვიდეოგამოსახულების გადაცემისას აბონენტებს მოემსახურონ. „ალკატელი“ მსოფლიო ლიდერია ფიქსირებული და მობილური კავშირის ფართოზოლიანი ფიქსირებული ქსელების, მობილური კავშირისა და მომსახურების სფეროში. შარშან „ალკატელის“ ვაჭრობის მოცულობამ 13,1 მილიარდი ევრო შეადგინა. კომპანია მსოფლიოს 130 ქვეყანაში მოღვაწეობს და მასში 58 ათასი კაცი მუშაობს.**



◎ ინფორმაცია

## გურიაში ორი ახალი სკოლა გაიხსნა

**გუშინ გურიაში ევროსტანდარტების შესაბამისი ორი სკოლა გაიხსნა. ჩოხატაურსა და ლანჩხუთში საჯარო სკოლების გახსნას მხარის რწმუნებული ალეკო ცინცაძე დაესწრო და მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.**

**გუბერნატორმა პირველკლასელებს პრეზიდენტის საჩუქარი — ჩანთები გადასცა. ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლას სასკოლო ავტობუსი მოემსახურება.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◎ ვაჰ, დრონი, დრონი

# ის მაინც ბრუნავს...

## „ურიელ აკოსტას“ დაბრუნება



**რას იფიქრებდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომ მისი ერთ-ერთი შედევრი და თაობების მიერ ლეგენდარულ სპექტაკლად მონათლული კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ 77 წლის შემდეგაც გაცოცხლდებოდა მისივე თეატრში, სცენაზე, სადაც 1929 წლის 2 თებერვალს დაიბადა ეს სპექტაკლი. მართლაც რა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა იგი. მან თაობებსა და დროს გაუძლო. ყველა თაობამ თავისებურად ითამაშა პიესაში და მისეული ხიბლი შემატა მას.**

„ურიელ აკოსტას“ პირველ წარმოდგენაში, როგორც ცნობილია, დიდი მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე თამაშობდნენ მთავარ როლებს – ივდითს და ურიელს. 1962 წელს ვერიკო ანჯაფარიძეს აღუდგენია სპექტაკლი. ივდითს ისევ თვითონ თამაშობდა, ურიელ აკოსტას კი პიერ კობახიძე.

ათი წლის შემდეგ ქალბატონ ვერიკოს „ურიელ აკოსტა“ კვლავ აღუდგენია. ივდითის როლში იგი მისმა ქალიშვილმა სოფიკო ჭიაურელმა შეცვალა, ურიელ აკოსტა კი კოტე მახარაძემ განასახიერა. 1991 წელს ახლა უკვე სოფიკო ჭიაურელმა აღადგინა სპექტაკლი ზურა სტურუასა და ნინო დუმბაძის მონაწილეობით.



და აი, „ურიელ აკოსტა“ კვლავ გაცოცხლდა მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში საქართველოს სახალხო არტისტის სოფიკო ჭიაურელის თაოსნობით. 30 სექტემბერს ეს სპექტაკლი უკვე თეატრის მეოთხე თაობამ წარმოადგინა.

წარმოდგენა აღდგა ზუსტად ისეთივე სახით, როგორც იგი დიდმა რეჟისორმა გაიაზრა სრულიად ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობ სტუდენტ მხატვართან პეტრე ოცხელთან ერთად. ეს ნამუშევარი მხატვრის სენსაციურ დებიუტად ქცეულა თეატრის სცენაზე.

აქედან გამომდინარე, ახლანდელ პრემიერას ძალზე ორიგინალურად დაუკავშირდა პეტრე ოცხელის, მხატვრული აზროვნების ამ დიდი რეფორმატორის თეატრალური ესკიზების გამოფენა, რომელიც თეატრის მუზეუმმა წარმოადგინა. ფაქტობრივად, ამ დღეს გაიხსნა განახლებული მუზეუმიც. მართლია იგი 80 წლისაა და მისი დაარსება კოტე მარჯანიშვილის სახელს უკავშირდება, მაგრამ ახლადრეკონსტრუირებული თეატრის კედლებში მუზეუმმა ფართოდ დაიდო ბინა და ამიერიდან იგი თავის უნიკალურ კოლექციებს თვეში ერთხელ გაააახლებს და იგი საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი გახდება ისევე, როგორც ამჯერად პეტრე ოცხელისა. აქ გამოფენილი ორიგინალების უმეტესობა სწორედ კოტე მარჯანიშვილის დადგმების ესკიზებია.

პრემიერაზე მოსულ მაყურებელს კიდევ ერთი სიურპრიზი დახვდა. სცენას ამშვენებდა რუსი მხატვრის სომოვის მიერ შექმნილი ფარდა, რომელიც ავტორს 1913 წელს შეუქმნია მარჯანიშვილისეული თავისუფალი თეატრისთვის. თავის დროზე იგი 50 ქალის ხელით იქსოვებოდა თურმე 30 დღის განმავლობაში. ფარდა შემოინახა საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმმა.

ასე რომ, სოფიკო ჭიაურელმა ყველაფერი იღონა, რათა მაყურებლისთვის სათანადო განწყობილება შეექმნა. მასთან ერთად სპექტაკლის აღდგენაზე იმუშავეს მხატვრებმა შმაგი სავანელმა და ანა კალატოზიშვილმა, ქორეოგრაფმა გია მარღანიამ.

**– ეს სპექტაკლი მთელი ჩემი ცხოვრებაა, ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, როცა დედაჩემი თამაშობდა ივდითს. ეს ისეთი დადგმაა, რომ ნამდვილად იმსახურებს ქართულ სცენაზე მუდამ არსებობის უფლებას. თამარ ვახვახიშვილის მუსიკაც შევინარჩუნეთ. სხვათა შორის, ერთხანს მისი შეცვლა გვინდოდა, მაგრამ გადავიფიქრეთ, რადგან იმ სიძველეშიც არის მშვენიერება,** – ამბობს ქალბატონი სოფიკო.

მართლაც, სცენაზე გაცოცხლდა კოტე მარჯანიშვილის მშფოთვარესულის ნაწილი – ტრაგედია რომანტიკული სულისკვეთებით, გასაოცარი რიტმით, ემოციურობით, შავ-თეთრი ფერებით, შუქის მონაცვლეობით, დეკორაციულ მონუმენტურობას და სიმსუბუქეს ორგანულად შერწყმული მუსიკით და რაც უაღრესად სასიამოვნოა, ახალი თაობის მსახიობთა ნიჭის მშვენიერი გამოვლინებით, ნატო მურვანიძის ივდითით და ნიკოლოზ თავაძის ურიელ აკოსტათი. დიდი რეჟისორის მიერ ჩამოქერწილ მიზანსცენებში ორივე მსახიობი ლაღად გრძნობდა თავს. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა და იწამა მათი აქტიორული შესაძლებლობები და რადგანაც XXI საუკუნე თავისთავად ახლებურ საშემსრულებლო სკოლას გულისხმობს, მსახიობებმა თითქმის 80 წლის წინათ დადგმული სპექტაკლს ახლებური ჟღერადობა შესძინეს თამაშის მათებური, განსხვავებული მანერით. ცხადია, არ შეიძლება არ აღინიშნოს სცენის გამოცდილი ოსტატების ლეო ანთაძის, ჯემალ მონიავას, გივი ჩუგუაშვილის, დიმიტრი ტატიშვილის, მარლენ ეგუტიას ღვაწლი და მათ გვერდით სხვა მონაწილე ახალგაზრდების მონდომება.

**– ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა მეხსიერებას შემორჩა ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი, უშანგი ჩხეიძის, პიერ კობახიძის ურიელ აკოსტა, ჩემი და კოტე მახარაძის შესრულებული სახეები, ძალიან გთხოვთ, ნუ იქნებით მრისხანენი და ნუ შეადარებთ მათ ერთმანეთს, დღეს ხომ ქართულ სცენაზე ცხოვრება დაიწყო მეოთხე თაობამ,** – მიმართა ქალბატონმა სოფიკომ სპექტაკლის დასასრულს მაყურებელს და მანვე დასძინა: **კარგი თაობაა და ბედნიერი ვარ იმით, რომ მომავალში ყოველი მათგანი შესძლებს მის აღდგენას.**

მაყურებლებმა ჭეშმარიტად არ დაიშურეს გულწრფელი აპლოდისმენტები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ სახელოვანი მეოცესაუკუნელები

***აგერ, ჩემს თაობასაც უწია 75 წელმა – ლამაზმა საიუბილეო ხანამ, თუკი სიბერეში (უფრო რბილად სათქმელად, ხანდაზმულობაშიძ საერთოდ არის რაიმე სილამაზე... სამოცდათხუთმეტიან ნაცნობებს, ამხანაგებსა თუ მეგობრებს შორის სახელოვანი მეცნიერებიც მეგულებიან და გიორგი (გოგიძ ხარაძე, თეორეტიკოსი ფიზიკოსი, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ...***

***აქ ჩამოვართმევ საკუთარ თავს სიტყვას და იუბილარს დიდხანს იმის გვერდით მყოფთა ენა-პირით წარვუდგენ მკითხველს.***

# მამა ნახე, ბიძა ნახე...

## ქართული კვლევითი ინსტიტუტი მსოფლიოს სამეცნიერო რუკაზე

**გიორგი როსტომაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დირექტორის (გიორგი ხარაძისძ მოადგილე:**

– ბატონი გიორგი 18 წელი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს – მან საპატიო დირექტორად გადასული აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი შეცვალა, კოლექტივის მიერ არჩეულმა. არეულობის წლებში რომ ყველაფერი ასე უდანაკარგოდ შევინარჩუნეთ, მაშინ როცა არაერთი დაწესებულება დაზარალდა, ეს გიორგი ხარაძის პირადი დამსახურებაა. კომპიუტერები რომ სულ პირველად შემოვიდა, ჩვენ პირველებმა მივიღეთ და პირველი მომხმარებლებიც ვიყავით, – ესეც იმისივე მეცადინეობით მოხდა.

1998 წელს, როცა გრანტობანა დაიწყო, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით იქ ჩვენი სხვადასხვა დარგის წარმომადგენელ თანამშრომელთა 7-კაციანი ჯგუფი ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. სხვათა შორის, დეპარტამენტის შენობაში შესულებმა სტენდი შენიშნეს, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის წამყვანი სამეცნიერო ცენტრები იყვნენ გამოსახულნი, იმათ რიცხვში – ქართული ფიზიკის ინსტიტუტიც... თბილისელმა ფიზიკოსებმა მოიარეს პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ნაციონალური ლაბორატორია (ლივერმორი, ოუკ-რიჯი, ბერკლიძ, სტენფორდის უნივერსიტეტის ელემენტარულ ნაწილაკთა ამჩქარებელი, მასპინძლებს გააცნეს ჩვენი სამუშაოები, გაიცნეს იმათი, შეთანხმდნენ მომავალ თანამშრომლობაზე. ამ ვიზიტს მოჰყვა საგრანტო ხელშეკრულებები, კონტრაქტების დადება, რითაც ინსტიტუტმა მილიონ დოლარზე მეტი მოიპოვა.

გოგი უაღრესად ზნეობრივი ადამიანია, დახვეწილი ინტელიგენტი, ძალიან დემოკრატიული ბუნების კაცი, რაც სამეცნიერო საბჭოს, სხვადასხვა სხდომის, შეკრების გაძღოლისას კარგად ჩანდა. ოღონდ თუ სადმე უსამართლობას, უპასუხისმგებლობას გადააწყდება, უცებ ფეთქდება და სხვანაირია...

პიროვნულობა თვალებსა და ღიმილშიც ჩანს. ზოგი გიღიმის, მაგრამ თვალები ბოროტი რჩება. გოგის თვალები კი სავსებით შეესიტყვება ღიმილს. კიდევ – არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და პაპაა.

**გიორგი ბარამიძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი გიორგი ხარაძის დირექტორობისას:**

– 100-ზე მეტი შრომის ავტორი გიორგი ხარაძე ფიზიკოსთა ფართო წრეებში ცნობილია კონდენსირებულ გარემოთა კვანტური თეორიის გამორჩენილ მკვლევარად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმისისტემების ზედენადობის საკითხებში მისი შედეგები. ამ ტიპის სისტემებს შორის გამოირჩევა ჰელიუმის მსუბუქი იზოტოპის (ჰელიუმ-3-ისძ ზედენადი ფაზების უნიკალური თვისებები ტემპერატურის აბსოლუტური ნულის მახლობლობაში.



განსაკუთრებულ ინტერესს იმის დადგენა იწვევდა, თუ რა სტრუქტურის მქონე კვანტური გრიგალები უნდა არსებობდნენ მბრუნავ ჰელიუმ-3-ში. ამ საკითხის ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა. გიორგი ხარაძის ხელმძღვანელობით მომუშავე თეორეტიკოსთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ზედენად ჰელიუმ-3-ში გრიგალების შესწავლის საუკეთესო საშუალებაა ბირთვული მაგნიტური რეზონანსის გამოყენება. შეიქმნა შესაბამისი თეორიული მოდელი. შედეგები საფუძვლად დაედო საქართველო-ფინეთის პროექტს ROTA-ს ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტების მონაცემთა ინტერპრეტაციას. ამ კოლაბორაციას მალე შეუერთდნენ რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის წამყვანი მეცნიერები. მოპოვებულია უნიკალური შედეგები გრიგალთა თვისებების შესახებ ზედენად ჰელიუმ-3-ში. კერძოდ, გიორგი ხარაძის ჯგუფის მეთოდზე დაყრდნობით აღმოჩენილია სტრუქტურული გარდაქმნის არსებობა კვანტურ გრიგალთა გულში.

ბოლო ხანებში დიდი აქტუალობით გამოირჩევა ფოროვან გარემოში (აეროგელშიძ მოთავსებული ზედენადი ჰელიუმ-3-ის თვისებათა გამოკვლევა. გაირკვა, რომ ამგვარ, სივრცულად მოუწესრიგებელ გარემოში ჰელიუმ-3-ის ზედენადი ფაზების თვისებები რადიკალურად იცვლება. გიორგი ხარაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მოვლენის თეორიულ გააზრებაში. იმის მიერ თანამშრომლებთან ერთად მოპოვებული შედეგები ექსპერიმენტულად დადასტურდა აშშ-ის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

ბატონი გიორგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან, არაერთ სემინარს უძღვებოდა ჰელსინკის, გეტებორგის, კემბრიჯის, სასექსის, სამხრეთ კალიფორნიის, ბერკლის, ჰარვარდის უნივერსტეტებში...

ვესაუბრები **აკადემიკოს ნიკო ვახანიას, იუბილარის დიდი ხნის მეგობარს:**

**– როდის გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩვენ ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. ორივემ თეორიული ფიზიკის სპეციალობით დავამთავრეთ. აქ გაიყო ჩვენი გზები: გოგიმ თავისი ინტელექტუალური ცხოვრების მიზნად ბუნებრივად აირჩია თეორიული ფიზიკა, მე კი – ვფიქრობ, ასევე ბუნებრივად – მათემატიკა: ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს ვიგრძენი, რომ ჩემთან მათემატიკა უფრო ახლოს იყო გონებრივი წყობის თვალსაზრისით.

**– თავიდანვე მათემატიკის სპეციალობაზე შესულიყავი...**

– იყო რამდენიმე ფაქტორი, მაგრამ მაგაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა ჩემზე დაწერ... ამრიგად, პროფილის მიხედვით სხვადასხვა მიმართულებით წავედით, სხვა მხრივ კი ჩვენი გზები არ დაცილებულა და აგერ უკვე რამდენი წელია, რაც ერთად მოვდივართ.

**– მაინც რამდენი?**

– ო, ამას ვერ გავამხელ, ვინაიდან უწინდელი ყალბი ლოზუნგი „ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეა“ ახლა შეცვლილია უფრო რეალური, მაგრამ აგრესიული დამოკიდებულებით ასაკისადმი.

**– ბატონ არჩილს როგორ გაიხსენებდი?**

– გოგისთან ჩემს მეგობრულ ურთიერთობას განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა ჩვენი გამორჩენილი მათემატიკოსისა და ასევე გამორჩეული პიროვნების, ბატონი არჩილ ხარაძის ფაქტორი. იმასთან ურთიერთობა, რომლის ფორმასა და ჩარჩოებს თავადვე განსაზღვრავდა ხოლმე სრულიად ბუნებრივად, მოსაუბრეზე ხილული ზემოქმედების გარეშე, ყოველთვის მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა ყველაზე და, რა თქმა უნდა, მე არ ვიყავი გამონაკლისი.

**აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის აკადემიკოს-მდივანი:**

– გოგისთან ჩემი ახლო ურთიერთობა 1958 წლიდან მოდის, როცა რუსეთიდან თბილისში დაბრუნებულმა ფიზიკის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. გიორგი ხარაძე ჩემთვის იყო გამორჩენილი ქართველი ფიზიკოსის გივი ხუციშვილის განყოფილების თანამშრომელი.

მოგვიანებით ჩვენ გვერდიგვერდ გვიწევდა საქმიანობა აკადემიის პრეზიდიუმში, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში, არაერთ მეცნიერულ ღონისძიებაში. ძალიან მეხმარებოდა ჩემს საპასუხისმგებლო სამუშაოზე, როგორც აკადემიკოს-მდივნის მოადგილე. დღემდე მეამაყება, რომ ჩვენს განყოფილებაში შემომავალი სამი წამყვანი ინსტიტუტის დირექტორები, აკადემიკოსები ნიკო ვახანია, ვანო კილურაძე და გოგი ხარაძე ყოველთვის მხარში მედგნენ.

მართლაც რომ მისაბაძი იყო გიორგი ხარაძის მრავალწლიანი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა აწ განსვენებულ აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან გივი ვაჩნაძესთან. იმათმა ერთობლივმა მეცნიერულმა შედეგებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

ვესაუბრები **აკადემიკოს გიორგი ხარაძეს:**

**– რას ნიშნავდა შენთვის არჩილ და ევგენი ხარაძეების სახელები?**

**–** იმან, რომ ბედმა არჩილ და ელისაბედ ხარაძეების ოჯახში აღზრდა მარგუნა, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ განსაზღვრა ჩემი მომავალი. მშობლების სამაგალითო ურთიერთობა მეხსიერებაში აღმებეჭდა, როგორც ოჯახური ჰარმონიის ეტალონი. ერის წინაშე მამაჩემის, როგორც მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დიდი დამსახურების საყოველთაო აღიარება დღემდე ჩემი სიამაყის წყაროა.

ბიძაჩემმა, ევგენი ხარაძემ უშრეტი ენერგიისა და მტკიცე ნებისყოფის წყალობით ფუძემდებლური წვლილი შეიტანა საქართველოში ასტრონომიული მეცნიერების დამკვიდრებაში. ქვეყნის წინაშე მისი მრავალწახნაგოვანი დამსახურების აღიარების მასშტაბები ყოველთვის მაოცებდა და მახარებდა.

**– ასეთი „თემა“: ფიზიკის ინსტიტუტი და შენ...**

– აქ 1957 წლიდან ვმუშაობ. 1988 წელს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ელეფთერ ანდრონიკაშვილი გადადგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან და მე მომიხდა მის მიერ დაფუძნებული სამეცნიერო დაწესებულების გაძღოლა.

მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე პერიოდი განვლო ქვეყანამ მომდევნო წლების განმავლობაში, რამაც მეცნიერების განვითარებას დიდი საფრთხე შეუქმნა. შემიძლია თქმა, რომ ჩვენი თანამშრომლების მაღალი პროფესიული დონისა და ტრადიციების წყალობით შევძელით „წონასწორობის“ შენარჩუნება და დღესაც ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი მსოფლიოს სამეცნიერო რუკაზე მაღალი საერთაშორისო დონის კვლევით ცენტრად გვევლინება.

**... საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის გარდა, პროფესორი გიორგი ხარაძე ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების ასოცირებული წევრი, ბრიტანეთის ფიზიკის ინსტიტუტის წევრი და ქართული ღირსების ორდენის კავალერი გახლავთ. ეს იყოს დამატებითი ინფორმაცია განსჯისათვის; და კიდევ ის, რომ როგორც ვნახეთ, მამისა და ბიძის სახელებთან ერთად, ბატონ გიორგის სხვაც ბევრი აქვს საამაყო...**

**თამაზ ებანოიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსი ოფიცრების ბედი შეერთებული შტატების ხელშია

**მოსკოვმა სერიოზული მარცხი იწვნია საერთაშორისო ასპარეზზე, როცა საქართველოს საკითხი წამოჭრა გაეროს უშიშროების საბჭოსა და ნატოს წინაშე. რუსეთის მცდელობამ დაეგმოთ საქართველოს ხელმძღვანელობა რამდენიმე რუსი ოფიცრის დაპატიმრების გამო, ვერ პოვა მხარდაჭერა ვერც გაეროს უშიშროების საბჭოში — ძირითად ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მშვიდობისა და უშიშროებისათვის შექმნილ საფრთხეებთან დაკავშირებით, და ვერც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, რომელმაც ამ დღეებში გამოაცხადა, რომ გადავიდა საქართველოსთან დაახლოების ახალ ეტაპზე — ინტენსიურ დიალოგზე.**



უფრო მეტიც, ეს დაახლოების პროცესი შეიძლება მნიშვნელოვნად დაჩქარდეს, თუ ალიანსის წევრი 26-ვე ქვეყანა დაეთანხმება ამერიკელი რესპუბლიკელი-სენატორის აზრს, რომელმაც მოამზადა კანონპროექტი ალბანეთთან, ხორვატიასთან და მაკედონიასთან ერთად საქართველოს ნატოში შესვლის მხარდაჭერის შესახებ. ზემოაღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს შეერთებული შტატების ბიუჯეტიდან 19,8 მილიონი დოლარის გამოყოფას, რომელიც უნდა მოხმარდეს ამ ოთხი ქვეყნის „ხელშეწყობას უშიშროების სფეროში“, აქედან ყველაზე დიდი თანხა — 10 მილიონი დოლარი — განკუთვნილია საქართველოსთვის.

და მართალია, ალიანსის მომავალ სამიტზე, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს რიგაში, თავდაპირველად არ იყო დაგეგმილი ნატოს გაფართოების საკითხის განხილვა, მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით, არაფერი არ შეუშლის ხელს იმას, რომ მოკავშირეებმა წამოჭრან საქართველოს თემა.

ამ კანონპროექტის შეტანა გახდა თავისებური დამატება ვაშინგტონის რეაქციაზე ამიერკავკასიაში ბოლო ხანს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. შეერთებულმა შტატებმა, პრინციპში, დაბლოკა გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური განცხადების პროექტი. დოკუმენტში, რომელმაც რუსეთმა გაავრცელა გასულ ხუთშაბათს საბჭოში გამართული დახურული კონსულტაციების დროს, გამოთქმულია ღრმა შეშფოთება საქართველოს ხელისუფლების მოქმედების გამო, რომელიც, როგორც მოსკოვი ამტკიცებს, არღვევს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მიღწეულ მორიგებებს და გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციას. ნიუ-ორკში გამართული დისკუსიის დროს, ამერიკელებმა მოითხოვეს დოკუმენტში მნიშვნელოვანი შესწორებების შეტანა. რუსებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ ეს დაუკარგავდა შინაარსს დოკუმენტს და შეუძლებელი გახდებოდა განცხადების მიღება.

ასეთი სცენარი სულაც არ იყო მოულოდნელი, რადგან ყველასთვის ცნობილია, თუ როგორია ძალთა განლაგება გაეროს უშიშროების საბჭოში. შეერთებული შტატები, რომელსაც მხარს უჭერდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, ვერ დაეთანხმებოდა ასეთ მკაცრ რეზოლუციას იმ ქვეყნის მიმართ, რომლის რეჟიმსაც სულ რამდენიმე დღის წინ გამოუთქვეს უპირობო მხარდაჭერა (იგულისხმება ნატოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყება).

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ის სახელმწიფოები გამოთქვამდნენ შეშფოთებას საქართველოს ხელისუფლების მოქმედების გამო, რომლებიც, როგორც წესი, ასეთ შეშფოთებას გამოთქვამენ ხოლმე მაშინ, როცა ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთი ცდილობს თავისი ინტერესების დაცვას (მაგალითად, როცა რუსული პასპორტები დაურიგეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს). შეერთებული შტატები და ევროპა ეჭვქვეშ აყენებენ, რომ რუსეთი გულწრფელად არის დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით; ისინი ცდილობენ ცვლილებების შეტანას კონფლიქტების მოწესრიგების არსებულ ფორმატებში და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დააკნინონ მოსკოვის როლი ამ პროცესში, აცხადებენ, რომ უნდა გაიმართოს დიალოგი მხოლოდ თბილისსა და სეპარატისტებს შორის.

აშკარაა, რომ შეერთებული შტატები და ევროპა არ დაუჭერენ ასევე მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებას საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გატანის შეჩერების შესახებ. რუსეთს დაჟინებით მოუწოდებენ, რომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.

გაეროს უშიშროების საბჭოს წესდების შესაბამისად, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება მოითხოვოს საბჭოს მოწვევა, თუ ხედავს რომელიმე სახელმწიფოს მოქმედებაში საფრთხეს მშვიდობისთვის და საბჭოს წევრებს შესთავაზოს შესაბამისი დოკუმენტების განხილვა. საქართველოსთან დაკავშირებით, მოსკოვის გარკვეულ წრეებს, ალბათ ამის იმედი ჰქონდათ. ლოგიკა დაახლოებით ასეთია: „რადგან რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკა ვერ პოულობს გაგებას „დასავლეთში“, საფრთხე კი აშკარაა, მაშასადამე, საჭიროა მკაცრი ზომების მიღება მისი აღმოფხვრისთვის“. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ისიც, რომ მოსკოვმა შეიკავა თავი ქართულ მხარესთან ოფიციალური კონტაქტებისგან, მათ შორის პრეზიდენტების და მინისტრების დონეზეც ოფიცრებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა კი მოისურვა უმაღლეს საერთაშორისო დონეზე, თუმცა ეს ორი ქვეყნის ურთიერთობის სფეროში შედის.



სლოვენიაში, ნატოს წევრი-ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრის დროს, სერგეი ივანოვის გამონათქვამებიც არ შეიცავდა იმ არგუმენტებს, რომლებიც საჭიროა „პოტენციური მეტოქის“ დასამარცხებლად. რისი იმედი ჰქონდა ივანოვს, როცა ლაპარაკობდა ბანდიტიზმზე საქართველოს ხელისუფლებაში? ჯორჯ ბუში ხომ მიხეილ სააკაშვილს მეგობრად მიიჩნევს და იზიარებს იმ ღირებულებებს, რომლებსაც სააკაშვილი ელტვის. ასეთივე მოსაზრების არიან პენტაგონის შეფი დონალდ რამსფელდი, რომელთანაც გასაუბრების შესაძლებლობა ჰქონდა ივანოვს სლოვენიაში, და მისი ნატოელი კოლეგები, რომლებმაც მოისურვეს საქართველოსთან დაახლოვება. მათ რუს მინისტრს მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდეს.



რუსი ოფიცრების საკითხი გადაწყდება შეერთებული შტატების უშუალო მონაწილეობით. მოსკოვში ეს ჩინებულად იციან, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოიძახებდნენ შეერთებული შტატების ელჩს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში რუსი სამხედროების დაკავებისთანავე. **როგორ შევანელოთ დაძაბულობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში? ეს ძალზე რთული კითხვაა, რომელზეც პასუხს მოსკოვში, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ ეძებენ.**

**იულია პეტროვსკაია,**
**2 ოქტომბერი.**

# თბილისი-მოსკოვი: ნერვების ბრძოლა



**გასულ შაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ახალი ვიდეომასალები და სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომლებიც უკავშირდება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის უკვე დაპატიმრებული ოფიცრების საქმიანობას. კერძოდ, საქმე ეხება იმას, რომ განსასჯელები მონაწილეობდნენ „ლიახვი“ და „ქართლი-2“ ელექტროგადამცემ ხაზებზე მომხდარი დივერსიის მომზადებაში, 2004 წლის 9 ოქტომბერს კასპში სარკინიგზო ვაკისის და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურში ნავთობსადენის აფეთქებებში.**

თბილისში დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია იმას, რომ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ გასულ უქმე დღეებში გამოგზავნა თვითმფრინავები დაახლოებით 130 რუსი დიპლომატის და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანამშრომლების ევაკუაციის მიზნით. „რუსეთის ხელისუფლებას ჩინებულად აქვს შეგნებული, რომ რუს მოქალაქეებს საქართველოში არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ყველას გაიყვანდნენ“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა. როგორც მან თქვა, ამ ადამიანების ევაკუაციას სადემონსტრაციო მიზანი აქვს — თურმე, საქართველოში ყოფნა საშიშია. ქართველი პარლამენტარის თქმით, მოქალაქეთა ევაკუაცია, როგორც წესი, ხორციელდება მაშინ, როცა შემოღებულია საომარი მდგომარეობა. „მოსკოვს სურს, რომ სიტუაცია სწორედ ასე წარმოაჩინოს“, — თქვა მან. თბილისში არც ის მიაჩნიათ ტრაგედიად, რომ გაიხმეს მოსკოვში რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაური ვიაჩესლავ კოვალენკო. „ელჩი არ ყოფილა აკრედიტებული და მას ჯერჯერობით არ გადაუცია ქართული მხარისთვის რწმუნებათა სიგელები“, — თქვა გაბაშვილმა.

თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს მიაჩნია, რომ „ჯაშუშური სკანდალი“ ჯერ არ დასრულებულა, რადგან არსებული მონაცემებით, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად არიან რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები და მათ თანდათანობით დაიჭერენ. ოქრუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ რუსული აგენტურის დონე საკმაოდ დაბალია, ისევე, როგორც ქვეყანაში დარჩენილი რუსული სამხედრო ბაზების მოსამსახურეებისა, რომლებითაც „რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი ცდილობს საქართველოს დაშინებას“. ოქრუაშვილი ასევე არ დაეთანხმა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ამ ბოლო ხანებში განვითარებულ მოვლენები მოახდენს გავლენას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის ვადებზე. „ბაზებს გაიტანენ მიღწეული მორიგების თანახმად, და ამით მოისპობა იმპერიის უკანასკნელი კვალი ქართულ მიწაზე“, — თქვა ოქრუაშვილმა.

რუსეთის მისამართით მკაცრი განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამაც. განცხადების გაკეთების საბაბი გახდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლიდერების მონაწილეობა სოჭის „ყუბანი-2006“ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში. თბილისში ამ ფაქტს „აღმაშფოთებელი“ უწოდეს. „სეპარატისტთა ლიდერის მონაწილეობა ზემოაღნიშნულ ფორუმში მით უფრო საგანგაშო და აღმაშფოთებელია, რადგან ამ ღონისძიების ორგანიზატორები არიან რუსეთის ოფიციალური ორგანოები — საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და სავაჭრო-სამრეწველო პალატა“, — ხაზგასმულია განცხადებაში. „რუსეთის ხელისუფლება, სამწუხაროდ, არა მარტო რთავს ფედერაციის სუბიექტებს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან კონტაქტების დამყარების ნებას, არამედ მართავს კიდეც შეხვედრებს სეპარატისტების ლიდერებთან, რაც აშკარად არის სეპარატისთა დესტრუქციული საქმიანობის წაქეზება“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების შესაძლო გამკაცრების შესახებ თბილისელი ოფიციალური პირების და ექსპერტების რეაქცია ასეთია: მსგავსი ღონისძიებებით მოსკოვი ვერ მიაღწევს საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციის შეცვლას. „საომარი მოქმედების დაწყებას იგი ვერ გაბედავს — ახლა ის დრო აღარ არის, რაიმე სანქციების შემოღება კი — ვიზების გაცემის შეწყვეტა, ეკონომიკური ან ენერგეტიკული ბლოკადა — ეფექტს ვერ მოიტანს“, — განაცხადა განვითარების და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა ზაქარეიშვილმა.

„რუსეთი გაზის და ელექტროენერგიის უდიდესი მომწოდებელია, მაგრამ ჩვენ უკვე დავუდეთ პარტნიორული შეთანხმებები აზერბაიჯანს, სომხეთს, ირანს და თურქეთს, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მოგვაწვდიან სათანადო რაოდენობის ენერგოშემცველებს“, — განაცხადა თავის მხრივ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა.

**(იბეჭდება მცირე შემოკლებით)**

**იური სიმონიანი,**
**2 ოქტომბერი.**



ფრაგმენტი რუსეთის ფედერაციის უშიშროების მუდმივ საბჭოს წევრებთან გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

იმის მიუხედავად, რომ რუსეთი თანამიმდევრულად ასრულებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩვენი საჯარისო ქვეგანაყოფების გამოყვანის თაობაზე მიღწეულ მორიგებებს, ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც ცნობილია, საქართველოში დააკავეს და საპყრობილეში მოათავსეს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები. ეს არის რაღაც ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მიერ როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებული სამართალმემკვიდრეობის ნიშანი. ალბათ, ასეთი ტრადიციაა... აშკარაა, რომ ცდილობენ რუსეთის გამწარებას, პროვოცირებას, — ეს ყველასთვის აშკარა უნდა იყოს. და, ალბათ, ის ადამიანები, რომლებიც ამას აკეთებენ, ფიქრობენ, რომ საგარეო პოლიტიკაში ანტირუსული მიმართულება შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს. არა მგონია, რომ ეს ასე იყოს!.. ამ ადამიანებს, რომლებიც უცხოელი სპონსორების მითითებით და მეურვეობით მოქმედებენ, მიაჩნიათ, რომ თავს იგრძნობენ კომფორტულად და უსაფრთხოოდ... მართლა ასეა ეს სინამდვილეში? ალბათ, არსებობენ ძალები, რომლებიც, უბრალოდ, ახალ-ახალი კრიზისების შექმნაზე არიან დასპეციალიზებული, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით შეძლებენ ყურადღების ჩამოშორებას ძველი პრობლემებისგან.

# აფხაზეთმა მოლაპარაკება შეაჩერა

**აფხაზეთმა შეაჩერა მოლაპარაკების პროცესი და მას განაახლებს მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად გაიყვანენ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან. როგორც აფხაზეთის მეთაურის პრესსამსახურში აღნიშნეს, მოლაპარაკების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგ, რაც საქართველო შეუდგება როგორც მოსკოვის შეთანხმების, ისე წინათ მიღწეული სხვა მორიგებების შესრულებას.**

თავის მხრივ, თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება შეაჩერა საქართველომ, რომელმაც „შეიყვანა თავისი ჯარები კოდორის ხეობაში და დაარღვია მოლაპარაკების პროცესის ყველა მექანიზმი“. „საქართველო ამას მიზანდასახულად და თანამიმდევრულად აკეთებს, და კოდორის ხეობაში ქართული ჯარის შეყვანა არის ჩვენს შორის არსებული უმთავრესი საბაზრო შეთანხმებების დარღვევა“, — აღნიშნა შამბამ.



REGNUM **საინფ. სააგენტო, 2 ოქტომბერი.**

# საქართველო შეიძლება უფულოდ დარჩეს

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში უახლოეს მომავალში მოამზადებენ და განიხილავენ კანონპროექტს, რომელიც აკრძალავს ფულად გზავნილებს ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

როგორც „ედინაია როსიას“ წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა, ასეთი გადაწყვეტილება განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით. უწინარეს ყოვლისა, კანონმდებლები გულისხმობდნენ საქართველოს, ქვეყანას, რომელშიც რუსეთიდან ყოველწლიურად გაედინება დაახლოებით 320 მილიონი დოლარი, — აღნიშნა დეპუტატმა. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მთავრობას ექნება უფლება, გადაწყვიტოს, თუ კონკრეტულად რომელ ქვეყანაში დაიბლოკოს რუსეთიდან ფულადი გზავნილები.



**(იბეჭდება მცირე შემოკლებით)**

**რუსული სააგენტოების მასალებიდან, 2 ოქტომბერი.**

# უნგრეთის მმართველი კოალიცია მუნიციპალურ არჩევნებში დამარცხდა

**უნგრეთის მმართველმა პარტიამ განიცადა დამარცხება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში, რომლებიც კვირას გაიმართა მთელი ქვეყნის მასშტაბით.**

ხმათა თითქმის 80 პროცენტის დაანგარიშების შედეგად, ამომრჩევლებმა უპირატესობა მიანიჭეს მემარჯვენე ძალებს, რომლებმაც ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს პრაქტიკულად დეპუტატთა ყველა საოლქო საკრებულოში. სოციალისტებმა ქალაქის ადმინისტრაციის მეთაურის პოსტები მხოლოდ რამდენიმე დიდ ქალაქში შეინარჩუნეს.

სოციალისტებისა და თავისუფალი დემოკრატების ასეთი წარუმატებლობის მიზეზის გახდა მოსახლეობის ნეგატიური რეაქცია მმართველი კაბინეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის შემცირებას, რაც გამოიხატება ფასებისა და ტარიფების ზრდით.

ამავე დროს, გასულ კვირას მთელი ქვეყნის მასშტაბით არ ჩამცხრალა მემარჯვენე ძალების მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც მოითხოვენ მთავრობისა და პრემიერ-მინისტრ ფერენცს დიურჩანის გადადგომას.

სოციალისტთა ლიდერებს მიაჩნიათ, რომ კენჭისყრის ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო. და მაინც, მათი აზრით, მუნიციპალური არჩევნების შედეგებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა გამოცხადებულ რეფორმებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას და რიგითი უნგრელების ცხოვრების დონის ამაღლებას.

ზეიმობენ ოპოზიციური პარტიის — უნგრეთის სამოქალაქო კავშირის მომხრეები. არჩევნების შედეგების განმარტებისას, პარტიის ლიდერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ „უნგრელებმა მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება“.

მისი თქმით, „კენჭისყრის შედეგებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისთვის, და არ შეუძლია გაუძღვეს უნგრეთს რეფორმათა გზაზე“. „ამის გამო, მმართველი კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ“, — აღნიშნა ოპოზიციონერმა-პოლიტიკოსმა.



არჩევნებში მმართველი პარტიის დამარცხებამ, როგორც იტყვიან, ფრთები შეასხა ანტისამთავრობო მიტინგის მონაწილეებს, რომელიც მიმდინარეობს ბუდაპეშტში, პარლამენტის შენობის წინ მდებარე მოედანზე. მიტინგში მემარჯვენე ძალების რამდენიმე ათასი მომხრე მონაწილეობდა.

მომიტინგეები მოითხოვდნენ პრემიერს და მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას. დემონსტრაციის ერთმა ინიციატორმა, იოჟეფ ერფიმ მოუწოდა მომიტინგეებს, რომ ორშაბათს საღამოს გაემართათ ყველაზე დიდი აქცია და „ოფიციალურად გამოეცხადებინათ, რომ უნგრეთში იწყება საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა“. მისი თქმით, მემარჯვენე ძალების წარმომადგენლები მოედანზე დარჩებიან მანამ, სანამ არ მიაღწევენ გამარჯვებას.

როგორც ცნობილია, უნგრეთში მასობრივი მანიფესტაციების გამართვის საბაბი გახდა მთავრობის მეთაურის ფერენც დიურჩანის აღიარება, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტი შეგნებულად ამახინჯებდა ეკონომიკაში საქმის რეალურ მდგომარეობას. პრემიერ-მინისტრის ასეთმა განცხადებამ გამოიწვია მძაფრი პროტესტი მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

# ბოსნიაში საყოველთაო არჩევნები გაიმართა

**ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სადაც გასულ უქმე დღეებში გაიმართა არჩევნები, მიმდინარეობს ხმათა დაანგარიშება.**

ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ქვეყანამ აირჩია ხელმძღვანელობა, რომელიც სათავეში ჩაუდგება მას შემდეგ, რაც მომავალ წელს საერთაშორისო წარმომადგენლები მოიხსნიან უფლებამოსილებას.

ბოსნია-ჰერცეგოვინის სახელმწიფო მოწყობის თავისებურებაა ის, რომ სახელმწიფო სათავეში დგას სამი თანაპრეზიდენტი — მუსლიმანი, ხორვატი და სერბი.

წინასწარი მონაცემებით, მუსლიმანური თემისგან არჩევნებში ლიდერობს ბოსნიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰარის სილიჯიჩი.

სერბებმა ხმათა უმრავლესობა მისცეს ნებოიშ რადმანოვიჩს.



1990-იანი წლების შემდეგ, როცა დასრულდა ომი ბოსნიაში, ქვეყანაში სახელმწიფო ხელმძღვანელობას ძირითადად საერთაშორისო გაერთიანება ახორციელებდა, მაგრამ მალე ხელისუფლება გადაეცათ ადგილობრივ პოლიტიკოსებს.

გაეროს გენერალური მდივნის უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი, რომელიც დაფუძნდა 1995 წლის დეიტონის საზავო შეთანხმების საფუძველზე, 2007 წლის ზაფხულში დაიხურება.

კვირას ბოსნიელები ირჩევდნენ კანდიდატებს პრეზიდენტის პოსტზე, აგრეთვე პარლამენტისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების დეპუტატებს.

# უგო ჩავესი: პრეზიდენტი ბუში და მეტოქეები მკვლელებს მიგზავნიან

**ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა, რომელიც უკვე კარგა ხანია ემზადება შეერთებული შტატების მხრიდან აგრესიის მოსაგერიებლად, თავის მომხრეებს უამბო მის წინააღმდეგ თავდასხმის**



**მზადების შესახებ. ჩავესის თქმით, ინფორმატორმა თეთრი სახლიდან აცნობა, რომ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აპირებს მის „თავიდან მოშორებას“ 2008 წლამდე. თვით ჩავესს კი დაგეგმილი აქვს, რომ ხელისუფლების სათავეში უნდა დარჩეს 2021 წლამდე, და ეს მოხდება იმის მიუხედავად, დართავს თუ არა ამის ნებას ვენესუელის კონსტიტუცია.**

წინასაარჩევნო დემონსტრაციაზე გამოსვლისას, ჩავესმა თავის ათასობით მომხრეს გააცნო შემაშფოთებელი ინფორმაცია ვენესუელის პრეზიდენტისა და ქვეყნის მთავრობის მოსპობისთვის გამიზნული შეერთებული შტატების გეგმების შესახებ.

„ბუშს უთქვამს, რომ სანამ დატოვებს ქვეყნის მეთაურის პოსტს, უგო ჩავესი აღარ უნდა იყოს ვენესუელის პრეზიდენტი“, — აღნიშნა ჩავესმა. „შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამაზე განსაკუთრებით ხშირად ლაპარაკობს ბოლო დღეებში. მაგრამ მან არ იცის, რომ მე მყავს მეგობრები თეთრ სახლში“, — თქვა ვენესუელის პრეზიდენტმა.

აღსანიშნავია, რომ ჩავესი პირველად როდი მიმართავს ხალხს ასეთი განცხადებით. მაგალითად, წინა დღით მან ვენესუელელ ერს აცნობა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ შეძლო თავიდან აეცილებინა მორიგი თავდასხმა. ჩავესმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ დაქირავებული მკვლელი მიუგზავნა მისმა მთავარმა მეტოქემ პრეზიდენტის არჩევნებში, რომლებიც 3 დეკემბერს უნდა გაიმართოს. ჩავესის თქმით, გუბერნატორ მანუელ როსალესის მომხრეების მიერ გამოგზავნილ სნაიპერს იგი უნდა მოეკლა მაშინ, როცა ვერტმფრენიდან გადმოდიოდა. მაგრამ თავდასხმა არ შედგა, და ამ ტერაქტში მონაწილე ყველა პირმა შეაფარა თავი კოლუმბიის ტერიტორიას, დააშოშმინა თავისი მრავალრიცხოვანი მომხრეები ჩავესმა.

უფრო მეტიც, ვენესუელის პრეზიდეტმა განაცხადა, რომ არ დატოვებს თავის ხალხს მომდევნო არც არჩევნების, და არც მას შემდეგაც კი, როცა ამოიწურება კანონით მისთვის მინიჭებული ვადა. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ აპირებს გამარჯვებას დეკემბრის არჩევნებში და ქვეყნის სათავეში დარჩება 2021 წლამდე. „კიდევ 14 წელი, აი, რა მოხდება!“, — თქვა ჩავესმა. ამასთან, მას დიდად არ ადარდებს ის, რომ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ხელახლა არჩევა მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

თუ ჩავესი შეძლებს გამარჯვებას და პრეზიდენტის მანდატს კიდევ ექვსი წლით მოიპოვებს, მისი უფლებამოსილების ვადა 2012 წელს მაინც ამოიწურება, და ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის გარეშე, მას არ ექნება მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. თუმცა, ჩავესი უკვე ალაპარაკდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობაზე.

## ორბიტაზე

### დაეწია!



**ეს მოხდა შანხაიში, ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 56-ე მსოფლიო ჩემპიონატის მე-16 ეტაპზე „ჩინეთის გრან-პრი“. შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი, „ფერარის“ პილოტი მიხაელ შუმახერი თავის კარიერაში 91-ე გამარჯვებით წამოეწია წლევანდელი ჩემპიონატის უცვლელ ლიდერს – ფერნანდო ალონსოს „რენოდან“ და ახლა ორივე 116-116 ქულით აგრძელებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას.**

აღსანიშნავია, რომ შუმახერმა წლევანდელი გამარჯვებების რაოდენობით გადაასწრო ალონსოს – 7 – 6. თუმცა ალონსო ამ ჩინურ რბოლაში დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ 29-ე წრის შემდეგ პოზიციები დათმო.

ასე რომ, დარჩენილ ორ ეტაპზე, მართლაც, „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ იქნება პირველი ადგილისთვის.

კონსტრუქტორთა თასზე კი მომდევნო ორი ადგილის (ალონსო და ფიზიკელა ავიდნენ პოდიუმის მეორე და მესამე საფეხურზე) მოპოვებით „რენომ“ ერთი ქულით ისევ გადაასწრო „ფერარის“. მესამე ადგილზეა „მაკლარენი“ – 101 ქულა.

### ჩაკვეტაძის პირველი ტიტული

**ჩინეთის ქალაქ გოუნჩაჟოუში დამთავრებულ ქალთა საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 175 000 დოლარი იყო, ფინალში გაიმარჯვა ქართულფესვებიანმა რუსეთელმა ანა ჩაკვეტაძემ. მან დაამარცხა ესპანელი ანაბელ მედინა-გარიკესი – 6:1, 6:4.**



ეს ანას პირველი დიდი გამარჯვებაა, რისთვისაც 28 ათასი დოლარი დაიმსახურა.

სულ მალე ის „კრემლის თასის“ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

### ყველაზე სექსუალური?

**აპრილში მამაკაცების ბრიტანული ჟურნალის FHM მკითხველებმა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალად მსახიობი კეირა ნაიტლი მიიჩნიეს.**

მეორე ადგილი კი ბრიტანელ მოდელს კილი ჰაზელს ერგო. სხვათა შორის, ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალად აღიარებული ჩოგბურთელი მარია შარაპოვა ამ სიაში მხოლოდ 56-ე იყო.

თუმცა თავად ჰაზელი როდი იყო სპორტთან მწყრალად. ის თამაშის Formula One 2006 სახედ აირჩიეს. „სწრაფი მანქანები და სპორტული ჭაბუკები – აბა, სხვა რაზე უნდა იოცნებოს ლამაზმა ქალიშვილმა?“ – განაცხადა მაშინ კილიმ.

თუმცა მას „ფორმულა“ როდი ეყო და ინგლისურ პრემიერ-ლიგას „დაადგა თვალი“, რათა თავისი გრძნობები დაედასტურებინა, მონაწილეობა მიიღო უნიკალურ ფოტოსერიაში ინგლისური კლუბების ფეხბურთელთა მაისურებით. ამ სურათზეც კილი „ვესტ ჰემის“ მაისურით გვევლინება.



## ძიუდო

# პრეზიდენტის თასი სამშობლოში დარჩა



**საქართველოში ქალთა ძიუდოს აღორძინება დაიწყო და ამ საქმეში ლომის წილი გოდერძი ველიჯანაშვილს მიუძღვის. ბოლნისის რაიონის გამგებლის გიორგი არევაძის მატერიალური და მორალური მხარდაჭერით ბოლო ორ წელიწადში ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა. ჩვენი გოგონები საერთაშორისო ტურნირებსაც გაუშინაურდნენ, თუმცა მწვერვალების დასაპყრობად ჯერ კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ.**



გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ძიუდოისტმა ქალებმა მნიშვნელოვანი ნახტომით წაიწიეს წინ. თბილისის სპორტის სასახლე ორი დღის განმავლობაში მეორედ მასპინძლობდა ქალთა საერთაშორისო ტურნირს საქართველოს პრეზიდენტის თასზე. შარშანდლისაგან განსხვავებით, წლევანდელ პირად-გუნდურ პაექრობაში რვა გუნდის (საქართველო, თურქეთი, თურქმენეთი, უკრაინა, ლიტვა, საბერძნეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი) ასზე მეტი წარმომადგენელი გამოვიდა ტატამზე. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო – მათ რვა წონითი კატეგორიიდან ოთხში წარმატებას მიაღწიეს.

ტურნირის პირველსავე დღეს 40 კილოგრამი წონითი კატეგორიის ქართულ ფინალში გულინა თინიკაშვილმა თანაგუნდელ – დარინა აბულაძეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მესამე ადგილები თურქ ერიკა მელთენსა და სომეხ ნელი კარაპეტიანს ხვდათ. სულ საქართველოს ძიუდოისტებმა 4 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გაუწყებთ დანარჩენ წონით კატეგორიებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**44 კგ.** 1. ფელინ არაზი (თურქეთი), 2. თამარ ბიჩინაშვილი, 3. სალომე ფოსოშვილი (ორივე – საქართველო) და ანა აბასოვა (აზერბაიჯანი).

**48 კგ.** 1. ნია ვეშაგური (საქართველო), 2. ალა სეიდი (აზერბაიჯანი), 3. სოფიო როსტომაშვილი (საქართველო) და ანეტა მარტინოვა (სომხეთი).

**52 კგ.** 1. გიზრა ტექნეჯი (თურქეთი), 2. მაია ტერუნაშვილი, 3. მარი ოქრიაშვილი და ანა ავაქიანი (ყველა – საქართველო).

**57 კგ.** 1. დულსინ ალმამედოვა (აზერბაიჯანი), 2. ანა ძაძამია, 3. დიანა ნანიევა და თამარ მაიარაშვილი (ყველა – საქართველო).

**63 კგ.** 1. თინათინ ქულუსაშვილი (საქართველო), 2. ინა ზუტოვა, 3. გალინა აჰმედოვა (ორივე – აზერბაიჯანი) და სუსანა პოლოსიანი (სომხეთი).

**70 კგ.** 1. ნინო ოძელაშვილი (საქართველო), 2. სანდრა სულთანოვა (აზერბაიჯანი), 3. ინგა ალანია და ლია გვიანიძე (ორივე – საქართველო).

**+70 კგ.** 1. რაიმონდა გედუტიტე (ლიტვა), 2. მარი ჩადუნელი, 3. ნანა კაკაბაძე (ორივე – საქართველო) და ილმაზ ნაზმი (თურქეთი).

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის თასის გათამაშებას, შარშან ეს საპატიო პრიზი ჩვენმა ნაკრებმა მოიპოვა. საბედნიეროდ, ამჯერადაც ქვეყნის პირველმა გუნდმა (თინიკაშვილი, როსტომაშვილი, ვეშაგური, ტარუაშვილი, ქერიმოვა, ქულუსაშვილი, ოძელაშვილი, კაკაბაძე, მთავარი მწვრთნელი – გოდერძი ველიჯანაშვილი) გაიმარჯვა – ფინალურ შეხვედრაში თურქეთის ნაკრებს სძლია 4:3. თასის მფლობელებს მომგებიანი ქულა მოუტანა ოძელაშვილმა, რომელმაც სულ რაღაც 13 წამში დაამარცხა კილი.

მესამე ადგილებზე აზერბაიჯანელები და საქართველოს მეორე ნაკრები გავიდნენ.

– ბედნიერი ვარ, რომ პრეზიდენტის თასი მეორედ მოვიპოვეთ, – მითხრა ტურნირის დამთავრების შემდეგ გოდერძი ველიჯანაშვილმა. – წლევანდელი შეჯიბრება უფრო მაღალ დონეზე გაიმართება. ეს ჩვენმა მეტოქეებმაც აღნიშნეს. თურქეთის წარმომადგენლებმა კი ამ ასპარეზობის უმთავრესი სულისჩამდგმელი – ბოლნისის რაიონის გამგებელი გიორგი არველაძე სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვეს.

ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენი გოგონების ოსტატობაც გაზრდილა. თუ ასე განვაგრძეთ, გაისად პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის 2-3 საგზურზეც გვექნება პრეტენზია. იმედია, თანადგომა არ მოგვაკლდება და ჩვენც პირობას შევასრულებთ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ქარემ ავჯიმი აჯილდოებს გიორგი არევაძეს; საქართველოს პირველი და მეორე ნაკრები გუნდები.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე





**იტალია. V ტური.** „რომა“-„ემპოლი“ 1:0, „კიევო“-„პალერმო“ 0:1, „კალიარი“-„ინტერი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რომა“, „პალერმო“ – 12-12, „ინტერი“ 11 ქულა.

**ბომბარდირი:** ბიანკი („რეჯინა“) – 4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „რეჯინა“-„რომა“, „პალერმო“-„ატალანტა“, „ინტერი“-„კატანია“.

**ესპანეთი. V ტური.** „ბილბაო“-„ბარსელონა“ 1:3, „ვალენსია“-„ხიმნასტიკი“ 4:0, „სევილია“-„ხეტაფე 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“, „ვალენსია“ – 13-13, „სევილია“ – 12 ქულა.

**ბომბარდირები:** კანუტი („სევილია“), ვილია („ვალენსია“), ეტოო („ბარსელონა“) – 4-4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“-„სევილია“, „სელტა“-„ვალენსია“.

**ინგლისი. VII ტური.** „მანჩესტერი“-„ნიუკასლი“ 2:9, „ჩელსი“-„ასტონ ვილა“ 1:1, „ბოლტონი“-„ლივერპული“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“, „ჩელსი“ – 16-16, „ბოლტონი“ – 14 ქულა.

**ბომბარდირი:** ჯონსონი („ევერტონი“) – 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „უიგანი“-„მანჩესტერი“, „რედინგი“-„ჩელსი“, „ნიუკასლი“-„ბოლტონი“.

**გერმანია. VI ტური.** „ჰერტა“-„შტუტგარტი“ 2:2, „ნიურნბერგი“-„მაინცი“ 1:1, „ვერდერი“-„გლადბახი“ 3:9, „ვოლფსბურგი“-„ბაიერნი“ 1:0, „ლევერკუზენი“-„შალკე“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰერტა“, „ნიურნბერგი“, „ვერდერი“, „ბაიერნი“, „შალკე“ – 10-10 ქულა.

**ბომბარდირები:** შლაუდრაფი („ალემანია“), სანოგო („ჰამბურგი“), კახე („გლადბახი“) – 4-4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“-„ჰერტა“, „ნიურნბერგი“-„ბილეფელდი“, „ბოხუმი“-„ვერდერი“, „ჰამბურგი“-„შალკე“.

**საფრანგეთი. VIII ტური.** „სოშო“-„ლიონი“ 0:1, „მარსელი“-„ტულუზა“ 3:0, „ნანსი“-„ლანსი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ -22, „მარსელი“ – 19, „ნანსი“ – 15 ქულა.

**ბომბარდირები:** ფრედი („ლიონი“), ოდემვინგი („ლილი“), დინდანე („ლანსი“) – 5-5 გოლი.

## კალათბურთი

### დუდუს მეხუთედ ვიხსენებთ

**ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო კომპლექსში გუშინ დაიწყო ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ვითას“ კაპიტნის, კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის დუდუ დადიანის V მემორიალი, რომელშიც უმაღლესი ლიგის გუნდები ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ და ისე გაარკვევენ ფინალისტთა ვინაობას:**



*„ა“ ჯგუფი* – „ავიამშენი“, სტუ, „დინამო“.

***„ბ“ ჯგუფი*** – „აზოტი“, თსუ, „მაქაბი“, სსუ.

ტრადიციისამებრ, ხსოვნის ტურნირი წინ უსწრებს ეროვნული ჩემპიონატის სტარტს, რომელიც ოქტომბრის მეორე ნახევარშია ნავარაუდევი. გაუწყებთ I ტურის შეხვედრათა შედეგებს:

**„აზოტი“-სსუ 77:37,**
**თსუ-„მაქაბი“ 100:67,**
**სტუ-„დინამო“ 65:79.**

⊙ ცხოვრების ჯანსაღი წესი

# იბურთავეს და კაჭრეთელებს რთველშიც დაეხმარნენ







**ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სასპორტო სკოლის დარბაზში თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის (თავმჯდომარე ბესიკ ხარატიშვილი, მოადგილე გიორგი ხიტალიშვილი) ინიციატივითა და დაფინანსებით ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა მეტროპოლიტენის სამსახურების მინი-ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც 11 გუნდი მონაწილეობდა.**

წრიული სისტემით გამართული ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ ნახევარფინალში გვირაბების გუნდმა ქარხნის ფეხბურთელებს სძლია 7:6, „ენერგომ“ „დეპო-2“ დაამარცხა 5:2.



გადამწყვეტ პაექრობაში „ენერგომ“ (გოჩა გრძელიშვილი, გიორგი ბაბაკიშვილი, ზაზა ჯოხაძე, დავით ტაგანაშვილი, გიორგი პაპაშვილი, ზვიად ოქრომელიძე, ზაზა ხაჩიროვი, ლევან ხარატიშვილი) „გვირაბებსაც“ აჯობა 8:6 და დარგობრივი პროფკავშირის მიერ დაწესებული გარდამავალი თასიც დაისაკუთრა. მესამე ადგილი „დეპო-2“-ს ხვდა.

შპს „თბილისის მეტროპოლიტენმა“ (გენერალური დირექტორი ლევან კოპლატაძე) გამარჯვებული გუნდი 1000 ლარით დააჯილდოვა, „გვირაბებს“ 500 ლარი გადაეცა, „დეპო-2“-ს კი 300 ლარი ერგო.

საგულისხმოა, რომ ასეთი დიდი ტურნირი თბილისის მეტროპოლიტენს არ ახსოვს. ორთაბრძოლებს ყოველდღიურად 300-400 მაყურებელი ესწრებოდა, მათ შორის – ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. დარგობრივმა პროფკავშირმა თავისი სახსრებით თერთმეტივე გუნდი უმაღლესი ხარისხის სპორტული ფორმებითა და ბურთებით უზრუნველყო.

ტურნირის საზეიმო დახურვისას გულშემატკივრების წინაშე წარსდგა მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფკავშირის ფოლკლორული ანსამბლი „დიდგორი“, რომლის კონცერტმაც ისედაც ლამაზი ღონისძიება კიდევ უფრო დაამშვენა.

– მეტროპოლიტენში სამი ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს, – მითხრა ბატონმა **ბესიკ ხარატიშვილმა.** – სხვადასხვა ცვლაში საქმიანობის გამო ბევრი მათგანი ერთმანეთს არ იცნობს, ამიტომ ამ დიდი კოლექტივის თანამშრომელთა დასაახლოებლად, მათ შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ვაწყობთ ღონისძიებებს. ფეხბურთელთა ტურნირმა მოლოდინს გადააჭარბა. გასულ კვირას შეჯიბრების მონაწილეები კახეთში ექსკურსიაზეც წავიყვანეთ, თუმცა ეს მხოლოდ გასეირნება არ ყოფილა, რადგან კაჭრეთელ მევენახეებს რთველში დავეხმარეთ და მოსახლეობისგან ტონა ყურძენიც შევისყიდეთ.

მეტროპოლიტენელები მალე სპორტის სხვა სახეობებშიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: გამარჯვებული გუნდი; ასპარეზობისა და დაჯილდოების მომენტები; ტურნირის მონაწილენი კაჭრეთელთა ზვრებში.**

⊙ რაგბი

## ჩემპიონობა დათმეს

**პოლონეთის ქალაქ სოპოტში დამთავრდა 20 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა. ამ შეჯიბრების შარშანდელი ჩემპიონი საქართველოს ნაკრები გადამწყვეტ მატჩში რუმინელებთან დამარცხდა 12:24 და ვერცხლის მედალს დასჯერდა.** ჩემპიონობა, ცხადია, კარპატელებს ხვდათ. მესამე ადგილზე რუსები გავიდნენ, რომლებმაც ესპანელებს აჯობეს 44:17. ელიტაში პირენეელების ადგილს B ჯგუფში გამარჯვებული გერმანელები დაიკავებენ.

⊙ ჭადრაკი

## დაწინაურდნენ ახალგაზრდები

**საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა რეიტინგის მიხედვით, დიდხანს ლიდერობდა დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, მაგრამ 1 ოქტომბერს ფიდეს მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგლისტში 2638 ქულით ის მხოლოდ 73-ეა. ქართველთაგან მას ზვიად იზორიამ (2657ქ) და ბაადურ ჯობავამ (2650ქ) აჯობეს, რომლებიც, შესაბამისად, 49-ე და 54-ე ადგილებზე არიან.**

ვაჟებში პირველ ადგილზეა ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი (2813ქ). მას კვალში მისდევენ ინდოელი ვიშვანათან ანანდი (2779ქ), რუსები – ვლადიმირ კრამნიკი (2750ქ), პეტერ სვიდლერი (2750ქ) და ალექსანდრ მოროზევიჩი (2747ქ).

ქალებში 2504 ქულით მაია ჩიბურდანიძე მეექვსეა, ქეთევან არახამია (2446ქ) – 28-ე, ნანა ძაგნიძე (2432ქ) – 36-ე, ნინო ხურციძე (2419ქ) – 47-ე და ლელა ჯავახიშვილი (2416ქ) – 45-ე.



**სურათზე: ზვიად იზორია (მარცხნივ) და ბაადურ ჯობავა.**

**ვაჟა დანელიას ფოტო**

⊙ ფრთხილად!

## კორუფცია გადამდები ყოფილა

**ამას წინათ ვწერდით, რომ იტალიურ ფეხბურთში აგორებულმა კორუფციის სკანდალმა მალე გამოძახილი ინგლისში ჰპოვა. იქაც რამდენიმე გუნდი დაადანაშაულეს მორიგება-გარიგებისა თუ მოთამაშეების გადაბირება-მოსყიდვის მაქინაციებში.**

როგორც ჩანს, კორუფცია ძალზე „გადამდები სენი“ ყოფილა. მისი ვირუსი ხან სად იფეთქებს და ხან სად. სამხრეთ აფრიკაში მსაჯს ენოხ რადებეს ბრალად დასდეს ჯერ კიდევ 2004 წლის აპრილში თავის კოლეგების მოსყიდვისა და გარიგებითი მატჩის ორგანიზაციის მცდელობაში. რადებე ფულს სთავაზობდა მატჩის „გოლდენ ეროუზი“ – „აიაქს კეიპტაუნის“ მთავარ მსაჯსა და მის თანაშემწეს შეხვედრის საჭირო ანგარიშით დამთავრებისთვის.

ამ არბიტრის წინააღმდეგ ადრეც ორჯერ აგორდა ბრალდება კორუფციაში მონაწილეობისთვის. ის იმ სხვა მსაჯებთან და კლუბების ოფიციალურ პირებთან ერთად დააპატიმრეს, რომლებიც გადიოდნენ საქმეში „გარიგებითი მატჩების შესახებ“. როდებეს განაჩენს 18 ოქტომბერს გამოუტანენ. მას ელის ციხეში პატიმრობის მაქსიმალური ვადა – 18 წელი.

ჩეხეთში კი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა განაჩენი, რაც ადრე გამოუტანეს ამ ქვეყნის კლუბების თავკაცებს, მსაჯებსა და ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებს.

კლუბ „ვიქტორია ჟიჟკოვის“ ყოფილ სპორტულ დირექტორს ივან გორნიკს მსაჯებისთვის ქრთამის შეძლევისთვის მისჯილი აქვს 7 თვით პირობითი პატიმრობა და დაჯარიმებულია 40 150 დოლარით. მას ფეხბურთში მუშაობა აეკრძალა უახლოესი ათი წლის მანძილზე.

მსაჯებს მარსელ გაბლს, ზბინეკ პუსტკას, ლადისლავ ტალპას, კარელ ვიდლაკს, ლადისლავ მიკას, პაველ პოლედნიკს, იგორ გულიაევსა და ზდენეკ ლუკეს აგრეთვე პირობითი



პატიმრობა მიესაჯათ 14 თვემდე და დაჯარიმდნენ 6 ათას დოლარზე მეტი თანხებით. მათ მსაჯობა აეკრძალათ სამიდან ხუთ წლამდე. ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებს ადოლფ რუჟიჩკას და ოტოკარ დრასტიკს, მსაჯობას რომ ხელმძღვანელობდნენ, მიესაჯათ 10-10 თვით პირობითი პატიმრობა, დაჯარიმდნენ 1784 დოლარით თითოეული და სამი წლით აეკრძალათ ფეხბურთში მუშაობა.

იქნებ ჩვენებური ფეხბურთის მოლვაწენიც – კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელები და მსაჯებიც გაფრთხილდნენ, რომ აგორებული „სენი“ მათაც არ შეეყაროთ.

⊙ ორბიტაზე

### კრამნიკის ტექნიკური დამარცხება

**როგორც უკვე ვწერდით, ელისტაში საჭადრაკო მატჩზე მსოფლიო პირველობისთვის რუსეთელ ვლადიმერ კრამნიკსა და ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს შორის აგორდა „სატუალეტო სკანდალი“.** ბულგარეთის მხარე ბრალად სდებდა რუსეთელს, რომ ის ყოველი სვლის შემდეგ გარბის დასვენების ოთახისკენ ან ტუალეტისკენ, სადაც ვიდეო-თვალი დაყენებული არააო. საქმეში ჩაერია სააპელაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილიცაა. მისი გადაწყვეტილებით, დიდოსტატებმა თამაშის დროს დასვენების ოთახსა და საზოგადოებრივ ტუალეტში გასვლა მხოლოდ მთავარი მსაჯის ნებართვითა და მისი თანაშემწის გამცილებლებით შეეძლოთ.

ამის საპროტესტოდ კრამნიკი მეხუთე პარტიაზე არ გამოცხადდა, რის გამოც ტექნიკური დამარცხება მიესაჯა და ანგარიში გახდა 3:2.

ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის განცახდებით, კონფლიქტი მოგვარებულია. სააპელაციო კომიტეტის წევრები კი გადადგნენ.

### ცემა-ტყეპა პალერმოში

**ფეხბურთის ინგლისელმა ხულიგნებმა კვლავ შეგვახსენეს თავი. იტალიის პოლიციამ დააპატიმრა ლონდონის კლუბის „ვესტჰემის“ 21 გულშემატკივარი, რომლებმაც პალერმოს ცენტრში ცემა-ტყეპა გამართეს უეფას თასზე ადგილობრივ გუნდთან შეხვედრის წინ.**

პალერმოში ლონდონური კლუბის 2,5 ათასი გულშემატკივარი ჩავიდა. მათი შეტაკება ადგილობრივ ტიფოზებთან და პოლიციასთან ოთხშაბათს საღამოს ოპერის თეატრის „ტეატრო მასიმოს“ წინ დაიწყო. ჩხუბის ნაპერწკალი თვით ინგლისელთა ბანაკში გაღვივდა, რაც მალე გადაიზარდა საერთო ცემა-ტყეპაში ადგილობრივი მცხოვრებლების, კარაბინერების, პოლიციის აგენტებისა და ფინანსური გვარდიის მონაწილეობით.



შეჯახების შედეგად დაიჭრა ექვსი ინგლისელი და ექვსი იტალიელი პოლიციელი. დააკავეს „ვესტ ჰემის“ 109 გულშემატკივარი, აქედან 21 გათოკეს განსაკუთრებული აგრესიულობისთვის. დანარჩენები მატჩზე არ დაუშვეს.

### პაპარაცების გადამკიდე

**ძნელია სახელგანთქმულად ყოფნა – შენზე ხომ განუწყვეტლად ნადირობენ პაპარაცები. სწორედ ამაზე წუხს საფრანგეთის ნაკრებისა და ამერიკული „სან-ანტონიოს“ კალათბურთელის ტონი პარკერის სატრფო, გახმაურებული ტელესერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია.**

ამ ვარსკვლავთწყვილმა დიდებულად გაატარა ზაფხული ჯერ ტაიტზე, შემდეგ მექსიკაში. თავიანთ სავალალოდ, შემდეგ ეკზოტიკურ კუნძულ ბორა-ბორაზე აღმოჩნდნენ, სადაც პაპარაცებს ვერსად დაემალნენ, ნაბიჯიც კი ვერ გადადგეს მათგან ფარულად.

თუმცა კალმისა და ფოტოკამერის ზვიგენები აქსულ სხვა წყვილს – ნიკოლ კიდმანს და კეით ურბანის თაფლობის თვეს მიეზიდა. მაგრამ ისინი თურმე გარეთ არ გამოდიოდნენ და ამიტომაც უნადავლოდ დარჩენილი პაპარაცები კალათბურთელსა და მის სატრფოს გადაეკიდნენ.



რჩევა

# როგორ დავამარცხოთ ხვრინვა

## ხვრინავს მამაკაცების 50 პროცენტი და ქალების 40 პროცენტი

*ხვრინვაც არის და ხვრინვაც. არსებობს ხვრინვა, რომელიც არაფრით არ ემუქრება ორგანიზმს და შესაბამისად მას არც დაავადება ეთქმის. მეორე სახის ხვრინვას თან ახლავს სუნთქვის შეჩერებები, რომლებიც, შეიძლება, იმდენად ხშირი იყოს, რომ ადამიანმა უსუნთქველ მდგომარეობაში უფრო მეტი დრო გაატაროს, ვიდრე ისუნთქოს. ეს უკვე სერიოზული პრობლემაა, იმიტომ რომ ძილში სუნთქვის ყოველი შეჩერება ორგანიზმისთვის სტრესია, რომელსაც თან ახლავს წნევის აწევაც, გულის სისტემის ცვლილებებიც და სხვა დარღვევებიც, რომლებსაც შეიძლება ბოლოს და ბოლოს ინფარქტი, ინსულტი, უეცარი სიკვდილი მოჰყვეს.*

*დროთა განმავლობაში შეიძლება უბრალო ხვრინვა ავადმყოფურში გადაიზარდოს, რაც რამდენიმე გარემოებით აიხსნება. მათგან პირველი – ჭარბი წონა – ცხიმი რბილი სასის და ხორხის ლორწოვანი გარსის ქვეშ გროვდება, რის შედეგადაც სასუნთქი გზების ისედაც ვიწრო სანათური უფრო მეტად ვიწროვდება. უარყოფით როლს ასრულებს ასაკიც – თუ 30 წლამდე 10 ახალგაზრდიდან ძილში 1-2 ხვრინავს, 60 წლის შემდეგ მათი რიცხვი 6-7-ს შეადგენს. მუდმივი დაღლილობა და ალკოჰოლი იწვევს თავის ტვინიდან მომდინარე იმ იმპულსების დასუსტებას, რომლებიც კუნთების მუშაობას ასტიმულირებს და ძილში სასუნთქ გზებს ხსნის.*

### სასიამოვნო გამოკვლევა

**იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ კონკრეტული ადამიანი უბრალოდ კი არ ხვრინავს, არამედ მისი ხვრინვა პრობლემურია, მან ღამე სახლში კი არ უნდა გაატაროს, არამედ სპეციალურ ლაბორატორიაში, სადაც ტარდება პოლისომნოგრაფია, ანუ ძილის გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგებს შეუძლია აჩვენოს, რომ ძილს არ ახლავს სუნთქვის შეჩერებები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, პრობლემა ჩარევას არ მოითხოვს. მაგრამ თუ ადამიანს მაინც ცოლთან ურჩევნია ძილი და არა ცალკე ოთახში, მას შეუძლია პრობლემა ქირურგიული გზით გადაწყვიტოს (რბილი სასის შემცირება, სასუნთქი გზების გაფართოება და ა. შ.).**



ხოლო თუ გამოირკვევა, რომ ხვრინვას თან ახლავს ძილში სუნთქვის შეჩერებები, მაშინ შესაძლო ჩარევების წრე იზრდება: ცხვირის გამრუდებული ძგიდის, ცხვირის ნიჟარების, ცხვირის ახლო ღრუების ოპერაციები; შეიძლება საჭირო გახდეს გლანდების ამოჭრა, რბილი სასის პლასტიკა, ენის ფუძის, ენისქვეშა ძვლის ოპერაცია. სპეციალისტთა აზრით, დაავადების მძიმე ფორმების დროს ქირურგიული მკურნალობა ყოველთვის ვერ შველის, ამიტომ ისინი გვთავაზობენ კიდევ ერთ დამოუკიდებელ მეთოდს, რომელიც ძილში ხელოვნური სუნთქვის პორტატული აპარატების მსგავსი სპეციალური აპარატების დახმარებით მკურნალობის გზით ხორციელდება. ძილის წინ ადამიანი იკეთებს ნიღაბს, რომელიც მიერთებულია დადებითი წნევის შემქმნელ აპარატზე. როდესაც სუნთქვა ჩერდება, დადებითი წნევა აქეთიქით სწევს სასუნთქი გზების შეწებებულ კედლებს და სუნთქვას აღადგენს.

ამასთანავე, სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ თვალდახუჭულად არ მივენდოთ რეკლამას, რომელიც ლაზერის დახმარებით 1 ან 3 სეანსის ჩატარების შემდეგ ხვრინვისგან გათავისუფლებას გვპირდება.

### გახდით და აღარ იხვრინებთ

**ხვრინვის საუკეთესო არაქირურგიული მკურნალობაა ცხოვრების წესი. სხეულის წონა ყოველთვის პირდაპირ უკავშირდება ხვრინვას, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას სხვა მიზეზები.** მაშინაც კი თუ ადამიანს გამრუდებული ცხვირის ძგიდე, დიდი გლანდები და გასქელებული რბილი სასა აქვს, როგორც კი ის 10 კილოგრამით გახდება, ხვრინვა ერთი მესამედით მაინც შეუმცირდება, ხოლო თუ 20 კილოგრამით მოახერხებს გახდომას, ხვრინვა საერთოდ მოეშვება. უარი უნდა ვთქვათ თამბაქოს წევაზეც, რადგან ის იწვევს ლორწოვანი გარსის სიმშრალეს, მის შეშუპებას და ხელს უწყობს ყელში ბლანტე ლორწოს გაჩენას.

თქვენთვის, ცნობისმოყვარენო!

# იუბილარი მილიარდერი

**90 წლის წინათ ჯონ დევიდსონ როკფელერი ისტორიაში პირველად გამოაცხადეს მილიარდერად.** სხვათა შორის, ცნობილ მეწარმეს, ნავთობის მრეწველობის დაახლოებით 90 პროცენტს რომ აკონტროლებდა, ერთ მილიარდზე გაცილებით მეტი ქონება გააჩნდა და მისი სახსრებით თავისუფლად შეიძლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსება, რომლის ბიუჯეტი 1917 წელს მხოლოდ 715 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაგრამ სახელის ასე განთქმამ, როკფელერს კარგი სამსახური როდი გაუწია. პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის ინიციატივით კომპანიის Standard Oil წინააღმდეგ დაიწყო სასამართლო დევნა. მალე როკფელერის ნავთობის იმპერია დაიყო 38 დამოუკიდებელ კომპანიად, და არც ერთ მათგანში შერისხულ ოლიგარქს არ ჰქონია აქციათა საკონტროლო პაკეტი. ყოველივე ამის შემდეგ როკფელერი საქმეებს ჩამოშორდა და მთლიანად საყვარელი გოლფის თამაშზე გადაერთო.



ჰიპოკრატეს კუთხე

# ყველაფერი კბილებზე

**საშინელი კარიესი ერთადერთი მიზეზი როდია, რომლის გამოც კბილები გვაკლდება. არც მთავარია – მოზრდილი ადამიანი ძირითადად ღრძილების ავადმყოფობების გამო კარგავს კბილებს.**

კბილის ჯაგრისს გამოყოლილი სისხლი ღრძილების ანთების (გინგივიტისძ პირველი ნიშანია. ნერწყვის წებოვნება, პირიდან უსიამოვნო სუნი თითქოს ისეთი არაფერია, მაგრამ თუ უყურადღებოდ დავტოვებთ, საქმე გართულდება. ანთება როცა მოიცავს მთელ პაროდონტს (ეს არის ღრძილებიც, კბილის დამკავებელი კუნთებიცა და კბილის ძსოვილიცძ, მაშინ ღრძილები მოსცილდებიან კბილებს და ეგრეთ წოდებულ ჯიბეებს აჩენენ, სადაც იჩურთება საჭმლის ნარჩენები და კბილის ნაფქვი. გაიხსნებიან კბილების ის ნაწილები, რომლებიც ნორმალურ მდგომარეობაში არ უნდა შიშვლდებოდნენ. ეს ნაწილები მწვავედ რეაგირებენ ცივსა და მჟავეზე, მცირე მიკარებითაც გკტივათ. ნამდვილი პრობლემები კი მაშინ წამოიჭრებიან, როცა კბილის უჯრედები იმდენად ატროფირებული ხდებიან, რომ კბილებს – მათ რიცხვში, ჯანსაღებსაც! – ძვლის საყრდენი ეცლებათ და რყევას იწყებენ. ასეთი სცენარით კარგავენ კბილებს მოზრდილები.



**მიაქციეთ ყურადღება:** ღრძილების ქავილს; ცივსა და ცხელზე რეაგირებას; ნებისმიერ ტკივილს, შესივებასა და შეწითლებას; შეგრძნებას, თითქოს ღრძილები გაფიჟვინდნენ; კბილების მერყეობასა და მუქი ლაქებით შეფერილობას.

25 წელზე უფროსი ასაკის ადამიანთა 80-95 პროცენტისათვის პაროდონტის პრობლემები აქტუალური გახდნენ – ამ „არეალის" სნეულებები „გაახალგაზრდავდნენ" და იმიტომ! გინგივიტი ემართებათ მოსწავლეთა ნახევარსა და საბავშვო ბაღის წინა ასაკის ბავშვებსაც კი.

მშობლებს თუ ჰქონდათ ღრძილებთან დაკავშირებული პრობლემები, ისინი არც შვილებს უვლიან გვერდს. მერე კიდევ, ღრძილების ავადმყოფობები კუჭნაწლავების ტრაქტის, შაქრის დიაბეტის, ენდოკრინული სისტემის ქრონიკული „მუწუკების" მუდმივი თანამგზავრები არიან. სტრესი და ვიტამინების უკმარისობა აგრეთვე ხდებიან ღრძილებისგან შეწუხების მიზეზები. ყველაზე გავრცელებული და ელემენტარული კი კბილების ცუდი მოვლაა. თითქმის ყველას, ვინც სტომატოლოგს მიმართავს ღრძილების დაავადებათა საბაბით, ჰიგიენის პრობლემები აქვს...

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, პაროდონტის ავადმყოფობებით ადამიანები ხუთჯერ უფრო ხშირად კარგავენ კბილებს, ვიდრე თავმინებებული კარიესის გამო!

### გავეცნოთ ღრძილების დაცვის 4 ხერხს

**● გულმოდგინედ გავიწმინდოთ კბილები ჯაგრისით, ტანტრაბეჩით, ფლოსით (ძაფითძ. თუნდაც ღრძილებიდან სისხლი გდიოდეთ, ნუ დაინდობთ. „კარიოზული ურჩხულები" ტოქსინებს გამოჰყოფენ, რომლებიც მარტო კბილების ემალს კი არ არღვევენ, გარემომცველ ქსოვილთათვისაც მავნენი არიან. ძნელად შესაღწევ ადგილებში მინერალიზდება ნაფრქვი და კბილის ქვა ჩნდება – ღრძილების მთვარი მტერი.**

**● ქვა მაშინვე უნდა მოვიცილოთ. ის ტრავმას მიაყენებს ღრძილს, ანთებას გამოიწვევს, იზრდება და კბილსა და ღრძილს შორის გაეჩხირება. ქვის მოშორება შეიძლება ექიმთან პროფილაქტიკური გასუფთავებით – ეს ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გავაკეთოთ. კბილის ქვის კარგი პროფილაქტიკაა სტაფილოს ან ვაშლის ახრამუნებაც.**

**● მაგარი საკვები ვჭამოთ. კბილები, პირველ რიგში, ბუნებისგან ბოძებულია საჭმლის დაღეჭვის იარაღად და შემდეგ – თავის მოწონების საშუალებად ითვლება. ის, რისი გაკბეჩაც შეიძლება და კბილების მექანიკური გამწმენდია, გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ძეხვის ბუტერბროტები ანდა ნებისმიერი სხვა რბილი საჭმელი. აქვე სათქმელად, კბილებში წყალი მაინც უნდა გამოვივლოთ.**

**● გამოვირეცხოთ პირი იმ ბალახების ნახარშით, რომელთაც ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი აქვთ – გვირილისა, სალბისა, კიდევ – მუხის ქერქისა. ისინი ანთებას ჩაგვიქრობენ ან იმ ბაქტერიებს დაერევიან, რომლებიც ღრძილებისათვის სახიფათო ტოქსინებს გამოჰყოფენ. ეს ენერგიულად უნდა გავაკეთოთ, რათა სითხე არა მარტო რეცხავდეს ღრძილებს, არამედ მასაჟსაც უხერხებდეს. მასაჟი თითითაც შეიძლება – ეს სისხლის მოდინებასა და ღრძილების კვებას აუმჯობესებს.**

სექსინდუსტრია

# სად ანათებენ „წითელი ფანრები?"

**ტერმინი „წითელი ფანრების ქუჩა" პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ იმ სახლის ფანჯრებში, სადაც შეიძლებოდა მეძავთა მომსახურების გამოყენება, დგამდნენ წითელ ლამპებს. და ასე აძლევდნენ ნიშანს მუშტრებს. ახლა მსოფლიოში მრავალი ასეთი ქუჩაა, მაგრამ გაგაცნობთ ყველაზე სახელგანთქმულთ:**

**დე ვალენი** (ჰოლანდია, ამსტერდამიძ – ნიდერლანდების დედაქალაქის ყველაზე დიდი სექს-კვარტალია. ის შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ქუჩით, სადაც განლაგებულია მეძავთა აპარტამენტები. კლიენტს შეუძლია მოწონებული ქალიშვილის არჩევა, როგორც რაიმე ნივთისა სუპერმარკეტში, წითლად განათებულ ფანჯარაში რომ შეათვალიერებს.

ამას გარდა, დე ვალენის კვარტალში არის სექს-შოპები, თეატრები, თავიანთ სცენებზე ეროტიკულ და პორნოპიესებს რომ დგამენ, აგრეთვე პოპშოუ-ბარები და შოუ-კაფეები, სადაც მარიხუანას შოვნა შეიძლება.

**სოხო** (დიდი ბრიტანეთი, ლონდონიძ – უკვე 200 წელია, ითვლება ლონდონის ღამის ცხოვრების ცენტრად. პორნო-ინდუსტრია აქ განსაკუთრებით ბოლო ნახევარ საუკუნეში განვითარდა. 1950 წლიდან 1970 წლამდე პერიოდში აქ იატაკქვეშეთის საროსკიპოების, სექს-შოპების, ბარებისა და ქუჩის მეძავთა „წერტილების" რაოდენობა რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე გაიზარდა. თუმცა 1980 წელს სოხოში ჩატარდა რეიდი ულიცენზიო დაწესებულებების წინააღმდეგ. მათი უმრავლესობა დაიხურა. 2000 წელს სექს-ინდუსტრიისადმი დამოკიდებულება ერთგვარად შერბილდა და ბევრმა არალეგარულმა დაწესებულებამ ლიცენზია მიიღო.

**„შემწყნარებლობის ზონა"** (მექსიკა, ნუევო ლარედოძ – სავაჭრო კვარტალი სასაზღვრო ქალაქ ნუევო ლარედოში, სადაც მსურველთ სთავაზობენ „ღამის გართობათა" დიდ არჩევანს.

12 ჰექტარზე გადაჭიმულ „ზონას" ირგვლივ კედელი აქვს შემორტყმული. შიგნით კი ათობით საროსკიპო, ბარი, რესტორანი, პატარა მაღაზიაა, აგრეთვე პოლიციის განყოფილება და პოლიკლინიკა. ეს რაიონი დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, განსაკუთრებით ტეხასიდან ჩამოსულ ტურისტებში.

**სანსეტის ბულვარი** – (აშშ, ლოს-ანჟელესიძ – პროსპექტი, ლოს-ანჟელესის ცენტრს წყნარი ოკეანის სანაპიროსთან რომ აკავშირებს. ის გადის ჰოლივუდსა და ბევერლი-ჰილზზე. იქ შესაძლოა ქალიშვილის მთელი ღამით დაქირავება, ნარკოტიკების შოვნაც.



სანსეტის ბულვარისა და კორტნიავენიუს გადაკვეთის ადგილი პოპულარული გახდა 1995 წლის 27 ივნისის შემდეგ, როცა ჰოლივუდის მსახიობმა ჰიუ გრანტმა გამოიჭირა ქუჩის მეძავი და მასთან სექსი მანქანაში განაგრძო. გრანტი 1250 დოლარით დააჯარიმეს.

**ბანჰოფსვირტელი** (მაინის ფრანკფურტი, გერმანიაძ – ეს სახელწოდება „სარკინიგზო კვარტალს" ნიშნავს. ცენტრალური ვაგზლის სიახლოვეს ათობით საროსკიპოა, სადაც მეძავები კლიენტების მომსახურებისთვის ოთახებს ქირაობენ საათობით ან მთელი დღე-ღამით. ფასი მერყეობს „პაემანის" სახეობისა და ხანგრძლივობის მიხედვით, როგორც წესი, მეძავები ქალები არიან, მაგრამ მათ შორის ტრანსვესტებიც გამოერევიან ხოლმე, ძირითადად სამხრეთ ამერიკიდან და ტაილანდიდან.

**პიგალი** (პარიზი, საფრანგეთიძ – ზონა პარიზის მე-9 და მე-18 ოლქებს შორის. მან ეს სახელწოდება მიიღო მოქანდაკე ჟან ბატისტ პიგალის სახელობის მოედნის სიახლოვის გამო. უამრავი სექ-შოპი და საროსკიპო არის როგორც თავად პლიას პიგალზე, ისე მის გარშემო. მათ შორის საყოველთაოდ ცნობილ კაფე-ბარი „მულენ რუჟია". მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის ამ ზონას უწოდეს Pig Alley (ინგლისურიდან–ღორების ხეივანიძ. ამერიკელ ჯარისკაცებს უყვარდათ იქ მისვლა თავისუფალ დროს.

* * *

**ცნობისათვის. ამ უძველესი პროფესიისადმი დამოკიდებულება საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. „სიყვარულის ქურუმებს" ხან აღმერთებდნენ, ხანაც ანათემას გადასცემდნენ, კოცონებზეც კი წვავდნენ.**

**მოგვიანებით მათ გადაწყვიტეს თავიანთი უფლებებისთვის შეუპოვარი ბრძოლა ოფიციალური გზით, როგორც ამბობენ, დიდ ბრიტანეთში სექსუალური მუშაკების საერთაშორისო პროფკავშირიც კი შეუქმნიათ.**

## სწავლა ყველგან დაიწყო

# ფორმები, წიგნები და ჩანთები — საჩუქრად





**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და თბილისის მერიის თაოსნობით წლეულს I-IV კლასის მოსწავლეებისთვის სპეციალური ფორმები შეიკერა. ისინი მოსწავლეებს უსასყიდლოდ დაურიგდათ. ასე იყო თბილისის 53-ე საშუალო სკოლაშიც (დირექტორი ზაალ სამადაშვილიძ, სადაც სასწავლო წელი 2 ოქტომბერს დაიწყო.**

მშობლები და მოსწავლეები თავიდანვე დადებითად განეწყვნენ სასკოლო ფორმის მიმართ, რადგან მათთვის გაცილებით ხელსაყრელია, ბავშვმა ფორმით იაროს სკოლაში — აღარ მოუწევთ ნაირ-ნაირი ტანისამოსის ყიდვა...

ტანისამოსის დიზაინის შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო ნიმუშების გამოსავლენად, 7 განაცხადიდან ოთხმა გაიმარჯვა. შემდეგ კი სკოლებს მიეცათ საშუალება, ამ 4 ნიმუშიდან სურვილისამებრ, ერთ-ერთი აერჩიათ.

I-VI კლასის ბავშვებზე რატომ იზრუნეს? — უფროსკლასელთათვის არ არის აუცილებელი სასკოლო ფორმა. დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის იქცა ის სავალდებულოდ. როცა ისინი გაიზრდებიან, უკვე მიჩვეული იქნებიან ფორმით სიარულს და პრობლემები აღარ შეექმნებათ. იმ დროისთვის უკვე მაღალი კლასებშიც სავალდებულო გახდება ფორმით სიარული.

ახალი სასკოლო ფორმები ძალზე ხარისხიანია და ბუნებრივი მასალისგანაა შეკერილი. გარდა სასკოლო ფორმების, წლეულს პირველკლასელებს პრეზიდენტის საჩუქარი დაურიგდათ — წიგნები და ჩანთები.

**ნათელა ფაილოძე**

**ჯემალ კასრაძის ფოტო**

## ელამი სარკე

# მეეზოვე პატარძალი

— ასე რომ გამოპრანჭულხარ, საით გაგიწევია? — ეკითხება ავტობუსში დამგზავრებული მეგობარი ლევანს.

— ქორწილში, ძამა, ქორწილში.

— კარგია, — მოიწონა ნიკამ, — ნათესავი ქორწინდება?

— არა, ჩემი კოლეგა უნივერსიტეტიდან. დააგვიანდა, მაგრამ...

— მერედა, რატომ დააგვიანდა მაგ მამაცხონებულს?

— მამა რა შუაშია, ცოცხალია, თანაც ცნობილი აკადემიკოსი.

— მით უმეტეს, ადრევე უნდა დაქორწინებულიყო.

— თავის ბრალი არ არის, მოუცლელად იყო.



— ვინ არ აცლიდა?

— მეცნიერება, ძმაო, მეცნიერება. შენ რა გენაღვლება რა, ჯერ კიდევ სტუდენტი დაოჯახდი.

— სწორედ მაგაშია გემო.

— სტუდენტობაში?

— მა რაა, აბა მეცნიერებით თუ გამოიტენე თავი, ქალისთვის სადლა მოიცლი?



— ჰოდა, მოიცალა, თანაც სტუდენტობა გაიხსენა.

— რას ქვია გაიხსენა?

— სტუდენტს ირთავს ცოლად.

— უ ეგ ყურუმსალი, თავისივე სტუდენტს, არა? ახლოსვე კი მიუგნია.

— არა, ძმაო, რა ახლოს, ქუჩაში გაიცნო.

— ქუჩაში?

— უფრო სწორად, ეზოში.

— თავის ეზოში?

— ჰო, სტუდენტები რომ ქუჩებს ასუფთავებდნენ, თურმე საპატარძლო ისე მარჯვედ გვიდა, რომ სასიძომ თვალი ვეღარ მოწყვიტა.

— ეგა, ძმაო, სტუდენტი კი არა, პროფესიონალი მეეზოვე ყოფილა.

— მერე მაგაში რა არის ცუდი, აგე, გიგი უგულავა მთელ ქალაქს ასუფთავებს, მაგრამ ამავე დროს თბილისის თავკაცია.

— იჰ, მაგას თუ დავუჯერეთ, არჩევნებამდე ყველას მეეზოვედ გაგვხდის.

— ჰოდა, გადასარევია, თბილისში დაუქორწინებელ-გაუთხოვარი აღარავინ დარჩება.

— გინდა თქვა, რომ ქურთები მაგიტომ მრავლდებიან?

— მარტო მაგიტომ არა, ეგენი ხომ ცოცხებს ბუჩქებში ჭრიან!

— ჯიგარი ხარ, ზუსტად მოარტყი. რევოლუციამდელი საქართველო მაგიტომ იყო ჩამორჩენილი.

— რატომ?

— ბუჩებს ეფექტურად ვერ ვიყენებდით. არადა, საქართველოში სამუშაო ადგილების დეფიციტი გვაქვს, თორემ ბუჩქების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიმყოფებით.

— ნუ ჯავრობ, ვარდების რევოლუციამ ყველაფერი აითვისა, მათ შორის ბუჩქებიც. მეეზოვეობა ხომ ნულარ იტყვი, პირველი პროფესია გახდა.

— ახლა ხელფასი ნახე?

— თანაც თუ სტუდენტი მეეზოვე ხარ, ხელფასთან ერთად ბანკი სესხსაც იძლევა.

— ჰოდა, ამიტომ უთხოვია იმ შენს კოლეგას მეეზოვე სტუდენტი — ოჯახში ფულსაც შეიტანს, ეზოსაც დაგვის და ბინასაც დაუწკრიალებს.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, დღეს ქეიფია, ხვალ კი ბანკში აღებული სტუდენტური სესხით ნეფე-პატარძალი საქორწინო მოგზაურობაში მიდის.

— ღმერთმა შეარგოს. ჩვენთან თავიდან რევოლუცია თითქმის ვარდებისა იყო, მაგრამ მერე და მერე მეეზოვეებისა და შადრევნებისა გამოდგა. მერია ჯანზე გვყავდეს, თორემ თუ ასე გაგრძელდა, მომავალ ზაფხულს ქალაქში ყველა კორპუსს საკუთარი შადრევანი ექნება.

— კარგია, როცა რევოლუცია ხალხისთვის ხდება. აბა, წარმოიდგინე, ხელისუფლებას ის სათავისოდ რომ გამოეყენებინა, ახლა რა გაჭირვებაში ვიქნებოდით, — დასძინა ლევანმა და ავტობუსი ღიმილიანმა დატოვა.

**ოტია ჩართოლანი**

## სასამართლო

# ყაჩაღებმა „მარშრუტკის“ მძღოლი მოკლეს

**გასულ წლებში სამარშრუტო ტაქსის მგზავრთა დაყაჩაღება თითქმის ყოველდღე ხდებოდა, რაც ხშირად მსხვერპლით მთავრდებოდა. ახლა მსგავსმა შემთხვევებმა შედარებით იკლო, თუმცა კრიმინალები მსგავსი ფაქტებით თავს მაინც გვახსენებენ.**

ახლახანს უზენაესმა სასამართლომ ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მცხოვრები 20 წლის გიორგი მუსელიანის და 25 წლის მალხაზ ნეფარიძის საკასაციო საჩივარი განიხილა. მათ წინასწარი შეთანხმებით სამარშრუტო ტაქსი დააყაჩაღეს, სადაც ელდარ მურადოვი და მუსა ახმედოვი ისხდნენ.

დანაშაულის იდეა თავდაპირველად მუსელიანს გაუჩნდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ იმავე ღამეს სოფელ დარბაზისკენ მიმავალ მგზავრებს გაძარცვავდნენ. ასეც მოიქცნენ, ცეცხლსასროლი იარაღით და ნილბებით შეიარაღებულნი ღამის 11 საათზე სასოფლო გზაზე მიმავალ მიკროავტობუსზე „იერიში მიიტანეს“. რადგან იქ მხოლოდ მურადოვი და ახმედოვი ისხდნენ, ყაჩაღებს მათი შეშინება არ გასჭირვებიათ, მძღოლი გვერდით სავარძელში გადასვეს და საჭეს მუსელიანი მიუჯდა. ისინი სოფელ სენების მიმართულებით წაიყვანეს. გზაში 700 დოლარი, 80 ლარი, მობილური ტელეფონი და მაჯის საათი წაართვეს, შემდეგ კი მანქანიდან ჩამოსვეს და გზა განაგრძეს. თუმცა, მოულოდნელად აზრი შეიცვალეს და უკან მობრუნებულებმა მურადოვი და ახმედოვი ისევ აიყვანეს. სოფელ ძძვნარის შესასვლელთან მანქანა ტალახით ამოვსებულ ორმოში ჩაუვარდათ, რომლის ამოყვანაც ვეღარ შეძლეს. ამიტომ იძულებულნი გახდნენ, ავ-



ტობუსთან ერთად მძევლებიც მიეტოვებინათ. მურადოვი და ახმედოვი გათენებას დაელოდნენ, მანქანა ორმოდან ამოიყვანეს და საშველად ბოლნისის რაიონის პოლიციას მიმართეს, რის შემდეგაც თავდამსხმელები დააკავეს.

თბილისის საოლქო სასამართლომ გაიორგი მუსელიანს 8-წლიანი, ხოლო მალხაზ ნეფარიძეს 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სისხლის სამართლის პალატამ ეს განაჩენი უცვლელად დატოვა.

უზენაესმა სასამართლომ ასევე, არ დააკმაყოფილა ბიძაშვილების 20 წლის ლექსო დევდარიანისა და 24 წლის თენგიზ დევდარიანის საკასაციო საჩივრები, რომლებიც მსგავსი დანაშაულისთვის 2004 წლიდან სასჯელს თბილისის პირველ საპყრობილეში იხდიან. მათ კვალის დაფარვის მიზნით ტაქსის მძღოლი მოკლეს.

ბიძაშვილებმა კოდორის ხეობაში შეძენილ სანადირო თოფს ლულები მოაჭრეს და ამ იარაღით ფულის საშოვნელად ტაქსების დაყაჩაღება გადაწყვიტეს. ისინი ნუცუბიძის ქუჩიდან გლდანში მიმავალ „მარშრუტკაში“ ჩასხდნენ და ბოლო გაჩერებამდე გაყვნენ. როცა მათ გარდა მანქანაში აღარავინ იყო, მძღოლს, ნოდარ კიკვაძეს იარაღის მუქარით მანქანა ერთ-ერთ კორპუსთან გააჩერებინეს და ფული მოსთხოვეს. ამის შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით ლექსო დევდარიანმა კიკვაძე თოფით ადგილზე მოკლა. დამნაშავეები ნაქურდალთან ერთად მიიმალნენ. გარდაცვლილი კი ხალხმა მეორე დილას ნახა.

ყაჩაღები პოლიციამ ორი კვირის შემდეგ დააკავა. სასამართლომ ლექსო დევდარიანს 14 წლით, თენგიზ დევდარიანს კი 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. არც 14 წელია ცოტა და არც 12, მაგრამ მკვლელობისთვის ამაზე ნაკლების მიცემა, რაღა სამართალი იქნებოდა? მკვდარიც ხომ უნდა გვახსოვდეს და ჭირისუფალიც?

**ლელა მანაგლიშვილი**



ანზორ, მანანა ბაბუხადიები, დოდო ჩიქვანაია, მიხეილ, მერაბ, ნანა, დარეჯან შავდიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ადამიანი, ღვაწლმოსილი ქალბატონი

ვენერა ძოწენიძე-აბულაძისა

და სამძიმარს უცხადებენ შვილებს გულიკო, თემურ აბულაძეებს.

---

მეუღლე იზა გუნია, შვილი ნიკოლოზ რატიანი, დები ლია, ციალა რატიანები, სიძე კარლო წულაია, დისწული ირინა წულაია იუწყებიან

მამუკა რატიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 X 3 სთ. ქ. სენაკი, გრიგოლიას № 6.

---

მეუღლე ლევან კურცხალია, და იზა ხახუტაშვილი, შვილები დავითი, მერაბი, შვილიშვილები ლევანი, ოთო კურცხალიები, რძლები თამრიკო ჩარკვიანი, მაია პაიჭაძე, სიძე ბორის იმნაძე, დისწულები ნინო იმნაძე, დეიდაშვილები ლეილა ლიაძე, ცირა ორჯონიკიძე, თამაზ კალანდარიშვილი, ბიძაშვილი ნათელა ხახუტაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცისანა ხახუტაშვილი

პანაშვიდი 3, 4 X 16 სთ, დაკრძალვა 5 X 14 სთ, გოგებაშვილის ქ. № 37.

---

უახლესი მეგობრები ვასილ ჩალაძე, გიორგი ხაზარაძე, ელვერ კუპატაძე, კუკური ბუხრაშვილი, ალექსანდრე ვაშაკიძე, ვახტანგ ჯაფარიძე, უშანგი შერმაზანაშვილი, დავით იაკობაშვილი, მოსე მდინარაძე, ვალერიან რეკვავა, ნოდარ პეტრიაშვილი, ზაქარია ჯოხარიძე, არჩილ მახარობლიძე თანაუგრძნობენ ლევან კურცხალიას მეუღლის, ქალბატონ

ცისანას

გარდაცვალების გამო.

## მის მსოფლიო – 2006

# მსოფლიოში ულამაზესი ჩეხია!




**ასე გადაწყვიტა „მისს მსოფლიო-2006“-ის ჟიურიმ პოლონეთის დედაქალაქში გამართულ კონკურსზე, როდესაც მსოფლიოს ლამაზმანად ჩვენი პლანეტის თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულ 104 პრეტენდენტში 18 წლის ჩეხი ქალიშვილი ტატიანა კუხარჩუოვა გამოარჩია.**

ამ შოუს პირდაპირ ტრანსლაციას აწარმოებდა მსოფლიოს 200 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, ხოლო მისი მაყურებელი გახდა 2 მილიარდზე მეტი ადამიანი.

ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ ფინალში გავიდნენ ანგოლის, ავსტრალიის, ბრაზილიის, ჩეხეთის, იამაიკის და რუმინეთის წარმომადგენლები. მეორე ადგილი წილად ხვდა 17 წლის რუმინელს იოანა ბოიტორს, მესამე კი – 20 წლის ავსტრალიელს საბრინა ჰუსამის.

ფინალურ შოუმდე ლამაზმანები მონაწილეობდნენ მინი-კონკურსებში „მისს სპორტი“, „მისს ტალანტი“, მისს ბიკინი“ და ა. შ. ვარჯიშობდნენ იოგაში, იტარებდნენ წყალქვეშა მასაჟს. ისინი მკაცრ დიეტაზე იყვნენ.

წლევანდელ გამარჯვებულს გვირგვინი გადასცა სილამაზის შარშანდელმა დედოფალმა, ისლანდიელმა უნნურ ბირნა ვილიამისდოტირმა.




## ანეკდოტები

**რუსები ორი ხერხით სვამენ: ფულის გამოლევამდე ან გონების სრულ გათიშვამდე. სხვათა შორის, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ფული არასოდეს უთავდებათ.**



* * *

**თუ მამაკაცი არაფერს გჩუქნით, უთავბოლოდ მიმოისვრის ოთახში თავის წინდებსა და ტანსაცმელს, გამუდმებით ტელევიზორთან ზის ლუდის ბოთლით ხელში, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ხართ ერთადერთი ქალი, ვისთანაც იგი მართლაც კარგად გრძნობს თავს.**

* * *

**– მომეცით ერთი შეკვრა პრეზერვატივები, – ეუბნება პატარა ვოვა აფთიაქარს.**

**– ჯერ ერთი, ეს ბავშვისთვის არ არის და, მეორეც, უმჯობესია, მამაშენი მოვიდეს და საჭირო ზომისა აიღოს.**

**– ჯერ ერთი, – უპასუხებს ვოვოჩკა, – ეს ბავშვებისთვის კი არა, ბავშვების გაჩენის საწინააღმდეგო საშუალებაა და, მეორეც, იგი მამაჩემს კი არ სჭირდება, არამედ დედა მიდის კურორტზე, იქ კი რომელი ზომა დასჭირდება, არ იცის...**

* * *

**– ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩემი ვალი გაქვს? – ეკითხება ერთი ებრაელი მეორეს.**

**– რას ამბობ, ამას რა დამავიწყებს, სიცოცხლის ბოლომდე მეხსომება!**

* * *

**სამგლოვიარო პროცესია. კუბოს უამრავი ხალხი მიყვება. წინ კი ამაყად მიბაკუნობს თხა.**

**– ამ თხას აქ რა უნდა? – დაინტერესდა გამვლელი.**

**– მაგან ჩემ სიდედრს ურქინა, და, აი, ვასაფლავებ კიდეც.**

**– ძმაო, თუ კაცი ხარ, ორიოდ დღით მათხოვე ეგ თხა.**

**– რას ამბობ. ამ ხალხს ხედავ? გგონია, ჩემ სიდედრს მიაცილებენ სასაფლაომდე? არა, რიგში დგანან!**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ სტუდენტი. გადასახდელი მაქვს სწავლის ქირა, რისი საშუალებაც ჩემს ოჯახს არ გააჩნია.**

**მინდა, ავიღო სტუდენტური სესხი ბანკ „რესპუბლიკიდან“. თუ შეიძლება, განმიმარტეთ, რა სახის სესხს გვთავაზობს ზემოაღნიშნული ბანკი და რა საბუთები უნდა წარვადგინო ბაკალავრიატის პროგრამის დაფინანსებისათვის?**

**თეა გიგოშვილი**



**პასუხი:** ბანკი „რესპუბლიკა“ გთავაზობთ სტუდენტური სესხის შემდეგ სახეებს: ბაკალავრიატის, სამაგისტრო და საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსებას.

ბაკალავრიატის პროგრამის დაფინანსებისთვის საჭიროა შემდეგი საბუთები: პირადობის მოწმობა, განცხადება სესხის აღების შესახებ, დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს უნივერსიტეტში თქვენი ჩარიცხვის ფაქტს; ავტობიოგრაფია ან CV, თავმდები პირის შემოსავლის დამადასტურებელი საბუთი და თქვენი და მისი პირადობის მოწმობები.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ უმაღლეს სასწავლებელში ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად. ვარ 65 წლის. 2 თვის წინათ დავინიშნე პენსია, მაგრამ არ მეძლევა.**

**რამდენად სწორია ჩემს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება?**

**ზვიად ნეფარიძე**

**პასუხი:** უმაღლეს სასწავლებლებში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მომუშავე პირები პენსიის მიღების უფლებას ვერ იპოვებენ. ამდენად, თქვენ მუშაობის პერიოდში პენსია არ გეკუთვნით.

* * *

**კითხვა: 2002 წლიდან ვარ III ჯგუფის ინვალიდი, მუდმივად. ვმუშაობ უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგად. მუშაობის პერიოდში პენსია არ მეძლეოდა. ახლა მითხრეს, გეკუთვნითო, მაგრამ მე პენსიას მაინც არ ვღებულობ.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ მოვიქცე?**

**ბაბილინა მიქაუტაძე**

**პასუხი:** იმისათვის, რომ პენსია მიიღოთ, აუცილებელია მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის იმ რაიონულ განყოფილებას, საიდანაც პენსია გაქვთ დანიშნული და წარუდგინოთ სამსახურიდან აღებული ცნობა, რომ მუშაობთ პედაგოგად. პენსია მუშაობის პერიოდში ნამდვილად გეკუთვნით, მაგრამ იმ დღიდან, როცა ამ საკითხზე განყოფილებას მიმართავთ და შესაბამის საბუთს წარუდგენთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## კადრი



## დარია თუ ავდარია

# ამინდი 3 ოქტომბერს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +28⁰ – +19⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +19⁰ – +25⁰, ღამით +17⁰ – +22⁰.

**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +14⁰, დღისით +23⁰.



**ბათუმი** – ღ. +17⁰, დ. +23⁰; **სოხუმი** – ღ. +16⁰, დ. +23⁰; **ქუთაისი** – ღ. +16⁰, დ. +25⁰, **ოზურგეთი** – ღ. +18⁰, დ. +22⁰, **ზესტაფონი** – ღ. +19⁰, დ. +25⁰; **რუსთავი** – ღ. +15⁰, დ. +23⁰, **ფოთი** – ღ. +17⁰, დ. +26⁰; **მესტია** – ღ. +10⁰, დ. +18⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +18⁰; **თელავი** – ღ. +13⁰, დ. +21⁰; **გორი** – ღ. +15⁰, დ. +24⁰; **ახალციხე** – ღ. +13⁰ დ. +24⁰; **ბორჯომი** – ღ. +13⁰, დ. +22⁰; **ცხინვალი** – ღ. +13⁰, დ. +22⁰; **სამტრედია** – ღ. +17⁰, დ. +25⁰; **ზუგდიდი** – ღ. +17⁰, დ. +22⁰; **ჭიათურა –** ღ. +13⁰, დ. +21⁰.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.